

საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი

სექტემბერი 2024

გამოცემა №1 / 2024

ანა ფირცხალაშვილი

„მესამე ქვეყნის“ პერსპექტივიდან დანახული მიგრაცია, როგორც გამოწვევა
გლობალური და კლასიკური კონსტიტუციონალიზმისათვის

ლავრენტი მაღლაკელიძე

გამომწვევები განაჩენის დადგენა სასაქონლო დანიშნულებით და მისგან გათავისუფლების
ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

ჯამლატ გვიდიანი

ადგილობრივი გამოხატვის თავისუფლების ფარგლები

მარინა მესხი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილების ანალიზი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში

მაია ახვლედიანი

მონეტისა და ბრალდებულის ჩვენებების შეპირისპირება სამართლებრივ დისკურსში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

საქართველოს
საკონსტიტუციო
სასამართლო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის
სახელობის
უნივერსიტეტი



საქართველოს
საკონსტიტუციო
სასამართლო



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



ბრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

მერაბ ტურაშვილი

სარედაქციო საბჭოს წევრები:

რეინერ არნოლდი

დიმიტრი გეგენაშვილი

ევან გოცირიძე

გიორგი დგებუაძე

ჯეისონ დესანტო

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვარაცხელიაძე

კონსტანტინე კორკელიძე

კლავს კრეტი

ბესიკ ლოლაძე

ბორის ლორთქიფანიძე

ვახუშტი მენაბდე

გიორგი მირიანაშვილი

ეკატერინე პახე

ეკატერინე რეინერი

თეიმურაზ თულუშვილი

ანა ფირცხალაშვილი

ეპროლანე ფრედერიქსონი

გიორგი ჩხეიძე

ნანა ფილდაძე

გიორგი ხუბუა

რედაქტორი – გიორგი დგებუაძე

გამოცემაზე მუშაობდნენ – გიორგი ლომთაძე, რუსუდან ცაგარელი

სტილისტი – ევან ჩიკაშვილი, სიმონი ჯულუხიძე

ჟურნალში ნაშრომები განთავსებულია Creative Commons Attribution (CC BY) 2.0 ლიცენზიით. სალიცენზიო პირობები ხელმისაწვდომია აქ: <https://creativecommons.org/licenses/by/2.0/legalcode>



წინასიტყვაობა



სამართლებრივი პროცესების დინამიური განვითარების კვალდაკვალ არსებობს მისი სიღრმისეული განსჯის, აკადემიური გაანალიზების საჭიროება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართლის მიზნების რეალიზებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. კვლევის ამა თუ იმ მეთოდოლოგიაზე, მონაცემებსა და საზოგადოებრივ აღქმებზე დაფუძნებული მიგნებების გააზრება, საკა-

ნონმდებლო მოწესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის რაციონალური ანალიზი განაპირობებს სამართლებრივი ცნობიერების შეუქცევად ზრდას. ეს კი ერთმნიშვნელოვნად ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა თუ ორგანოებს, აირჩიონ დასაბუთებული, გონივრულად მართებული, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტები.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“ წარმოადგენს ხელმისაწვდომ აკადემიურ პლატფორმას, რომელიც ღიაა როგორც ახალგაზრდა მკვლევარებისთვის, ასევე აღიარებული მეცნიერებისთვის. იგი საერთაშორისო-რეფერირებადი გამოცემაა, რომელიც იურიდიული პროფესიის პრაქტიკოსებსა და მკვლევარებს ანიჭებს შესაძლებლობას, ფართო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი ნაშრომები და დაიმკვიდრონ ადგილი კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. ამასთანავე, გამოცემა ღირებული წყაროა სტუდენტებისა და იურიდიული პროფესიის სფეროს წარმომადგენლებისთვის, მიიღონ ინფორმაცია და გაიღრმავონ ცოდნა მიმდინარე, აქტუალური სამართლებრივი საკითხების თაობაზე.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა აერთიანებს ქართველი ავტორების ხუთ აკადემიურ ნაშრომს. კერძოდ, ჟურნალში თავმოყრილია ქართველი მკვლევარების ნაშრომები შემდეგ საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე: მიგრაციის სამართლებრივი ფენომენის კონსტიტუციურსამართლებრივი ანალიზი „მესამე ქვეყნის“ პერსპექტივიდან, კერძოდ, იმ სახელმწიფოთა სამართლებრივ კონტექსტში, რომლებშიც თავშესაფრის მაძიებელი დროებით რჩება მანამ, სანამ დანიშნულების ქვეყანაში განიხილება მისთვის თავშესაფრის მიცემის უფლება (პროფესორ ანა ფირცხალაშვილის ავტორობით), გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დანაწესის

(საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილი) გააზრება, რომლის მიხედვითაც სასამართლო უფლებამოსილია, შესაბამისი პირობების არსებობისას, პირის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, დაუნიშნოს სასჯელი და შემდგომ მისი მოხდისაგან გაათავისუფლოს (ასოც. პროფესორ ლავრენტი მაღლაკელიძის ავტორობით), ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები (ჯამლათ გვიდიანის ავტორობით), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სასამართლოს პრაქტიკის განხილვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აკრძალვასთან მიმართებით (ასოც. პროფესორ მარინა მესხის ავტორობით), ბრალდებულისა და მოწმის საპროცესო სტატუსის ანალიზი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების ფონზე (მაია ახვლედიანის ავტორობით).

ამასთანავე, წინამდებარე გამოცემაში მოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2023 და 2024 წელს გამოტანილი სამი პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიმოხილვა. კერძოდ, ჟურნალი წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №2/8/1444 („ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და 2024 წლის 12 ივლისის („თელავის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“) გადაწყვეტილებების მიმოხილვას.

2023 წლის 22 ნოემბრის №2/8/1444 („ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა პატიმრობის კოდექსით დადგენილი რეგულირების კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც გამოძიებელს/პროკურორს ანიჭებდა უფლებამოსილებას, პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულისათვის შეეზღუდა ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლებები. 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც ადგენდა შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში გაფრთხილების შეტანის ვალდებულებას მის ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. 2024 წლის 12 ივლისის („თელავის რაიონული სასამართლოს

კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“) გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც, ერთი მხრივ, ადგენდა, რომ თუკი დანაშაული ჩაიდინა შერაცხადმა პირმა, თუმცა განაჩენის გამოტანამდე ფსიქიკურად დაავადდა, იგი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში; ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ნორმები განსაზღვრავდა, რომ იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს შერაცხადი იყო და შემდეგ შეურაცხადი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და მსჯავრდებული გამოჯანმრთელებამდე სასჯელს მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში, გამოჯანმრთელების შემთხვევაში კი სასჯელის მოხდა გაგრძელდება საერთო წესით.

იმედს გამოვთქვამ, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა დაეხმარება იურიდიული პროფესიის სფეროს წარმომადგენლებს, გაიღრმავონ ცოდნა მიმდინარე, აქტუალური სამართლებრივი საკითხების თაობაზე.

პროფესორი **მერაბ ტურავა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ანა ფირცხალაშვილი	
„მესამე ქვეყნის“ პერსპექტივიდან დანახული მიგრაცია, როგორც გამოწვევა გლობალური და კლასიკური კონსტიტუციონალიზმისათვის	11
აბსტრაქტი	11
I. შესავალი	12
II. მიგრაცია და გლობალური კონსტიტუციონალიზმი	14
1. გზა გლობალურ კონსტიტუციონალიზმამდე	14
2. გლობალური კონსტიტუციონალიზმის იდეა	15
III. მიგრაცია, როგორც გამოწვევა და დილემა ნაციონალური სახელმწიფოსთვის	19
1. გლობალისტების მიდგომა მიგრაციის გამოწვევების მიმართ	19
2. მიგრაციის გადაჭრის გზა ნაციონალური სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე	25
IV. დასკვნა: რამდენად შესაძლებელია მიგრაციის გამოწვევის გადაჭრა გლობალური კონსტიტუციონალიზმის მიდგომებით	31
ლავრენტი მალაქელიძე	
გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სასჯელის დანიშვნით და მისგან გათავისუფლების ზომიერითი საპარტლევარივი ასპექტი	35
აბსტრაქტი	35
I. შესავალი	36
II. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, როცა გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა	37
1. პრობლემის განხილვა ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	40
1.1. სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციის შესაბამისად	40
1.2. სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისად	43
2. პრობლემის განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	46

III. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დაუშვებლობა, როცა პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი ან განახორციელა ქმედითი მონაწილეობა	49
1. პრობლემის მოკლე მიმოხილვა.....	49
2. ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი	51
3. ქმედითი მონაწილეობა, როგორც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი	53
4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ქმედითი მონაწილეობა მოქმედი საკროცესო კანონმდებლობის შესაბამისად	55
IV. დასკვნა	58
ჯამლათ გვიდიანი	
ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები	61
აბსტრაქტი	61
I. შესავალი	61
II. ადვოკატის როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში	63
III. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება	64
IV. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მისი ლეგიტიმური მიზნები	68
V. გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში ჩარევის წინაპირობები	70
1. ზოგადი მოთხოვნები და საკროცესო გარანტიები ქართულ სინამდვილეში	70
2. კანონის ხარისხობრივი მოთხოვნა	71
3. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის სოციალური აუცილებლობა	73
4. კანონის „მსუსხავი ეფექტი“	74
VI. დასკვნა	75

მარინა მესხი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილების ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში	79
აბსტრაქტი	79
I. შესავალი	80
II. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლთან მიმართებაში	81
1. სემსუალური ექსკლუატაცია	81
1.1. „რანცვი კვიროსისა და რუსეთის წინააღმდეგ“	82
1.2. „ლ.ი. საბერძნეთის წინააღმდეგ“	84
2. შრომითი ექსკლუატაცია	86
2.1. „სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (იძულებითი შრომა და სერვიტუტი)	86
2.2. „ჩოვდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ (იძულებითი შრომის აკრძალვა)	88
3. არასრულწლოვნით ვაჭრობა – „C.N. და V. საფრანგეთის წინააღმდეგ“ (იძულებითი შრომა და სერვიტუტი – C.N. მიმართ)	90
III. დასკვნა	92

მაია ახვლედიანი

მოწმისა და ბრალდებულის ჩვენებების შევირისპირება სამართლებრივ დისკურსში	93
აბსტრაქტი	93
I. შესავალი	93
II. მოწმის ჩვენების სამართლებრივი ანალიზი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	94
III. ბრალდებულის ჩვენების სამართლებრივი ანალიზი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	100
IV. დასკვნა	106

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა 107

აბსტრაქტი 107

I. „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 107

II. „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 109

III. თელავის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე 112

„მესამე ქვეყნის“ პერსპექტივიდან დანახული მიგრაცია, როგორც გამონეშვა გლობალური და კლასიკური კონსტიტუციონალიზმისათვის

აბსტრაქტი

მიგრაციული მოძრაობის ზრდასთან ერთად, აქტუალური გახდა, ერთი მხრივ, მიგრანტების უფლებათა დაცვა და სახელმწიფოთა მხრიდან მიგრაციის პროცესების რეგულირება, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მისი უსაფრთხოების საკითხები და, ამასთანავე, შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონფლიქტებიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს მსოფლიოში დაახლოებით 102 მილიონამდე¹ მიგრანტია, მათ შორის ლტოლვილი, დევნილი, თავშესაფრის მაძიებელი და იძულებით გადაადგილებული პირი, საკითხის აქტუალობის მიზეზი გასაგები გახდება. ბოლო ათწლეულში გაზრდილი გლობალური მიგრაციის შედეგად უცხოელები მასშტაბულ ქვეყანაში, ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა თვალსაზრისით განსაკუთრებით დაუცველები ხდებიან.²

მართალია, ამ მიმართულებით მოიპოვება ცალკეული სამეცნიერო ნაშრომები და ევროპის მასშტაბით მიმდინარეობს ცხარე აკადემიური დისკუსიები, თუმცა შემოთავაზებული სტატია წამოადგენს საკითხის განხილვის ახალ პერსპექტივას, ე.წ. მესამე ქვეყნების პერსპექტივიდან.³ ამ უკანასკნელში იგულისხმება სახელმწიფოები, რომლებშიც თავშესაფრის მოთხოვნის (ე.წ. დანიშნულების)⁴ ქვეყნიდან სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების

* სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი [a.phirtsckhalashvili@ug.edu.ge]

¹ UN Global forced displacement statistics (2022) <<https://www.unhcr.org/dach/de/services/statistiken>> [19.04.2024].

² Janina Söhn and Kai Marquardsen, 'Erfolgsfaktoren für die Integration von Flüchtlingen' (2017) Für Bundesamt für Migration und Flüchtlinge, Forschungsbericht 484, Soziologisches Forschungsinstitut Göttingen (SOFI) an der Georg-August-Universität, 4, 14.

³ აღნიშნული კვლევა შესრულდა ბერლინის სოციალურ მეცნიერებათა კვლევით ცენტრში (WZB), გლობალური კონსტიტუციონალიზმის კვლევითი მიმართულებით, ევროკავშირისა და DAAD-ის მხარდაჭერით პროექტის GRMP ფარგლებში.

⁴ წარმოშობის ქვეყანა – უცხოელის მოქალაქეობის ქვეყანა, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე პირის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა; მიმღები ქვეყანა/დანიშნულების ქვეყანა – სახელმწიფო, სადაც მიემგზავრება პირი თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით. სატრანზიტო ქვეყანა – სახელმწიფო, რომლის გავლითაც მიემგზავრება პირი დანიშნულების/მიმღები ქვეყნისკენ; მესამე ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც,

თანახმად აძლევენ პირებს დროებით მათ ტერიტორიაზე დარჩენის უფლებას მანამ, სანამ დანიშნულების ქვეყანაში განიხილება პირისათვის თავშესაფრის მიცემის უფლება.

სწორედ ამ და ასევე სხვა აქცენტებით სტატია წარმოადგენს მცდელობას იმისა, რომ პასუხი გაეცეს მიგრაციის გამოწვევას.

I. შესავალი

გლობალიზაციის პირობებში სამართლის სოციალური ევოლუცია მიმდინარეობს. სამართლის, როგორც საზოგადოების შემადგენელი ერთ-ერთი ქვესისტემის, სახეცვლილებას განაპირობებს როგორც სამართლის შინაგანი ლოგიკა, ისე სხვა სოციალურ ქვესისტემათა გარეგანი ინტერაქციები.⁵ რეალობა გვაჩვენებს, რაოდენ რთულია გლობალურ სოციალურ გამოწვევებზე რეაგირება. თუმცა, დღეისათვის რთული წარმოსადგენია უკეთესი გამოსავალი, ვიდრე გლობალური ან/და ეროვნული კონსტიტუციური წესრიგით ძალაუფლების ბოჭვა და ამ საშუალებით ადამიანის, ინდივიდის დაცვა. რადგან კლასიკური კონსტიტუციონალიზმი სწორედ ამ უკანასკნელს ისახავს მიზნად, ჩნდება ლოგიკური კითხვა, ან იმედიც კი იმის შესახებ, რომ გლობალური კონსტიტუციონალიზმი უკეთ შეძლებს პასუხი გასცეს, სულ მცირე, გლობალურ, ტრანსნაციონალურ გამოწვევებს. სწორედ ასეთი ფენომენია მიგრაცია. მიგრაციამ ბოლო წლების განმავლობაში ახალი, საკმაოდ დიდი დიმენსია⁶ შეიძინა და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით საინტერესოა გლობალური კონსტიტუციონალიზმის თეორიისთვის.

სამართალს, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ ქვესისტემებს, ეკისრება კონკრეტული საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულების ვალდებულება.⁷ პირველ რიგში, ეს ფუნქცია უნდა აისახოს კონსტიტუციონალიზმში. მართალია, კონსტიტუციონალიზმის ცნება, ტრადიციულად, ეროვნულ დონეზე განიხილება, თუმცა დინამიკურმა გლობალიზაციის პროცესებმა მას სულ

სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების თანახმად, აძლევს პირებს დროებით მის ტერიტორიაზე დარჩენის უფლებას მანამ, სანამ დანიშნულების ქვეყანაში განიხილება პირისათვის თავშესაფრის მიცემის უფლება.

⁵ ლაშა ბრეგვაძე, აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, სადისერტაციო ნაშრომი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2016).

⁶ ანა ფირცხალაშვილი, „საკუთარი მოქალაქისა და უცხოელის უფლებათა თანასწორობის დილემა“ კრებულში კონსტანტინე კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში (სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში 2020) 257-294.

⁷ ლაშა ბრეგვაძე, „ტრანსნაციონალური სამართლის გენეალოგია: მსოფლიო საზოგადოების ფრაგმენტირებული ნორმატიული წესრიგები“ კრებულში ბესარიონ ზოიძე 60 (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი 2013).

სხვა მნიშვნელობა მიანიჭა. გლობალური კონსტიტუციონალიზმი ნაკლებად ასოცირდება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლებრივ წეს-რიგთან და მისი განვითარების წინაპირობას გლობალურ დონეზე მიმდინა-რე ტრანსნაციონალური მოვლენები წარმოადგენს.

სტატიაში განხილული დისკუსია მიზნად ისახავს მიგრაციის კონსტიტუცი-ურ-სამართლებრივი გააზრების ფონზე კონსტიტუციონალიზმის პარადიგ-მის განხილვას და მისი გლობალური გარდასახვის მკაფიოდ წარმოჩე-ნას. მიგრაციით განპირობებული ახალი სოციალური წესრიგისა და სამა-რთლებრივი სივრცის გააზრების/გადაზრების გარეშე წარმოდგენილია სამართლის კლასიკური ფუნქციის შესრულება. ეს კი, თავის მხრივ, წა-რმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლიან და ფუნქციურ რეგულირებას.

ცალსახაა, მიგრაციის პოლიტიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პოლიტიკური თემაა. განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ აღნიშნული საკითხი ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე ცხარე დისკუ-სიის თემა ხდება. ამიტომ მით უფრო მნიშვნელოვანია მისი მეცნიერული განხილვა. მეცნიერები ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან ცდილობენ პასუხი გასცენ მიგრაციის გამოწვევებს. მათ შორის, სოციალურ მეცნიერე-ბებში, და კონსტიტუციონალიზმის თეორიაში საკმაოდ საინტერესო და ღი-რებული მიდგომებია განვითარებული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღი-რსია, ე.წ. ლიბერალური პარადოქსის თეორია⁸, ის, და როგორც სხვა სა-კვანძო თეორიები⁹, როგორებიცაა: *ნიკლას ლუმანის* სისტემური თეორია¹⁰, *გუნთერ ტოიბნერის* საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის თეორია¹¹, *იურგენ ჰაბერმას* პოლიტიკური კონსტიტუტია, პლურალური მსოფლიოს

⁸ Kenneth W. Abbott, Robert O. Keohane, Andrew Moravcsik, Anne-Marie Slaughter and Duncan Snidal, The Concept of Legalization (The IO Foundation and the Massachusetts Institute of Technology 2000) 401–419; David Beetham, Democracy and Human Rights: Contrast and Convergence (Expert paper presented at the Seminar on the Interdependence between Democracy and Human Rights at the UNHCHR 2002); David Beetham, Democracy and Human Rights (Polity Press 1999) 9–14; Jürgen Habermas, Faktizität und Geltung (Beiträge zur Diskurstheorie des Rechts und des demokratischen Verfassungsstaates 1992).

⁹ John Rawls, Die Idee des politischen Liberalismus (Suhrkamp Verlag 1992); John Rawls, ‘Nochmals die Idee der öffentlichen Vernunft’ in John Rawls, Das Recht der Völker (de Gruyter 2000); Jürgen Habermas, Die Einbeziehung des Anderen (Suhrkamp Verlag 1996); Georg Nolte, ‘Strukturwandel der internationalen Beziehungen und Völkerrechtspolitik’ in Giovanni Biaggini, Oliver Diggelmann und Christine Kaufmann (Hrsg.), Polis und Kosmopolis – Festschrift für Daniel Thürer (Nomos 2015) 557–563; Jürgen Habermas, Eine politische Verfassung für die pluralistische Weltgesellschaft (Die Kritische Justiz 2005) 222–247.

¹⁰ Niklas Luhmann, ‘Einführung in die Systemtheorie’ <<https://luhmann.ir/wp-content/uploads/2021/07/Einführung-in-die-Systemtheorie.pdf>> [15.02.2024].

¹¹ გუნთერ ტოიბნერი, „საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმი: სახელმწიფოზე ცენტრირებული კონსტიტუციონალიზმის ალტერნატივა?“ (2018) 1 სამართლის ჟურნალი 311–342 (ინგლისურიდან თარგმნა ლაშა ბრეგვაძემ).

საზოგადოებისთვის¹², *იმანუელ კანტის* უნივერსალური კოსმოპოლიტიზმი¹³, ასევე ევროკავშირის ფარგლებში, და ეროვნულ დონეზე მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი დისკურსები მიგრაციასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მიზანია გლობალური კონსტიტუციონალიზმის იდეის ფონზე წარმოადგინოს მიგრაციის მრავალმხრივი ხედვა. თუმცა სამეცნიერო დისკურსი მნიშვნელოვანია წარმართოს ორმხრივად, და სტატიაში პასუხი გაეცეს მეორე, საპირისპირო ხედვას რომელიც მიგრაციის პროცესებს საფრთხედ აღიქვამს და მის მართვას მხოლოდ კლასიკური, ნაციონალური სახელმწიფოს გადმოსახედიდან ცდილობს.

II. მიგრაცია და გლობალური კონსტიტუციონალიზმი

1. გზა გლობალურ კონსტიტუციონალიზმამდე

კონსტიტუციონალიზმის თეორიის ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ კონსტიტუციონალიზმი ექვემდებარება ყოვლისმომცველ ცვლილებას. აქ იგულისხმება ცვლილება კლასიკური კონსტიტუციონალიზმიდან გლობალურ კონსტიტუციონალიზმზე. ეს უკანასკნელი კი აღიარებს მნიშვნელოვან სამართლებრივ წესრიგს ეროვნული სახელმწიფოს მიღმა და უფრო მეტიც – მის ზემოთ. ეს ცვლილებები უდავოა, თუ დავაკვირდებით გასული საუკუნის ცვლილებებს, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, აქ, უპირველესად, იგულისხმება ადამიანის, მისი, როგორც ინდივიდის, ძირითადი უფლების საერთაშორისო სამართლებრივი პატივისცემა, ევროკავშირის, როგორც სუპრანაციონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება და საერთაშორისო დონეზე მისი როლის უპრეცედენტო ზრდაში.

მართალია, ცვლილებების აღიარება უდავოა, თუმცა ამ ცვლილებების შეფასებისას იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა მოსაზრებები იყოფა ორ ძირითად შეხედულებად: პირველის მიხედვით, ცნება „კონსტიტუციონალიზმი“, როგორც სახელმწიფოს ძირითად წესრიგის დოქტრინა, გადაგვარდა, კარგავს თავის (ტრადიციულ) მნიშვნელობას¹⁴ და იგი მხოლოდ ცარიელ ფრაზად რჩება. აღნიშნული მოსაზრება უარყოფითად აფასებს კონსტიტუციონალიზმის კლასიკური გააზრების სახეცვლილებას. არსებული მიდგომა მას „კონსტიტუციონალიზმის ჩრდილს“ უწოდებს.¹⁵

¹² Habermas, supra სქოლიო 9.

¹³ Immanuel Kant, *Toward Perpetual Peace: A Philosophical Sketch* (F. Nicolovius 1795).

¹⁴ Ming-Sung Kuo, 'The End of Constitutionalism as we know it?' (2010) 1 *Transnational Legal Theory* 329-369.

¹⁵ Martin Loughlin, John P. McCormick and Neil Walker (eds), *The Twilight of Constitutionalism?* (Oxford

მეცნიერთა მეორე ნაწილი კონსტიტუციონალიზმის კლასიკურიდან გლობალურად გარდასახვას გარდაუვალ, ბუნებრივ ფაქტად აღიქვამს და მას პოზიტიურად აფასებს. ამ მოსაზრების მიხედვით, ტრადიციული კონსტიტუციონალიზმი აღარ შეესაბამება საერთაშორისო, ევროპული და ეროვნული იურისდიქციის პრაქტიკას. მისი გარდაქმნა აუცილებელია, რადგან ის ხელს უწყობს „ნაციონალური პაროქიალიზმის შემეცნების“ ზრდას.¹⁶ სწორედ ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, მიგრაციის პროცესები არაადეკვატურად არის გაანალიზებული, რადგან ისინი აღიქმება ეროვნული სახელმწიფოს თვალთახედვიდან.

განსხვავება ნაციონალურ სახელმწიფოსა და გლობალურ კონსტიტუციონალიზმს შორის უდავოდ არის ერთ-ერთი მთავარი თემა მიმდინარე საკონსტიტუციო დებატებში. პოზიციები მკაფიოდ არის განაწილებული: ეროვნულ ან სახელმწიფოს იდეაზე დაფუძნებული კონსტიტუციონალიზმი განასახიერებს კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კონსტიტუციური წესრიგის, მრავალსაუკუნოვან დოქტრინას. გლობალური კონსტიტუციონალიზმი კი წარმოადგენს ახალს, წარმოშობილ კონსტიტუციურ პარადიგმას, რომელიც თავდაპირველად ინგლისიდან და აშშ-დან მოდის და ბოლო ათეული წელია უფრო და უფრო მეტ მხარდამჭერს პოულობს ევროპასა და, განსაკუთრებით, გერმანიაში.¹⁷ ზოგიერთი გერმანელი მეცნიერის აზრით, გლობალური კონსტიტუციონალიზმის იდეა „აკადემიური პანდემიის“ მსგავსად მოედო კონსტიტუციონალიზმის კვლევას.¹⁸

2. გლობალური კონსტიტუციონალიზმის იდეა

გლობალური კონსტიტუციონალიზმი, ეს არის თეორია, რომელიც ცდილობს ერთმანეთს დააახლოვოს კონსტიტუციური სამართალი და საერთაშორისო სამართალი, თუმცა მხოლოდ იმ იდეითა და წინაპირობით, რომ მსჯელობის ამოსავალი პუნქტი ეყრდნობა არა სახელმწიფოს ძალაუფლებას, ან მის სუვერენიტეტს, არამედ ადამიანს, ინდივიდსა და მის უფლებებს. შესაბამისად, მიგრაციის გამოწვევების გადაჭრა, ამ თეორიიდან გამომდინარე, უნდა ეფუძნებოდეს, პირველ რიგში, ადამიანის ღირსებას, და მხოლოდ შემდეგ

University Press 2010).

¹⁶ Mattias Kumm, 'The Cosmopolitan Turn in Constitutionalism' in Jeffrey L. Dunoff and Joel P. Trachtman (eds), *Ruling the World? Constitutionalism, International Law, and Global Governance* (Cambridge University Press 2009) 258-324, 307.

¹⁷ Oliviero Angelì, 'Von der Gründung zur Begründung. Über die Rolle der Imagination im globalen Konstitutionalismus' in Hans Vorländer (Hrsg.), *Demokratie und Transzendenz. Die Begründung politischer Ordnungen* (2013) 509-525; Oliviero Angelì, 'Der globale Konstitutionalismus' (2014) 24 fiph-Journal 24-25.

¹⁸ Joseph Weiler, 'Prologue: global and pluralist constitutionalism – some doubts' in: ders. und Gráinne de Búrca (Hrsg.), *The Worlds of European Constitutionalism* (2012) 8-18, 8.

შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფოს ინტერესები, როგორცაა, მაგალითად, უსაფრთხოება, საკუთარი მოქალაქეების პრიორიტეტი და მათი პრივილეგირება მიგრანტებთან შედარებით. აქვე საგულისხმოა ისიც, რომ გლობალური კონსტიტუციონალიზმის თეორია, მსგავსად ნაციონალური კონსტიტუციონალიზმისა, არ ცდილობს „კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას.“ კომპლექსურობა და მრავალმხრივობა, რომელსაც წარმოშობს სხვადასხვა – ეროვნული, კონტინენტური და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემების ურთიერთდაკავშირება, ასევე შეიძლება განიმარტოს, როგორც „ერთიანი კონსტიტუციური წესრიგი“. ისიც მხოლოდ იმ წინაპირობით, რომ ეს განმარტება იქნება ინტერპრეტაციული (განმარტებითი შემობრუნება *interpretive turn*).¹⁹ ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ სამართლის მეცნიერები, მოსამართლეები და იურისტები, მიუხედავად თავისი ნაციონალური წესრიგისა, საბოლოოდ მაინც ერთიანი პრინციპებითა და მიდგომებით მსჯელობენ. ამის მაგალითს ასაბუთებს *მათიას კუმმ*²⁰ თავის ცნობილ პუბლიკაციაში „სოკრატესული შეკამათების იდეა და გამართლებების უფლება: უფლებაზე დამყარებული თანაზომიერების მიმოხილვის პრინციპი“. იგი ეყრდნობა ფაქტს, რომ მსოფლიოს მასშტაბით, ლიბერალურ დემოკრატიებში თანაზომიერების პრინციპი უფლებათა განსჯა/დადგენის ცენტრალური სტრუქტურული მახასიათებელია.²¹ *კუმმის* აზრით, საკითხის სიმწვავე,²² რასაც ამგვარი პრაქტიკა წარმოშობს, უფრო მეტად ინსტიტუციურია და არა იდეური. რადგან, თუ საკითხს ფართოდ შევხედავთ, თანაზომიერების პრინციპი თანაბრად ვრცელდება ყველა მსჯელობაზე, მიუხედავად ეროვნული რეგულაციებისა. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ

¹⁹ Angeli, supra სქოლიო 17.

²⁰ Mattias Kumm, 'The Idea of Socratic Contestation and the Right to Justification: The Point of Rights-Based Proportionality Review' (2010) 4.2 Law & Ethics of Human Rights 142-175.

²¹ Alec Stone Sweet, Jud Mathews, 'Proportionality, Balancing and Global Constitutionalism' (2008) 47 Columbia Journal of Transnational Law; David M. Beatty, The Ultimate Rule of Law (Oxford University Press 2005); Evelyn Ellis, The Principle of Proportionality in the Laws of Europe (Hart Publishing 1999); Wojciech Sadurski, Rights Before Courts. A Study of Constitutional Courts in Postcommunist States of Central and Eastern Europe (Springer 2005). შეერთებულ შტატებში თანაზომიერების გამოყენებისთვის, იხ. Lorraine Weinrib, 'The Postwar Paradigm and American Exceptionality' in Sujit Choudhry (ed), The Migration of Constitutional Ideas (Cambridge University Press 2006) 84; Explanations are provided by Frederick Schauer, 'Freedom of Expression Adjudication in Europe and the United States: A Case Study in Comparative Constitutional Architecture' in Georg Nolte (ed), European and US constitutionalism (Cambridge University Press 2005) 49; Vicki C. Jackson, 'Ambivalence, Resistance and Comparative Constitutionalism: Opening up the Conversation on Proportionality Rights and Federalism' (1999) 1 University of Pennsylvania Journal of Constitutional Law 583; იხ. ასევე: Stephen Gardbaum, 'A Democratic Defense of Constitutional Balancing' (2010) 4 Law & Ethics of Human Rights 79.

²² სხვა საკითხია, თანაზომიერების ანალიზი რამდენად ამართლებს უფლებათა უპირატესობის იდეას, რაც ლიბერალური ტრადიციისათვის ცენტრალურია. ამ საკითხთა განხილვების გასაცნობად, იხ. Mattias Kumm, 'Political Liberalism and the Structure of Rights: On the Place and Limits of the Proportionality Requirement' in George Pavlakos (ed), Law, Rights and Discourse: The Legal Philosophy of Robert Alexy (Legal Theory Today) (Hart Publishing 2007).

თანაზომიერების ტესტი – ეს არის ანალიტიკური ჩარჩო, რომელზე მსჯელობაც ამოდის ლიბერალური დემოკრატიის „საერთო პრინციპებიდან“.²³ მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანაზომიერების ცნება ზოგადად არ იყო კონსტიტუციურ შემზღუდავ მუხლებში გამოყენებული, თუმცა დროთა განმავლობაში სასამართლოებმა, პრაქტიკულად, ერთგვარად განმარტეს თანაზომიერების ანალიზისათვის საჭირო კრიტერიუმები.²⁴ გარდა ეროვნული სასამართლოებისა, საგულისხმოა, რომ ძირითადი უფლებების ევროპული ქარტიის უკანასკნელ ხანს შეთანხმების წესით დადგენილი VII თავის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ამტკიცებს: „ექვემდებარება რა თანაზომიერების პრინციპს, შეზღუდვები მხოლოდ მაშინ ხორციელდება, თუკი ისინი აუცილებლად და უტყუარად თანხვდებიან საჯარო ინტერესთა მიზნებს, რომლებიც აღიარებულია გაერთიანების ან საჭიროების მიერ, რათა დაცული იყოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“.²⁵ იმავეს ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი, რომლის 34-ე მუხლით დადგენილია ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები. მისი მეორე პუნქტის მიხედვით, ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. ხოლო მესამე პუნქტის მიხედვით, „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას“.

უფლებებსა და თანაზომიერების ტესტს შორის კავშირი გააანალიზა რობერტ ალექსიმ.²⁶ ალექსის მიხედვით, კონსტიტუციურ კატალოგებში ჩამოთვლილი აბსტრაქტული უფლებები პრინციპებია. პრინციპებს, როგორც ის ალექსის ესმის, ესაჭიროება რაღაცის შესაძლო მაქსიმალური მასშტაბით განხორციელება, მოცემულია რა მათში საპირისპირო ინტერესები. პრინციპები ღირებულებების სტრუქტურულად ექვივალენტურნი არიან. ხოლო ღირებულებათა მტკიცებანი, შესაძლოა, ფორმულირდნენ პრინციპების მტკიცებებად და – პირიქით.

პრინციპის მტკიცებები გამოხატავს „იდეალურ უნდას“. მსგავსად ღირებულებათა მტკიცებებისა, როგორც ალექსი ამბობს, ისინი არ არიან „დაკავშირებული ფაქტობრივი და ნორმატიული სამყაროს შესაძლებლობებთან“.²⁷ თანაზომიერების ტესტი არის საშუალება, რითაც ღირებულებები უკავშირდება ნორმატიული და ფაქტობრივი სამყაროს შესაძლებლობებს. როდესაც ვხვდებით პრინციპებსა და საპირისპირო მიმართებებს შორის კონფლიქტს, თანაზომიერების ტესტს უზრუნველყოფთ კრიტერიუმით, რომ

²³ *ibid*, 134.

²⁴ *ibid*.

²⁵ ფუნდამენტურ უფლებათა ევროკავშირის ქარტია (2007) O.J. C 303/01.

²⁶ Robert Alexy, *A Theory of Constitutional Rights* (Oxford University Press 2002).

²⁷ *ibid*, 60.

განისაზღვროს, რომელი ინტერესია უპირატესი გარკვეულ ვითარებაში. თანაზომიერების ტესტი გვაწვდის ანალიტიკურ სტრუქტურას იმის შეფასებისათვის, არის თუ არა განხორციელებულ პრინციპზე დაწესებული შეზღუდვები კონკრეტულ კონტექსტში გამართლებული.

თანაზომიერების ტესტი არ არის უბრალოდ მოსახერხებელი პრაგმატული იარაღი, რომელიც სამართლებრივი ანალიზისათვის დოქტრინალური სტრუქტურის უზრუნველყოფაში გვეხმარება. თუკი უფლებები, როგორც პრინციპები, ღირებულებათა მტკიცებების მსგავსია, მაშინ თანაზომიერების სტრუქტურა გვაწვდის ანალიტიკურ ჩარჩოს, რათა შეფასდეს აუცილებელი და საკმარისი მდგომარეობა, რომელშიც უფლება უპირატესობას იძენს საპირისპირო სიკეთეზე. უფლებათა შესახებ მსჯელობა ნიშნავს იმის შესახებ მსჯელობას, ცალკეული ღირებულება როგორ მიემართება გარემოებათა უკიდურეს საჭიროებას. ის საჭიროებს ზოგად და, იმავდროულად, პრაქტიკულ მსჯელობას.²⁸

სწორედ ამ მსჯელობას მივყავართ გლობალური კონსტიტუციონალიზმის თეორიის ორ მთავარ მიგნებამდე.

- I. ამოსავალი წერტილი არის ყველა დონის – ეროვნული (იგულისხმება ლიბერალური დემოკრატიები) და საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის მჭიდრო ღირებულებითი ურთიერთკავშირი, რომელიც უმეტესწილად შლის ნაციონალურ ზღვრებს და ხდება გლობალური;
- II. კონსტიტუციონალიზმის ნორმატიული პრიმატი არ გულისხმობს კონკრეტული ხელისუფლების მიერ, კონკრეტული სამართლებრივი ნორმის გამართლებას, არამედ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა/გამართლება არის დამოკიდებული მის განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა თანაზომიერების პრინციპს.

უნივერსალურობის მცდელობის მიუხედავად, გლობალური კონსტიტუციონალიზმი არ არის პოლიტიკური პროექტი, რომლის მიზანია გლობალურ კონსტიტუციურ წესრიგზე დამყარებული მსოფლიო სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ეს არც იმის მცდელობაა, გააიგივოს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი სტრუქტურები შიდა კონსტიტუციურ რეჟიმებთან, როგორც ეკვივალენტი ან ანალოგი. მართალია, გლობალური კონსტიტუციონალიზმი არ არის ფიქსირებული სახელმწიფოებრიობაზე, თუმცა აღიარებს სახელმწიფოს როლს ადამიანების ცხოვრებაში და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში.²⁹ გლობალური კონსტიტუციონალიზმის თეორიას საკმაოდ

²⁸ Robert Alexy, *A Theory of Legal Argumentation: The Theory of Rational Discourse as Theory of Legal Justification* (Oxford University Press 1989).

²⁹ Mattias Kumm, 'Zur Geschichte und Theorie des Globalen Konstitutionalismus. Gegenwärtige Herausforderungen des Globalen Konstitutionalismus' in *Internationale Gerechtigkeit und institutionelle Verantwortung* (De Gruyter 2019).

დამაჯერებელი არგუმენტებით ეწინააღმდეგება მეცნიერთა ნაწილი. თუმცა ამ ნაწილში ამ თეორიის უნივერსალურობის ამბიციიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორი პასუხი შეიძლება გაეცეს მიგრაციის გამოწვევას. მიგრაციასთან მისი კავშირი სწორედ ამ ორივე ფენომენის გლობალური კონტექსტიდან გამომდინარეობს. ამიტომ, შემდეგ თავში განხილული იქნება გლობალური კონსტიტუციონალიზმის მიდგომები მიგრაციის რეგულირების საკითხებისადმი.

III. მიგრაცია, როგორც გამოწვევა და დილემა ნაციონალური სახელმწიფოსთვის

დღეს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას განიცდის, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს კონსტიტუციონალიზმის გაზრებაზე. ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზი გლობალიზაციიდან გამომდინარეობს და ძირითად ორ ფენომენზე კონცენტრირდება – ერთი მხრივ, ეროვნული გრძნობების განმტკიცება და სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეის დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, „ადამიანის“, როგორც ინდივიდის დაცვა მისი მოქალაქეობის მიუხედავად, რასაც მოქალაქეობის ცნების ე.წ. „გადაგვარებად“ მიიჩნევენ.

მთავარი კითხვაა, თუ როგორი სამართლებრივი რეგულაცია შეიძლება დასახელდეს ოპტიმალურად ორივე მიზნის მისაღწევად, რომელიც დაიცავს უცხოელების უფლებებს მასპინძელ სახელმწიფოებში და, ამასთანავე, შეინარჩუნებს მოქალაქეობის ინსტიტუტს და ამით გაუფრთხილდება სახელმწიფოს იდენტობას, მის კულტურულ ღირებულებებს, მის კონსტიტუციურ წესრიგსა და პრინციპებს.

1. გლობალისტების მიდგომა მიგრაციის გამოწვევების მიმართ

როგორც უკვე აღინიშნა, გლობალური კონსტიტუციონალიზმი ნაკლებად არის კონცენტრირებული სახელმწიფო ხელისუფლებაზე და მეტად კონცენტრირებულია ადამიანის, ამ შემთხვევაში, მიგრანტის უფლებათა დაცვაზე. მისი არსიდან გამომდინარე, მიგრაციის გამოწვევაზე პასუხი შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით გაეცეს. ფაქტია, რომ მსოფლიოში, და მათ შორის ევროკავშირის ფარგლებში, უკვე რამდენიმე წელია საკმაოდ სერიოზული მცდელობები აღინიშნება ერთიანი მიგრაციის პოლიტიკის შექმნაზე.

ერთი-ერთი უახლესი მცდელობა მიგრაციის რეგულირებისა სწორედ გლობალური კონსტიტუციონალიზმის იდეიდან გამომდინარეობს. ეს არის

გაეროს 2018 წლის გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციის შესახებ *Global Compact/GCM*.³⁰ ამ შეთანხმების მიხედვით, მიგრაცია დანახულია პოზიტიურ კონტექსტში: „მიგრაცია ისტორიის მანძილზე კაცობრიობის გამოცდილების ნაწილი იყო და ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს არის კეთილდღეობის, ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების წყარო ჩვენს გლობალიზებულ სამყაროში და რომ ამგვარი დადებითი ზემოქმედების ოპტიმიზაცია შესაძლებელია მიგრაციის მმართველობის გაუმჯობესებით“.³¹ მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები, რომ მიგრაციამ შეიძლება გავლენა იქონიოს ქვეყნებზე „ძალიან განსხვავებული და ზოგჯერ არაპროგნოზირებადი გზებით“.

ცხადია, რომ მიგრაცია არ შემოიფარგლება გარკვეული ქვეყნის ტერიტორიით და, აქედან გამომდინარე, მარტივად კვეთს სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესებს, რაც ლოგიკურად საერთაშორისო სამართლის წესრიგით ყველაზე მეტად მოგვარებადი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, ყველა სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად თანაბრად ეხება მიგრაცია და, ამავედროულად, „არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მიგრაცია მარტო მოაგვაროს“.³² სწორედ ეს არის ამოსავალი იდეა დასახელებული მიგრაციის გლობალური შეთანხმებისა, რომელიც ცდილობს ჩამოაყალიბოს საერთაშორისო (ქვეყნებს შორის) მიგრაციის ყოვლისმომცველი რეჟიმი, რისთვისაც ყველა სახელმწიფომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ერთმანეთთან.

გლობალური შეთანხმება მიღებული იქნა მარაკეში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე. 2018 წლის დეკემბერში ის მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, 152 ხმის უმრავლესობით. თუმცა ის ფაქტი, რომ 5-მა სახელმწიფომ წინააღმდეგ მისცა ხმა (ისრაელი, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი და აშშ), 12-მა თავი შეიკავა და 24-მა სახელმწიფომ არ მიიღო მონაწილეობა, თანაბრად აჩვენებს ამ პროექტთან დაკავშირებული სირთულეებისა და ღიად დარჩენილი საკითხების პოტენციალს.

მიგრაციის გლობალური შეთანხმება ემყარება 2030 წლის დღის წესრიგს³³ მდგრადი განვითარებისთვის და ეფუძნება 2016 წლის ნიუ-იორკის დეკლარაციას ლტოლვილთა და მიგრანტებისთვის.³⁴ 2018 წლის ლტოლვილთა შესახებ გლობალურ კომპაქტთან ერთად,³⁵ იგი ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის ქმნის მყარ საფუძველს საერთო პრინციპებისა და

³⁰ UN Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration of 2018.

³¹ GCM No. 8, UN Doc. A/CONF.231/3 (2018); UN Doc. A/RES/73/195 (2018): “Migration has been part of the human experience throughout history, and we recognize that it is a source of prosperity, innovation and sustainable development in our globalized world, and that these positive impacts can be optimized by improving migration governance”.

³² GCM Nos 7, 11 and 15.

³³ UN Doc. A/RES/70/1 (2015); GCM Nos 6 and 18.

³⁴ UN Doc. A/RES/71/1 (2016); GCM No. 3 GCM.

³⁵ UN Doc. A/RES/73/151 (2018).

ვალდებულებების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილები 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის გაგებით და მისი 1967 წლის ოქმის მიხედვით, ასევე არიან მიგრანტები, რომლებიც, ფაქტობრივად, დგანან მსგავსი გამოწვევებისა და დაუცველობის წინაშე და რეალურად სარგებლობენ ადამიანის საყოველთაო უფლებების ერთნაირი დაცვით, მიგრანტები და ლტოლვილები მიეკუთვნებიან ორ განსხვავებულ ჯგუფს, რომლებიც რეგულირდება სხვადასხვა ჩარჩოთი.³⁶ თუმცა აღნიშნული პრობლემატიკა არ არის ამ სტატიის ფარგლებში განხილვის საგანი.

გარდა ამისა, მიგრაციის გლობალური შეთანხმება არ შეიცავს ცალსახა დებულებას მიმღები ქვეყნის იძულებით დატოვების შესახებ. უფრო მეტიც, მხარეები იღებენ ვალდებულებას, „გლობალური შეთანხმების განხორციელებით უზრუნველყონ ეფექტური პატივისცემა, დაცვა და შესრულება, ყველა მიგრანტის უფლებების ეფექტური დაცვა მიგრაციის ციკლის ყველა ეტაპზე, მიუხედავად მათი მიგრაციის სტატუსისა“.³⁷ ამ სიტყვებს ხაზს უსვამს განცხადება, რომ კომპაქტი არის „ადამიანებზე ორიენტირებული“ და აქვს „ძლიერი უფლებრივი განზომილება“.³⁸

მიგრაციის ციკლის ყველა ეტაპი, სხვა ეტაპებს შორის, ასევე მოიცავს მიგრაციის საწყის წერტილს, გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიას. ეს გულისხმობს პირის უფლებას, მიგრაციის მიზნით დატოვოს იგი. ეს ასევე დასტურდება კომპაქტის მე-5 და 21-ე მიზნებიდან, რომელთა მიხედვითაც „რეგულარული მიგრაციისთვის ბილიკების ხელმისაწვდომობა და მოქნილობა“ უნდა გაძლიერდეს.

იმავდროულად, ისიც უნდა განიმარტოს, რომ გლობალური კომპაქტი სახელმწიფოებს მოუწოდებს ითანამშრომლონ, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ ისეთი არახელსაყრელი ფაქტორები, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს დატოვონ საცხოვრებელი. აქ მოიაზრება სახელმწიფოთა ვალდებულება – შეამციროს ბუნებრივი კატასტროფების რისკი, შეარბილოს კლიმატის ცვლილები, შეამციროს ახალგაზრდების უმუშევრობა და თავიდან აიცილოს ტვინების გადინება.³⁹

ზოგადად, საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან, ადამიანი დაცულია იძულებითი მიგრაციისგან, რადგან არ უნდა იყოს იძულებული დატოვოს საკუთარი ქვეყანა. ეს, თავის მხრივ, შეესაბამება ყველა ადამიანის უფლებას, ქვეყნის შიგნით კანონიერად, თავისუფლად აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ქვეყნის ტერიტორიაზე.⁴⁰

³⁶ GCM No. 3 and 4.

³⁷ GCM No. 15.

³⁸ Markus Kotzur, *Migrationsbewegungen als Herausforderungen an das Völkerrecht*, 49 *Berichte der deutschen Gesellschaft für Internationales Recht* (C.F. Müller 2018) 295-319.

³⁹ GCM No. 18.

⁴⁰ Article 12, paragraph 1, *International Covenant on Civil and Political Rights* of 1966.

გზად მიმღები ქვეყნებისკენ მიგრანტებს ბევრი სირთულე და საფრთხე ექმნებათ. სახელმწიფოთა შიდა რეგულაციების გარდა, მათ ამ დროს იცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. მიგრაციის გლობალური შეთანხმება, მიგრანტების სიცოცხლის გადასარჩენად, ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს „საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას, რათა თავიდან აიცილონ მიგრანტების სიკვდილი და დაზიანებები, დაიცვან მათი სიცოცხლე, და ამ მიზნით ინდივიდუალურად ან ერთობლივად ჩაატარონ სამაშველო ოპერაციები“.⁴¹

ამ კონტექსტში საინტერესოა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ორი გადაწყვეტილება, რომლებიც კომიტეტმა მიიღო 2020 წელს. ორივე გადაწყვეტილება ერთსა და იმავე ფაქტს ეხება. 2013 წლის ოქტომბერში სირიელები და პალესტინელები, რომლებიც გეგმავდნენ იტალიაში არალეგალურად შეღწევას, ლიბიის პორტში თევზსაჭერ გემში ჩასხდნენ. გემში იყო დაახლოებით 400 ადამიანი, მათ შორის ბევრი ბავშვი. რამდენიმე საათში გემმა ჩაძირვა დაიწყო. განგაშის ზარი შევიდა იტალიის შესაბამის ორგანოებში. მან მალტის სასაზღვრო ძალებში გადაამისამართა ზარი. თუმცა, დავიანებული რეაქციის გამო, 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის იყვნენ მოსარჩელების ახლობლები.

მალტის წინააღმდეგ განაცხადი, ფორმალური მიზეზების გამო, კომიტეტმა დაუშვებლად მიიჩნია.⁴² მეორე განაცხადი მიმართული იყო იტალიის წინააღმდეგ. აქ კომიტეტმა დაასკვნა, რომ სახელმწიფომ დაარღვია 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლის უფლება (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი /CCPR) და დაადგინა, რომ იტალიამ უნდა აიღოს სრული რეპარაცია მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. კომიტეტმა დაასაბუთა, რომ იტალიამ დროულად ვერ შეძლო რეაგირება მოეხდინა გადაუდებელ შემთხვევაზე და ემოქმედა „ყველა შესაძლო სისწრაფით გასაჭირში მყოფი პირების გადასარჩენად“. შესაბამისად, ვერ დაიცვა მრავალი ადამიანის სიცოცხლე.

სახელმწიფოების პასუხისმგებლობას მიგრანტების სიცოცხლისა და ფიზიკური მთლიანობისთვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ასევე ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. მის მიერ განხილულ ერთ-ერთ ცნობილ საქმეში „ჰირსი ჯამაა და სხვები იტალიის წინააღმდეგ“,⁴³ მომჩივნები, რომლებმაც დატოვეს ლიბია და გემებით იტალიისკენ მიემგზავრებოდნენ, დააკავეს იტალიის სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის კატარღებმა. მოსარჩელები გადაიყვანეს სამხედრო გემებზე და

⁴¹ GCM Objective 8, No. 24.

⁴² Decision of the Human Rights Committee in Case Communication N3043/2017 A.S. et al. v. Malta, 13 March 2020. UN Doc. CCPR/C/128/D/3043/2017. პარაგრაფები 1-7.

⁴³ Judgment of the European Court of Human Rights N27765/09 “Hirsi Jamaa and others v. Italy”, 23 February 2012 (rectified 16 November 2016).

დააბრუნეს ტრიპოლში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ორმხრივი შეთანხმება იტალიასა და ლიბიას შორის, სასამართლომ 2012 წლის გადაწყვეტილებით ერთხმად დაადგინა, რომ იტალიამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან აშკარა იყო, რომ განმცხადებლების უკან დაბრუნებით, მათ ლიბიაში არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა ელოდებოდათ და, იმავდროულად, იდგნენ ერითრეასა და სომალიში თვითნებური დეპორტის რისკის ქვეშ.⁴⁴ თუმცა სხვა, *Hirsi Jamaa and others v. Italy* მსგავს საქმეში სასამართლომ სხვაგვარი მიდგომა განავითარა. მედილას საქმეში ზოგიერთმა პირმა მოახერხა ესპანეთსა და მაროკოს შორის საზღვრის ღობის გადალახვა, მაგრამ ესპანეთმა ისინი მაშინვე დააბრუნა მაროკოში.⁴⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ქმედება არ წარმოადგენდა კოლექტიურ გაძევებას, რადგან განმცხადებლებმა თავად შეიყვანეს სახელმწიფო ამ სიტუაციაში და შექმნეს „დამრღვევი სიტუაცია“ მაშინ, როცა ხელმისაწვდომი იყო ქვეყანაში კანონიერად შესვლის საშუალება. თუ არსებობს ქვეყანაში კანონიერად შესვლის ადგილი, ტერიტორიაზე არაკანონიერად და დიდი რაოდენობით შემოსული პირები შეიძლება დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ სამშობლოში.⁴⁶ სასამართლომ ეს დაასკვნა სახელმწიფოს იმ საერთაშორისო ვალდებულებიდან, რომ მან უნდა დაარეგისტრიროს ყველა თავშესაფრის მაძიებელი თავის საზღვარზე.⁴⁷

ევროკავშირის მიერ სამართალი, რომელიც მიგრაციის პროცესების სამართლებრივ რეგულირებას ცდილობს, შეიძლება დაცულ პირთა ჯგუფების მიხედვით სამ კატეგორიად დაიყოს. ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-18 მუხლით გარანტირებულია თავშესაფრის უფლება. ჟენევის ლტოლვილთა კონვენციისა და ევროკავშირის ორივე ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილი კანონი საკმაოდ დახვეწილია და დამატებით გამდიდრებულია ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.⁴⁸ ამის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ადამიანთა სამი განსხვავებული ჯგუფი, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით. პირველ ჯგუფს წარმოადგენენ ლტოლვილები ჟენევის კონვენციის გაგებით; მეორეს – პირები, რომლებიც არ არიან ლტოლვილები, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მათ ემუქრებათ სიკვდილით დასჯა, წამება, არაადამიანური მოპყრობა ან ასევე მათ სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე ქვეყანაში

⁴⁴ *ibid*, პარაგრაფები 85 და შემდეგი.

⁴⁵ Judgment of the European Court of Human Rights N8675/15 and N8697/15 N.D. and N.T. v. Spain, 13 February 2020. პარაგრაფი 213.

⁴⁶ Eckart Klein, 'Migration and Public International Law' (2023) 3 Vectors of Social Science 5-16.

⁴⁷ Diana Schmalz, 'The Disparate State of Refugee Protection in the European Union' (2022) 82 Heidelberg Journal of International Law 529–539.

⁴⁸ *ib.* სქოლიო 45 *supra*.

მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის გამო. ისინი სარგებლობენ ე.წ. „სუბსიდიარული დაცვით“. მესამე ჯგუფს შეადგენენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ „დროებითი დაცვა“. ეს სტატუსი დაწესდა იმ პირთა მასობრივი შემოდინების განსაკუთრებული შემთხვევისთვის, რომლებიც სამხედრო კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო იძულებულნი არიან დატოვონ ქვეყანა.⁴⁹ სამივე კატეგორიის პირებს აქვთ უფლება, დარჩნენ ევროკავშირში შეზღუდული დროით, თუმცა დროის ლიმიტები განსხვავებულია. ევროკავშირის 2001 წლის დირექტივა მასობრივი შემოდინების შესახებ⁵⁰ აძლევს მათ მაქსიმუმ სამი წლის განმავლობაში ევროკავშირში ყოფნის საშუალებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მათ დარჩენაზე უარის თქმის შემდეგაც, ისინი არალეგალურად რჩებიან ევროკავშირის ტერიტორიაზე. ეს ქმნის პრობლემას კანონის უზენაესობის რეალობაში განხორციელების თვალსაზრისით. მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რომ თავშესაფრის უფლება არ მიეცეს პირს, მისი აღსრულება ვერ ხერხდება, და ამით აზრს კარგავს ზოგადად პროცესი, სახელმწიფო და მართლმსაჯულება კარგავენ ავტორიტეტს. სწორედ ამიტომ ისეთი რეგულაცია უნდა იქნეს შემუშავებული, რომელიც სწორედ რეგულაციების საფუძველზე შეძლებს მიგრანტთა უფლებების უკეთ დაცვას, მათი სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის გარანტირებას.

იმავედროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისეთ გლობალურ პროცესებთან ერთად, როგორიცაა გარემოს ცვლილებებით გამოწვეული პროცესები, ომები, კონფლიქტები, მიგრაციის ნაკადების ბუნებრივად შეჩერება ან შემცირება წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ის უნდა დარეგულირდეს. თუმცა დღემდე არსებული საერთაშორისო რეგულაციებით, რომლებიც ჰუმანიტარული პრინციპებით იმართება, ისევ რჩება მრავალი პრობლემა გადაუჭრელი, იმის გათვალისწინებით, რომ მიმღები სახელმწიფოების რესურსები ვერ იქნება განუსაზღვრელი. ეს რესურსები ამოწურავადა და, შესაბამისად, საჭიროა კონკრეტულ სამართლებრივ ჩარჩოებში მათი მოქცევა.

მიუხედავად მიგრაციის გამოწვევის გადაჭრის არაერთგზის მცდელობისა, ფაქტია, რომ ამ მოვლენას მრავალი პრობლემა ახლავს თან. უპირველესად პრობლემაურია, რომ უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება უკეთესი ცხოვრების ძიებას. გაეროს 2023 წლის მონაცემებით, 2014 წლიდან,

⁴⁹ Jean-Francois Durieux and Agnès Hurwitz, ‘How Many Is Too Many? African and European Legal Responses to Mass Influxes of Refugees’ (2004) 47 German Yearbook of International Law 105-159; Walter Kälin, ‘Temporary Protection in the EC: Refugee Law, Human Rights and the Temptations of Pragmatism’ (2001) 44 German Yearbook of International Law 202-236.

⁵⁰ Directive 2001/55/EC of the Council (20 July 2001) O. J. No. L 2001 (7 August 2001) 12.

ყოველწლიურად ათი ათასამდე მიგრანტი იღუპება, მათი უმეტესობა ზღვა-ში/ოკეანეში იხრჩობა.⁵¹ თუმცა 2023 წელს ყველაზე მეტი, 8565 მიგრანტი დაიღუპა.⁵² ეს გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო სამართლის მიერ აქამდე შემოთავაზებული დაცვის არსებული მექანიზმი არ მუშაობს, საჭიროა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა და მიგრაციის რეგულირების სწორი პოლიტიკის შერჩევა მსოფლიოს მასშტაბით.

2. მიგრაციის გადაჭრის გზა ნაციონალური სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე

არანაკლებ საინტერესოა შეხედულება, თუ როგორ პასუხობს გამოწვევას მოპირისპირე იდეა, რომელიც წინა პლანზე სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას აყენებს, და მხოლოდ შემდეგ განიხილავს მიგრანტის, როგორც ინდივიდის უფლებებს.

ასეთი რეგულირების მოდელად შეიძლება წარმოვადგინოთ ევროპის კონსერვატორული ფრთის ტიპური იდეოლოგიური მიდგომა მიგრაციის გამოწვევების გასამკლავებლად. ერთ-ერთი ასეთი შეიძლება იყოს პროფესორი *რუუდ კუპმანსი*, ნიდერლანდელი სოციოლოგი, მიგრაციის მკვლევარი, რომელიც ბერლინის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიგრაციის კვლევითი გუნდის ხელმძღვანელი და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორია. მის მოსაზრებებზე დისკუსია არა მხოლოდ მიგრაციის მკვლევართა შორის, არამედ ფართო საზოგადოებაშიც ხშირად საკმაოდ მწვავე ურთიერთდაპირისპირებითა და აზრთა სხვადასხვაობით სრულდება.⁵³ 2023 წელს გამოიცა მისი ცნობილი ნაშრომი „თავშესაფრის ლატარია: ლტოლვილთა პოლიტიკის მიმოხილვა 2015 წლიდან უკრაინის ომამდე“⁵⁴. *კუპმანსი* მკაცრად აკრიტიკებს ევროკავშირის ლიბერალურ პოლიტიკას თავშესაფრის გაცემასა და, ზოგადად, მიგრაციის რეგულირებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, „ევროპამ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს თავშესაფრის გაცემის პოლიტიკა, რადგან არსებული იწირავს ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს და წამლავს პოლიტიკურ კლიმატს“. მისი აზრით, საჭიროა კომპრომისი მემარცხენეებსა და კონსერვატორებს შორის, რაც გულისხმობს „რიცხოვრივად თანაბარ მიგრაციას, თუმცა პრიორიტეტს მათთვის, ვისაც დახმარება სჭირდება და სურს მუშაობა“.⁵⁵

⁵¹ Missing Migrants Project <<https://missingmigrants.iom.int/>> [15.02.2024].

⁵² *ibid.*

⁵³ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განცხადება <<https://www.refrat.de/article/pmrechtelehre.html>> [15.02.2024].

⁵⁴ Ruud Koopmans, Die Asyl-Lotterie, Bilanz der Flüchtlingspolitik von 2015 bis zum Ukrainekrieg (C.H. Beck 2023).

⁵⁵ Ruud Koopmans, Europa muss das Asylsystem dringend reformieren (2023) 16/2 Neue Zürcher Zeitung 30-32.

საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია ამ მიზნის მიღწევა მეცნიერს. ავტორის აზრით, ტრაგიკულია, რომ წლიურად, ევროპაში თავშესაფრის მოთხოვნით ასი ათასობით ადამიანი მოიწევს. ბევრი გზაშიც იღუპება. ევროპაში ჩამოსულების მხოლოდ ნახევარი იღებს ლეგალურად თავშესაფარს. რადგან ევროპაში ჩამოსვლა მაღალ რისკებსა და ხარჯებთან არის დაკავშირებული, ბევრი ღარიბი ადამიანი, ქალები, ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები, უკან რჩება. მეორე მხრივ კი, ავტორის აზრით, შედარებით უკეთესი ოჯახების ახალგაზრდებს, ჯანმრთელ მამაკაცებს აქვთ საუკეთესო შანსი, მიიღონ გათამაშების ბილეთი „ლატარიაში“ სახელწოდებით „ევროპული თავშესაფრის კანონი“. ავტორის აზრით, არსებული თავშესაფრის პოლიტიკას თან ახლავს სერიოზული ინტეგრაციის პრობლემები და უსაფრთხოების რისკები ევროპული საზოგადოებებისთვის. დაპირება, რომ ლტოლვილთა მიგრაცია გადაჭრის ევროპის კვალიფიკაციის ნაკლებობასა და დემოგრაფიულ პრობლემებს, არც ისე ახლოსაა შესრულებასთან. გერმანიაში, 2020 წლის ბოლოსთვის, წარმოშობის რვა ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი იყო დამოკიდებული სახელმწიფო შეღავათებზე მათი ცხოვრების ხარჯების დასაფარავად.⁵⁶ ავტორი ამტკიცებს, რომ ლტოლვილებმა გააუპატიურეს 3000-მდე ქალი და ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფატალური ისლამისტური ტერაქტების უმეტესობა განხორციელდა იმ დამნაშავეების მიერ, რომლებიც იყვნენ ლტოლვილები, ან თავს ასაღებდნენ ლტოლვილებად. მხოლოდ გერმანიაში, 2017-დან 2020 წლამდე, დაახლოებით 300 ადამიანი გახდა მკვლელობის მსხვერპლი და 1600-ზე მეტი მკვლელობის მცდელობის მსხვერპლი – იმ დამნაშავეების მიერ, რომლებიც ქვეყანაში ლტოლვილების სტატუსით შევიდნენ. ავტორის აზრით, ეს არის ფასი, რომელსაც იხდიან ლტოლვილები და მასპინძელი საზოგადოება თავშესაფრის კანონის ჰუმანიტარული პრინციპებისთვის. თუმცა ეს გარდაუვალია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება თავშესაფრის მსურველთა საჭიროებების შეჯერება მიმღები საზოგადოებების შესაძლებლობებსა და უსაფრთხოების ინტერესებთან.⁵⁷ მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში არის მცდელობები თავშესაფრის შესახებ კანონის რეფორმირებისა, პრობლემები ჯერჯერობით არ შეცვლილა. ამ პრობლემიდან გამოსავალი, *რუუდ კუჰმანსის* აზრით, ყველაზე დიდი გამოწვევა პროგრესულ და კონსერვატიულ პოლიტიკურ ბანაკებს შორის კომპრომისის პოვნაა.⁵⁸

საინტერესოა, როგორ გამოიყურება სქემა, რომელსაც ის სთავაზობს საზოგადოებას, როგორც კომპრომისს, და რატომ არის იგი მხოლოდ

⁵⁶ იხ. სქოლიო 53 supra.

⁵⁷ იხ. სქოლიო 54 supra.

⁵⁸ ibid.

კონსერვატულად მოსაწონი. ახალი „კომპრომისული“ მოდელის მიხედვით იგი აყალიბებს ნ-პუნქტიან სისტემას. მას აქვს შემდეგი კუმულაციური პირობები:

1. თავშესაფრის გამცემმა ქვეყანამ წლიურად უნდა მიიღოს იმდენივე ლტოლვილი/მიგრანტი, რამდენსაც ის აქამდე, ყოველწლიურად იღებდა.
2. იმისთვის, რომ მიგრანტთა ნაკადები არ დაიღუპოს გზაში, მიმღებმა ქვეყნებმა ადგილზე გასვლის ქვეყნებში უნდა გახსნან პუნქტები, იქვე უნდა განიხილონ განაცხადები და შეარჩიონ მიგრანტები ჰუმანიტარული ნიშნით.
3. თუ ასეთი ქვეყნებიდან უკონტროლო მიგრაცია მაინც დაფიქსირდება, მაშინ სახმელეთო ან საზღვაო გზით შემოსულ მიგრანტებს არ ექნებათ უფლება, რომ თავად აირჩიონ თავშესაფრის მიმცემი სახელმწიფო. ისინი განაწილებულნი იქნებიან „მესამე ქვეყნებში“, სადაც დარჩებიან იმდენი ხანი, რამდენიც დაჭირდება მათი განაცხადის განხილვას თავშესაფრის მიცემაზე. დადებითი გადაწვეტილების შემთხვევაში ისინი მიიღებენ თავშესაფარს იმ ქვეყანაში, რომელზეც მიიღება გადაწვეტილება არა მისი არჩევის, არამედ მიმღები სახელმწიფოს მიერ.
4. „დროებით მიმღებ, მესამე ქვეყნებად“ შეირჩევიან ისეთი ქვეყნები, სადაც დაცული იქნება მათი უფლებები. მაგალითად მას მოჰყავს ალბანეთი, მოლდოვეთი, ტუნისი ან სენეგალი. ასევე არ გამორიცხავს საქართველოს. და შეთანხმდება კონკრეტული რაოდენობა, რამდენი თავშესაფრის მომთხოვნის დროებით შეფარებას შეძლებს ქვეყანა. ავტორი კრიტიკულია, მაგალითად, რუანდის მიმართ, რომელთანაც დიდ ბრიტანეთს აქვს მოლაპარაკებები, რადგან ამ ქვეყანაში შეიძლება დაირღვეს მიგრანტების უფლებები.
5. აუცილებელია, რომ დროებით მიმღებ ქვეყნებთან გაიმართოს „თანაბარუფლებიანი“ და სამართლიანი მოლაპარაკებები, რომლის მიხედვითაც ეს სახელმწიფოები მიიღებენ განსაზღვრულ თანხას (რაც მათ ეკონომიკურ განვითარებაში დაეხმარება) და მათი მოქალაქეები მიიღებენ გამარტივებულ წვდომას ევროკავშირის შრომის ბაზარზე, რაც ასევე სასარგებლო იქნება ევროკავშირისთვის, რადგან ამ ქვეყნებში გაცილებით უკეთ მომზადებული ადამიანური კაპიტალია, ვიდრე ევროკავშირში. გარდა ამისა, ეს ქვეყნები ფინანსურ სარგებელს ნახავენ, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკას მოხმარდება და ამ გზით ეს ქვეყნები განვითარდებიან.
6. ის, რომ ლტოლვილებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა ევროპის კონკრეტულ ქვეყანაში მიიღონ თავშესაფარი, დააფრთხობს მათ და შეჩერდება/შემცირდება ის დიდი ნაკადები, რომლებიც ადგება ევროკავშირს.

ავტორის აზრით, აღნიშნული შეამცირებს, ერთი მხრივ, არალეგალურ მიგრაციას, მეორე მხრივ, თავშესაფარს მიიღებენ ის ადამიანები, რომლებიც მოწყვლადები არიან და არა ისინი, რომლებიც უკეთესი პირობების გამო ახერხებენ ევროპაში თავშესაფრის მოთხოვნას. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება მიგრაციის იმგვარი რეგულირება, რომ ევროკავშირის გარეთ შერჩეული იქნეს თავშესაფრის უფლების მქონე პირები, რაც აარიდებს ევროკავშირს არალეგალურად ლტოლვილთა ევროკავშირში დარჩენას, ამით ის შეამცირებს იმ უარყოფით ზეგავლენას, რომელიც კრიმინალური დონის ზრდას იწვევს.

გარდა ამისა, მესამე ქვეყნებში თავშესაფრის მომთხოვნთა გაგზავნა გამოიწვევს მიგრაციის კლებას ევროკავშირში. ევროკავშირი კი ისარგებლებს მესამე ქვეყნებიდან შემოსული მაღალ/საშუალოდ კვალიფიცირებული სამუშაო ძალით.⁵⁹

აღნიშნული კონცეფცია საკმაოდ პრობლემატურია რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველესად, იგი დისკრიმინაციულია და რიცხვებით მანიპულირებს, როცა ევროკავშირის ქვეყნებში კრიმინალის ზრდას და უსაფრთხოების რღვევას მიგრანტებს უკავშირებს. ერთი მხრივ, მართალია, რომ ლტოლვილები სხადიან სისხლის სამართლებრივ დანაშაულებს, თუმცა, თუ სტატისტიკას პროცენტულად გადავხედავთ, მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლტოლვილები/უცხოელები უფრო მეტად სხადიან დანაშაულებს, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. ბოლო სტატისტიკა გვაჩვენებს რომ 2021 წელს გერმანიაში ჩადენილი სისხლის სამართლებრივი დანაშაულებიდან 7,1% იყო უცხოელი (არამოქალაქე)⁶⁰. მაშინ, როცა გერმანიაში მოსახლეობის 32 პროცენტს შეადგენენ უცხოელები.⁶¹ ასევე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ მოქალაქეებზე უფრო ხშირად ბრალდებულ უცხოელებს არ უდასტურდებათ ბრალი, რაც გარკვეულ სტიგმაზე მიუთითებს. განსაკუთრებულად დიდი ტალღა ლტოლვილებისა გერმანიამ მიიღო 2015-2016 წლებში, კრიმინოლოგ *კალბურგის* აზრით, გერმანიაში კრიმინალიტეტის მომატებაზე ამ ფაქტმა, შესაძლოა, ითამაშა გარკვეული როლი, თუმცა არა საგრძნობი.⁶²

გარდა ამისა, იგი ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით *კუმანის* თეორიასთან ურთიერთწინააღმდეგობრივია. მაგალითად, მსჯელობის დაწყებისას, როგორც აღინიშნა, ამოდის იქიდან, რომ უმრავლესობა ლტოლვილებისა

⁵⁹ იხ. სქოლიო 53 supra.

⁶⁰ ეს რიცხვი 2018 წლიდან მუდმივად იკლებს.

⁶¹ იხ. სტატისტიკა გერმანულ გაზეთ Tagesspiegel-ში <<https://www.tagesspiegel.de/politik/gefluchtete-und-kriminalitaet-was-hinter-den-zahlen-steckt-9602333.html>> [15.02.2024].

⁶² ibid.

არის კრიმინალი, შემდგომ კი „მესამე, დროებით მიმღებ ქვეყნებში“ მათი გადაყვანით ხედავს ამ ქვეყნების განვითარებას. ამასთან, „მესამე, დროებით მიმღები ქვეყნების“ მოქალაქეებს ხედავს, როგორც კარგ ადამიანურ კაპიტალს, ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმებას სთავაზობს. გარდა ამისა, მისი აზრით, ნაწილობრივი დემოკრატიის ქვეყნები იმ ფინანსური კონტრიბუციით, რომელსაც გაიღებს ამისთვის ევროკავშირი, ეკონომიკურად განვითარდება. იმავდროულად ამტკიცებს, რომ „მესამე, დროებით მიმღები ქვეყნები“ ნაწილობრივად/ნახევრად დემოკრატიული რეჟიმების ქვეყნებია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ასეთ ქვეყნებში თანხები ნაკლებად ინვესტირდება მოსახლეობის კეთილდღეობაში და ხშირად კორუფციის წყაროდ იქცევა. ამიტომ არგუმენტი „მესამე, დროებით მიმღები ქვეყნების“ განვითარებისა და კეთილდღეობის შესახებ სუსტია და არ არის დასაბუთებული. რამდენიმე სამეცნიერო და ასევე პოლიტიკურ დონეზე გამართულ დისკუსიაში საუბარი იყოს მათ შორის საქართველოს „დროებით მიმღები ქვეყნის“ სტატუსზე.⁶³ მით უმეტეს, დისკუსია შესაძლოა კვლავ აქტუალური გახდეს საქართველოსთვის უსაფრთხო ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდეგ.⁶⁴ ზემოთ ჩამოთვლილი წინააღმდეგობების გარდა, საქართველოს შემთხვევაში ამას ემატება, თვით ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით. როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის შიგნით, რუსეთთან კონფლიქტიდან გამომდინარე, 280 ათასამდე ადამიანი არის დევნილი/იძულებით გადაადგილებული, რაც უკვე რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას ქმნის. შესაბამისად, ამ ფაქტორის გათვალისწინებით კიდევ უფრო გართულებს საქართველოსთვის ამ სტატუსის განხილვა.

გარდა მისი დისკრიმინაციულობისა, კონცეფცია ეწინააღმდეგება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს,⁶⁵ რომელიც მსოფლიოს განვითარებას მხოლოდ ერთიან კონტექსტში ხედავს. აღნიშნული კონცეფცია კი კიდევ უფრო აღრმავებს და ზრდის უთანასწორობას ქვეყნებს შორის. იგი ცდილობს მიგრაციით გამოწვეული „დისკომფორტი“ კი არ მოაგვაროს, არამედ გაიტანოს ევროპის ფარგლებს გარეთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მესამე ქვეყნიდან იმ მოქალაქეების გასვლა, რომლებიც კონკურენტული იქნებიან თვით ევროპის ბაზარზე, გამოიწვევს ტვინების გადინებას. ამის თავიდან აცილებას კი ცდილობს გაეროს ზემოთ განხილული კომპაქტი.⁶⁶

⁶³ იხ. სტატისტიკა <https://idf.ge/ge/statistics_of_internally_displaced_persons_in_georgia_by_income> [15.02.2024].

⁶⁴ 2023 წლის 23 დეკემბრიდან საქართველო და მოლდოვა გახდნენ უსაფრთხო ქვეყნები.

⁶⁵ Department of Economic and Social Affairs Sustainable Development <<https://sdgs.un.org/goals>> [15.02.2024].

⁶⁶ GCM No. 18.

დღეის მდგომარეობით, დაახლოებით ასეთი მოდელი მუშაობს რამდენიმე ქვეყანაში. მაგალითად, ავსტრალიაში, რომელიც ე.წ. „დაფრთხობის პოლიტიკას“ ახორციელებს და სამიზნე ქვეყნის ნაცვლად ლტოლვილებს პაპუა – ახალ გვინეასა და ნაურუში უშვებს. ასევე ბრიტანეთი, სადაც 2023 წლის შემდეგ განსაკუთრებული რეჟიმი ვრცელდება გემებით შემოსულ ლტოლვილებზე, მესამე ქვეყნად ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი რუანდა არის შერჩეული. კანონით „არალეგალური მიგრაციის შესახებ“, ლტოლვილისათვის თავშესაფრის მიცემის საკითხი მხოლოდ დეპორტაციის შემდეგ განიხილება. აღნიშნული რეგულაცია მკაცრად არის გაკრიტიკებული გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ და მიჩნეულია, რომ დიდი ბრიტანეთი პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის (გენფის კონვენციას ლტოლვილთა შესახებ) ნორმებს, განსაკუთრებით კი კოლექტიური გადაცემის აკრძალვას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარ *ტურკის* თქმით, „ეს კანონი არა მხოლოდ სერიოზულ სამართლებრივ შემოთხზას იწვევს საერთაშორისო პერსპექტივიდან, არამედ ქმნის შემაშფოთებელ პრეცედენტს. თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებული ვალდებულებების გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს სხვა ქვეყნები, მათ შორის ევროპაში, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემაზე მთლიანობაში“.⁶⁷ იგი, იმავდროულად, მოუწოდებს გაერთიანებული სამეფოს მთავრობას, ინიციატივა აიღოს კანონის გაუქმებაზე და უზრუნველყოს ყველა მიგრანტის, ლტოლვილისა და თავშესაფრის მაძიებლის უფლებების პატივისცემა, დაცვა და შესრულება დისკრიმინაციის გარეშე. „ამ მიზნით, ასევე უნდა განხორციელდეს ძალისხმევა თავშესაფრის ან ადამიანის უფლებების შესახებ განცხადებების სწრაფი და სამართლიანი განხილვის უზრუნველსაყოფად“.⁶⁸

გერმანიაშიც, ფედერალური მთავრობის დონეზე, დაწყებული მსგავსი მოდელის განხილვა. მთავრობა განიხილავს, შეუძლია თუ არა გერმანიას თავშესაფრის პროცედურების გატანა მესამე ქვეყნებში, რადგან მსგავს სქემებს სხვა ქვეყნებიც ახორციელებენ. გაეროს ლტოლვილთა დახმარების კომიტეტი *UNHCR* მიიჩნევს, რომ თავშესაფრის პროცედურების მესამე ქვეყნებში გატანა, პრინციპში, შესაძლებელია – თუმცა ამასთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი და მხოლოდ მკაცრი პირობებით განხორციელდეს. როგორც ცნობილია დამკვიდრებული მოდელი ითვალისწინებს, რომ თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც უკვე ჩამოვიდნენ, გაჰყავთ ქვეყნიდან მესამე, დროებით მიმღებ ქვეყანაში, სადაც უნდა დაელოდონ თავშესაფრის მიცემის პროცედურის შედეგს.

⁶⁷ United Nations High Commissioner for Refugees, ‘UK, UN warn of profound impacts on human rights and international refugee protection system’ (2023) <<https://www.unhcr.org/dach/at/94755-uk-un-warnen-vor-tiefgreifenden-auswirkungen-auf-die-menschenrechte-und-das-internationale-fluchtlingschutzsystem.html>> [15.02.2024].

⁶⁸ *ibid.*

მკაცრი პირობებით გულისხმობს, რომ ის ქვეყნები, სადაც გადაყვანილი იქნებიან თავშესაფრის მაძიებლები, პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს, არიან მიერთებულნი და ასრულებენ ჟენევის ლტოლვილთა კონვენციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებას. *UNHCR*-ის განცხადებით,⁶⁹ სახელმწიფოთა შორის შესაბამისი შეთანხმებით უნდა მოხდეს „ლტოლვილებზე პასუხისმგებლობის სამართლიანად გაზიარება სახელმწიფოებს შორის“. დანიშნულების ქვეყანამ უნდა შეინარჩუნოს პირველადი პასუხისმგებლობა თავშესაფრის განცხადებების განხილვაზე, ამასთანავე, საერთაშორისო დაცვა უნდა მიანიჭოს სახელმწიფომ, სადაც თავშესაფრის მაძიებელი ჩამოდის და ითხოვს თავშესაფარს.

გერმანიაში ამ ეტაპზე (2023 წლის ნოემბრიდან)⁷⁰ მიმდინარეობს სქემის შესაძლებლობის შემოწმება, თუ რამდენადაა შესაძლებელი თავშესაფრის პროცედურების ჩატარება ტრანზიტულად მესამე ქვეყნებში, ანუ ევროკავშირის გარეთ.

IV. დასკვნა: რამდენად შესაძლებელია მიგრაციის გამოწვევის გადაჭრა გლობალური კონსტიტუციონალიზმის მიდგომებით

ორი ურთიერთდაპირისპირებული იდეის განხილვისას მთავარი პრობლემა, რომელსაც ორივე მხარე ხედავს, არის არარეგულარული მიგრაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივად, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიგრაცია, მაქსიმალურად უნდა იქნეს გადატანილი არალეგალურიდან ლეგალურ სივრცეში. მცდელობების მიუხედავად, დღემდე არ არის შესაძლებელი მიგრაციის რეალური რეგულირება. როგორც უკვე სტატიაში აღიწერა, მსოფლმხედველობის მიხედვით სრულიად განსხვავებული გზები არსებობს. თუმცა ორივე მსჯელობას მეტ-ნაკლებად აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტატიაში განხილული იქნა მიგრაციის გამოწვევების მოგვარების ალტერნატიული გზები, უფრო ნათელი გახდა, რომ მხოლოდ გლობალური კონსტიტუციონალიზმის იდეიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, და მისი მსოფლმხედველობის ფარგლებში შეიძლება მიგრაციის პრობლემის გამკლავება. მართალია, მრავალი ათეული წლის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოება ვერ თანხმდება ერთიან პოლიტიკაზე, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ქვეყნები დამოუკიდებლად, თავიანთი ნაციონალური ინტერესიდან გამომდინარე, ვერ აგვარებენ გლობალურ პრობლემებს. კონკრეტული სახელმწიფოს თვალთახედვით, შესაძლოა

⁶⁹ გერმანიაში UNHCR წარმომადგენლის Katharina Lupp-ის განცხადება: <<https://www.tagesschau.de/inland/migration-asylverfahren-drittstaaten-100.html>> [15.02.2024].

⁷⁰ *ibid.*

პრობლემა მის ტერიტორიაზე მოგვარდეს, თუმცა რეალურად ეს არის პრობლემის სხვა ტერიტორიაზე გადატანა, გადაწევა და არა მოგვარება. სწორედ ამიტომ არის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები მთელი მსოფლიოსათვის, ყველა ქვეყნისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი, მიუხედავად იმისა, რამდენად განვითარებულია იგი.

მნიშვნელოვანია, საკითხების მოგვარება დაიწყოს გამოწვევის იმ კუთხიდან, რომელიც ყველაზე უფრო მარტივად გადასატრელია. ეს შეიძლება იყოს შრომითი მიგრაციის საკითხების გამარტივება, დახვეწა და მის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა. ამით, უპირველესად, დაცული იქნება მიგრანტთა უფლებები, რომლებიც არაღელვარულად მუშაობენ ევროპაში, და ხშირად ამის გამო ჩაგვრის მსხვერპლი არიან. ასე დასაქმებულ ადამიანებს მაქსიმალურად სწრაფად უნდა მიეცეს შესაძლებლობა, იყვნენ კანონიერად დასაქმებული. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოებს გადასახადების მხრივ მეტ შემოსავალს მოუტანს.

ზოგადად, ყველა სირთულე შეიძლება დაიდლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები მზად არიან ითანამშრომლონ და საერთაშორისო მიგრაცია საერთო ამოცანად განიხილონ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის პერსპექტივები არ არის დიდად იმედისმომცემი, კომპაქტი სამართლიანად მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს მეტი თანამშრომლობისკენ, ყველას ინტერესებისთვის.⁷¹

გლობალური კომპაქტის მე-8 მუხლის მიხედვით, „არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტო მიგრაციის საკითხის გადაჭრა“. მხოლოდ სოლიდარობას, რომელიც საერთაშორისო საჯარო სამართლის ძალიან მნიშვნელოვან პრინციპად ჩამოყალიბდა, შეუძლია შექმნას შესაძლებლობა, რომელიც უპასუხებს საერთაშორისო მიგრაციის გამოწვევებს.⁷² იმავდროულად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეთანხმება სახელმწიფოების მიერ უნდა განხორციელდეს გონივრული განსჯის საფუძველზე და მასში მონაწილეობა მიიღოს ყველა სახელმწიფომ – წარმოშობის,⁷³ ტრანზიტისა და დანიშნულების სახელმწიფოებმა. გონივრული ბალანსისათვის, მნიშვნელოვანია პროცესებში გათვალისწინებული იყოს თავად მიგრანტების პასუხისმგებლობა. ამ საკითხის შესახებ დისკუსიებს საერთაშორისო აქტების მიღების პროცესში ჯერ კიდევ არ ეთმობა სათანადო ყურადღება.⁷⁴

⁷¹ Ekart Klein, 'Migration and Public International Law' (2023) 3 Vectors of Social Sciences 14.

⁷² Rüdiger Wolfrum and Chie Kojima (eds), *Solidarity: A Structural Principle of International Law* (Springer 2010).

⁷³ წარმოშობის ქვეყანა – უცხოელის მოქალაქეობის ქვეყანა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა.

⁷⁴ Christian Tomuschat, 'Der UN-Migrationspakt' in *Österreichs Verfassungsrecht, Völkerrecht, Menschenrechte – Vom Recht im Zentrum der Internationalen Beziehungen* in Festschrift für Ulrich Fastenrath (C.F. Müller 2019).

გლობალური კონსტიტუციონალიზმის მთავარი ღირსებაა, რომ იგი მიგრაციას დადებით მოვლენად აფასებს და ამ გადმოსახედიდან ცდილობს მის რეგულაციას. ამ ამოსავალი წერტილიდან უფრო მარტივია, იყოს ორიენტირებული მიგრანტების უფლებათა დაცვაზე და კონცენტრირება მოახდინოს სწორედ ინდივიდების უფლებებზე.

21-ე საუკუნის დასაწყისში მიგრაციას, ახალი, უდიდესი მნიშვნელობის ფონზე, საერთაშორისო საზოგადოება და საკუთრივ სახელმწიფოები ახალი, უფრო გააზრებული, მეცნიერული დისკურსის ფარგლებში განვითარებული მიდგომით უნდა შეხვდნენ. სწორედ კლასიკური გლობალური კონსტიტუციონალიზმის მე-3 ელემენტის (დემოკრატია, სამართლის უზენაესობა და ადამიანის უფლებები) ფარგლებში უნდა დადგეს ასეთი კომპრომისი. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ კომპრომისული გადაწყვეტილების ძიებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც თითოეული ადამიანის, ინდივიდის კეთილდღეობას, ასევე თითოეული სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობას და მათ ინტერესებს.

გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სასჯელის დანიშვნით და მისგან გათავისუფლების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

აბსტრაქტი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს იმ სამართლებრივ საფუძვლებს, თუ რა დროს შეუძლია სასამართლოს პირის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, დაუნიშნოს სასჯელი და შემდგომ მისი მოხდისაგან გათავისუფლოს. სახელდობრ, საერთო სასამართლოების სისტემაში გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით გამოდის, მაგალითად, თუკი გასულია დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, ან თუ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი ან განახორციელა ქმედითი მონაწილეობა.

კანონმდებლის ეს პოზიცია არაერთ კითხვას აჩენს პრაქტიკული თუ დოგმატური თვალსაზრისით. აღნიშნულ სტატიაში სამართლებრივად გაანალიზებულია, რამდენად შესაძლებელია სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს იმ პირის მიმართ, ვინც, მაგალითად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღო, ან თუნდაც ქმედითად მოინანია ჩადენილი დანაშაული, ან თუკი სისხლის სამართლის საქმეზე გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

გამომდინარე აქედან, წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც აღნიშნულ დანაწესს განსაზღვრავს. დასახელებული პრობლემა განხილულია როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ისე მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით. გარდა ამისა, კანონის ამ ნორმის სამართლებრივი ანალიზი ნაშრომში წარმოდგენილია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე.

* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე [lavrenti.maghlakelidze@tsu.ge]

I. შესავალი

სასამართლოში განაჩენის დადგენა საქმის განხილვის შემაჯამებელი ეტაპია. იგი არის ინსტიტუციურად მიღებული გადანაცვებები, რომელიც სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვის საფუძველზე. განაჩენის იურიდიული ბუნება გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს განაჩენით შესაძლებელია პირი ცნობილი იქნეს დამნაშავედ და დაეკისროს შესაბამისი სასჯელი. გამამტყუნებელი განაჩენი, პირობითად, შეიძლება დაიყოს სამ სახედ: (1) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით; (2) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით; (3) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.¹

აღნიშნული სტატიის მიზანია სამართლებრივად გაანალიზდეს გამამტყუნებელი განაჩენის მეორე სახე. კერძოდ, როცა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. ზემოთ მითითებული სამართლებრივი საფუძვლები კი მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის² 269-ე მუხლის მე-5 ნაწილში, სადაც კანონმდებელი დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი მოსამართლემ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით და შემოდგომში მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ნორმა მიუთითებს შემდეგს: გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის: ა) გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; ბ) გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; გ) პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი; დ) პირმა განახორციელა ქმედითი მონაწილეობა; ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2862, 3221, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის³ 1431 ან/და 1432 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

¹ ნიშანდობლივია, რომ ანალოგიურ დანაშაულს ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ძველი რედაქციით (1998 წლის მოქმედი რედაქცია, რომელიც ძალადაკარგულია). კერძოდ, კოდექსის 503-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებდა: „გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოიტანონ: ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით; ბ) სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით; გ) სასჯელის დაუნიშნავად“, ასევე, შეად. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი (მერიდიანის გამომცემლობა 2017) 675.

² შემდგომში სსსკ.

³ შემდგომში სსკ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, როგორც აღმოჩნდა, ამომწურავად განსაზღვრავს იმ სამართლებრივ საფუძვლებს, თუ რა დროს შეუძლია სასამართლოს პირის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, დაუნიშნოს სასჯელი და მისი მოხდისაგან გაათავისუფლოს. თუმცა, კანონმდებლის ეს პოზიცია, ერთი შეხედვით, არაერთ კითხვას აჩენს პრაქტიკული თუ დოგმატური თვალსაზრისით. მაგალითად, რატომ უნდა დაადგინოს სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღო, ან თუნდაც ქმედითად მოინანია ჩადენილი დანაშაული ან თუ გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. გამომდინარე აქედან, წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის ნორმატიული შინაარსი როგორც პროცესუალურ-სამართლებრივ, ისე მატერიალურ-სამართლებრივ ჭრილში, ასევე მოხდება ამ ნორმის სამართლებრივი ანალიზი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე.

II. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, როცა გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა

სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გაათავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

იურიდიულ ლიტერატურაში ხანდაზმულობა განიმარტება, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ვადის გასვლის შედეგი, რომლის დროსაც, როგორც წესი, გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო მსჯავრდებულის შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან.⁴

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ხანდაზმულობას მიიჩნევს მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტად, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის – პროცესუალურ-სამართლებრივ ინსტიტუტად⁵, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არის მოთავსებული სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში.⁶ ძირითადად ამ ინსტიტუტის გარშემო დავის

⁴ შოთა ბიჭია, ხანდაზმულობა სისხლის სამართალში (მერიდიანის გამომცემლობა 2010) 200–201.

⁵ მაგალითად, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადების შესახებ ნორმა საპროცესო-სამართლებრივი ხასიათისაა, რომელიც გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის დაცვის ქვეშ არ ექცევა. ითვლება, რომ ხანდაზმულობა უკავშირდება სისხლისსამართლებრივ დევნას და არა დასჯადობას. ამის შესახებ იხ. Claus Roxin, Strafrecht, Allgemeiner Teil I (4 Auflage, Beck 2006) 167–168; Rudolf Rengier, Strafrecht, Allgemeiner Teil (2 Auflage, Beck 2010) 18.

⁶ შეად. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა, მერიდიანის

საგანს წარმოადგენს როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე სამართალწარმოებაში მისი რეტროაქტიულობა⁷. კერძოდ, ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი პირის დასჯადობის საკითხის გადაწყვეტა მაშინ, როცა ამოწურულია ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები.⁸ მართალია, ამ კითხვებზე პასუხი საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ამომწურავად გასცა, თუმცა, ის პრობლემა, რაზეც ქვემოთ იქნება მსჯელობა, სასამართლოში არ გამხდარა დავის საგანი. ამ შემთხვევაში კი, საუბარია შემდეგ მოცემულობაზე: საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია დანაშაულისათვის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, მაშინ, როცა იმავე საფუძვლით, სსკ-ის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ წყდება.

ამდენად, პირველ შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის საქმე არსებითად იხილება და დადასტურდება, რომ საქმეზე გასულია ხანდაზმულობის ვადები იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაც პირის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით დასტურდება, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით.

მეორე შემთხვევაში კი, იმავე საფუძვლით, როცა სისხლის სამართლის საქმე გამოძიების ეტაპზეა, პროკურორის დადგენილებით სისხლის სამართლებრივი დევნა წყდება. კანონმდებელი ასეთი მიდგომით პირს იცავს ნეგატიური პასუხისმგებლობის მოლოდინის უარყოფითი შედეგებისაგან, ვინაიდან პირი სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესშიც განიცდის გარკვეულ უფლებრივ შეზღუდვებს. მაშინ, როცა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გამამტყუნებელ განაჩენს თავისი უარყოფითი შედეგები მოსდევს. მაგალითად, მისთვის სამოქალაქო სამართლებრივად ზიანის დაკისრება, რომ არაფერი ითქვას მისი რეპუტაციის შელახვასა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე.

გამომცემლობა 2013) 34; მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული მოძღვრება (პირველი წიგნი, მერიდიანის გამომცემლობა 2011) 111-123; იხ. ასევე: საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/428,447,459 „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2009 წლის 13 მაისი. პარაგრაფი 24.

⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ლავრენტი მაღლაკელიძე, „კანონის უკუძალის აკრძალვის პრობლემა მატერიალურ სისხლის სამართალში (სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი)“ (2022) 2 საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი 145-168.

⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/428,447,459 „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2009 წლის 13 მაისი.

რაც შეეხება ამ დროს პირის ნასამართლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასჯელისგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ“. რაც ნიშნავს იმას, რომ ახალი, სხვა ქმედების ჩადენის დროს კანონის საფუძველზე გასამართლებისა და სასჯელის დანიშვნის მიუხედავად, პირს ძველი ნასამართლობა არ წარმოეშობა. შესაბამისად, ნასამართლობის არქონა იცავს პირს ნასამართლობიდან გამომდინარე უარყოფითი და არასასურველი სამართლებრივი შეზღუდვებისგან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მაგალითად, საჯარო სამსახურში დასაქმების თვალსაზრისით). ამდენად, ნასამართლობისგან გათავისუფლება ასეთ შემთხვევაში, გამორიცხავს რისკს, რომ მომავალში პირის მიერ გარკვეული დანაშაულების ჩადენისას მას პასუხისმგებლობა დაუმიძღება.⁹

თუმცა, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, არის მსჯავრდებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ქმედების სუბიექტი, რომელიც დამნაშავედ იქნება ცნობილი და სასჯელი დაენიშნება კანონის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლდება სასჯელის მოხდისგან, მაინც ჩაითვლება მსჯავრდებულად. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს არაერთ მუხლს, სადაც ცალკეულ შემთხვევაში ქმედების დამაფუძნებელ გარემოებას წარმოადგენს შესაბამისი დანაშაულის ჩადენა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის მიერ (მაგალითად, სსკ-ის 273-ე მუხლი, 2381-ე მუხლი და ა.შ.). ყოველივე აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ კანონის საფუძველზე პირის გამტყუნება და სასჯელის დანიშვნა და მისი შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება არ არის ფორმალური და რეალური სამართლებრივ შედეგს მოკლებული აქტი. თავისთავად, იმ ფაქტის გამო, რომ პირის მიმართ წინათ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, მას შეიძლება დაეკისროს გაზრდილი და უფრო მძიმე პასუხისმგებლობა გარკვეული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში¹⁰.

⁹ შეად. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633/634 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი. პარაგრაფი 25.

¹⁰ შეად. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633/ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი. პარაგრაფი 26.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა, რატომ არ შეუძლია სასამართლოს ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, თუკი მხარე სასამართლოზე აღნიშნულის თაობაზე შუამდგომლობს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკაში არაერთი გადაწყვეტილება არსებობს.

1. პრობლემის განხილვა ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

1.1. სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციის შესაბამისად

საერთო სასამართლოების პრაქტიკა ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე არაერთგვაროვანია. მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის დადასტურების შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიყენება ორი სხვადასხვა ნორმა: სსსკ-ის 105-ე და 269-ე მუხლები. პირველი უკავშირდება გამოძიების შეწყვეტისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძველებს, მეორე კი – ადგენს იმ წესს, თუ რა დროს უნდა იქნეს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი ისე, რომ პირს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი, მაგრამ შემდგომში მისი მოხდისგან გათავისუფლდეს.

ნიშანდობლივია, რომ მსგავს დანაშეს ითვალისწინებდა ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც (1998 წლის რედაქცია). კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველად წარმოდგენილი იყო სსსკ-ში 28-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სახით. საქმის არსებითად დასრულების შემთხვევაში, სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავდა იმ წესს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მოსამართლე მაშინ, როცა გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდა ასეთ ვითარებაში. სახელდობრ, მოსამართლეს, ისევე, როგორც დღეს მოქმედი საპროცესო კანონის თანახმად, უნდა დაენიშნა მსჯავრდებულისათვის სასჯელი და შემდგომ მისი მოხდისაგან გაეთავისუფლებინა. თუმცა, კანონის ეს უკანასკნელი დანაწესი გაუქმდა 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დარჩა მხოლოდ საგამონაკლისო წესით პროცესის გაგრძელების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებული (საუბარია მხოლოდ ბრალდებულზე) წინააღმდეგი იქნებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა. ასეთ შემთხვევაში, სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, პროცესი ჩვეულებრივი წესით გაგრძელდებოდა მანამ,

სანამ სასამართლო არ გამოიტანდა გამამართლებელ ან გამამტყუნებელ განაჩენს. გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მოსამართლე სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით ადგენდა პირის მიმართ განაჩენს.¹¹ სხვა შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

გარდა აღნიშნულისა, მოსამართლეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სასჯელის დანიშვნითა და მისგან გათავისუფლებით შეეძლო ასევე კიდევ ერთ შემთხვევაში (სსსკ-ის 503-ე მუხლით): თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემული იყო ამნისტიის აქტი, რომელიც ათავისუფლებდა პირს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

ამდენად, ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ხანდამზულობის ვადის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძვლად გამოძიებისა და სასამართლოს ეტაპზე გამოიყენებოდა 2006 წლიდან მხოლოდ სსსკ-ის 28-ე მუხლი. ამ მხრივ კი საინტერესოა სასამართლოს პრაქტიკა ამ ნორმასთან მიმართებით.

უმენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმეზე სწორად გამოიყენა სსსკ-ის 28-ე მუხლი (ძველი რედაქცია) და პირის მიმართ სამართლიანად შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა¹². საქმის ფაქტობრივი გარემოება კი მდგომარეობდა შემდეგში: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 9 ნოემბრის განაჩენით ტ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევითა და ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება-მისაკუთრების მიზნის გარეშე, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია).

მსჯავრდებული საჩივრით ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შესული ცვლილებებისა და დამატებების

¹¹ უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ნორმის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: „...სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით“.

¹² საქართველოს უმენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №194/საზ, 2007 წლის 26 სექტემბერი. ანალოგიურად, უმენაესმა სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნა იმავე საფუძვლით შეწყვიტა ასევე სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც. მაგალითისათვის იხ. საქართველოს უმენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №304-აბ, 2004 წლის 13 იანვარი; საქართველოს უმენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №37-დად, 2003 წლის 25 თებერვალი.

საფუძველზე მის მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, მსჯავრდებული საჩივრით სასამართლოს წინაშე შუამდგომლობდა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო შეწყვეტილიყო, ვინაიდან აღნიშნული მუხლი იმჟამად უკვე გაუქმებული გახლდათ.¹³

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაეკმაყოფილებინა. კერძოდ, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა დანაშაულები ჩაიდინა 1993 წლის 10 ივნისს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2004 წლის 29 მარტს, ხოლო ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა 2005 წლის 24 მაისს, ანუ დანაშაულის ჩადენიდან 10 წლის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა ამ შემთხვევაში იხმობს საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესს, რომლის თანახმადაც, პირი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ 10 წელი გავიდა მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული კი მიეკუთვნებოდა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და მასზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ ტ-ს მიმართ უნდა შეწყვეტილიყო სისხლის სამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის მესამე ნაწილით და, შესაბამისად, მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განსაზღვროდა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით დანიშნული სასჯელი.

სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, როგორც ეს ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის გაგრძელებას თავად მსჯავრდებული ითხოვდა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ, ჩვეულებრივი წესით, სსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, გააგრძელა საქმის განხილვა და საბოლოოდ, თავდაპირველი ბრალდება გადააკვალიფიცირა უფრო მსუბუქ მუხლზე, რის შემდგომაც გამოიტანა გამამატყუნებელი განაჩენი და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლა.¹⁴

¹³ ამ პრობლემასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ლავრენტი მაღლაკელიძე, „მისაკუთრების მიზნის დადგენის პრობლემა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“ (2022) 2 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი 27-32 <<http://www.dgstz.de/>> [19.04.2024].

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №34 – კოლ, 2005 წლის 5 მაისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძველი რედაქცია და ასევე იმ დროს არსებული სასამართლო პრაქტიკაც განსაზღვრავდა იმ წესს, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო პირის პასუხისმგებლობის საკითხი, როცა საქმე ეხებოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დანაშაულის ჩადენას. კერძოდ, თუკი ბრალდებული სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, სასამართლო მის მიმართ განჩინებით წყვეტდა დევნას, ხოლო თუკი პირი იშუამდგომლებდა როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე საქმის გაგრძელებას, გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოტივით, სასამართლო ჩვეულებრივი წესით აგრძელებდა სისხლის სამართლის საქმეს. ასეთ ვითარებაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, მოსამართლე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ათავისუფლებდა ქმედების ჩამდენ პირს.

1.2. სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისად

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, თუ რა შედეგი მოჰყვება პირის სამართლებრივ მდგომარეობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაზღვრულია სსსკ-ის 105-ე მუხლითა და სსსკ-ის 269-ე მუხლით. კანონმდებლის მიერ ამ ნორმების ამგვარი ფორმულირება, ერთი შეხედვით, შეესატყვისება 2006 წლამდე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს. თუმცა, მათ შორის, გარდა შინააარსობრივი განსხვავებისა, ასევე არის უფრო მეტი – ინსტიტუციური განსხვავებაც: მოქმედი პროცესი წმინდა შეჯიბრობითია, მაშინ, როცა ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენდა – ე.წ. შერეული სისტემის (როგორც შეჯიბრობითი, ისე ე.წ. ინკვიზიციური/საგამოძიებო სისტემა) ნაირსახეობას.

ამ მხრივ კი, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა იმ მოტივით, რომ დანაშაულზე გასული იყო ხანდაზმულობის ვადა.

საქმის ფაქტობრივი გარემოება კი მდგომარეობდა შემდეგში: 2005 წელს მ-მ (ძებნილი) განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, უკანონოდ დაუფლებოდა ი-ს ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრის ნ-ს სამკვიდრო ქონებას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა ცრუ ინფორმაცია, თითქოს, 1987 წელს მისმა ოჯახმა უშუალოდ ი-საგან შეიძინა

ქ. თბილისში მდებარე უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მ-ს მიენიჭა საკუთრების უფლება აღნიშნულ უძრავ ქონებაზე – მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, მ-მ უკანონოდ მოიპოვა ქონებრივი უფლება. ვიდრე ი-ს ერთადერთი მემკვიდრე ნ-ა აღეზრდა სამკვიდრო მოწმობას მამის დანატოვარ ქონებაზე, მ-მ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2009 წლის 6 აპრილს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, გახდა ი-ს კუთვნილი – უძრავი ქონების ნაწილის მესაკუთრე. აღნიშნული ქმედებით მ-ა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, უკანონოდ დაეუფლა ნ-ს სამკვიდრო ქონებას, რომელიც ოთხ დღეში – 2009 წლის 10 აპრილს, ნასყიდობის ხელშეკრულებით 90 000 (ოთხმოცდაათი ათას) ლარად გაასხვისა მესამე პირზე, რის შედეგადაც დაზარალებულს მიაღდა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ-მ ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო სასამართლოშიც დარჩა უცვლელი.

მსჯავრდებულის ადვოკატებმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში და მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა, ვინაიდან მიიჩნია, რომ გასული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმადაც, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.¹⁵

განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, მსჯავრდებულების მიმართ თავდაპირველი უფრო მძიმე ბრალდება – დანაშაული, გათვალისწინებული სა-

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №1075აპ-22, 2023 წლის 20 აპრილი.

ქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია), სასამართლომ გადააკვალიფიცირა შედარებით უფრო მსუბუქ მუხლზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით (თაღლითობა).¹⁶ ამ უკანასკნელ დანაშაულზე კი, ვინაიდან წარმოადგენდა ხანდაზმულ დანაშაულს, სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეწყვიტა, არამედ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ქმედების ჩამდენ პირებს დაუნიშნა შესაბამისი სასჯელი და შემდგომ სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლა.¹⁷

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც, გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.¹⁸

ამდენად, როგორც აღმოჩნდა, სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. ერთ შემთხვევაში, სასამართლომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ქმედების სუბიექტების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, შესაბამისი სასჯელიც განუსაზღვრა, მაგრამ შემდგომ მისი მოხდისაგან გაათავისუფლა. ნიშანდობლივია, რომ ორივე საქმეში დაცვის მხარე ითხოვდა მსჯავრდებულების გამართლებას, თუმცა, მათ მიმართ სამართლებრივი შედეგი სხვადასხვა სახით დადგა: 1) პირველ მაგალითში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა; 2) ხოლო მეორე შემთხვევაში – გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას ქმედების სუბიექტები მსჯავრდებულებად გამოცხადდა.

ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილი განსხვავებული პრაქტიკის ანალიზის გარდა, საინტერესოა ასევე საერთაშორისო სასამართლოების მიერ დადგენილი პრეცედენტებიც. ამ მხრივ კი ყურადღებას იპყრობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება.

¹⁶ ნიშანდობლივია, რომ დაცვის მხარე აღნიშნულ საქმეში ასევე სადაოს ხდიდა იმ ფაქტს, რომ ბრალდებულთა მიმართ დარღვეული იყო ასევე ე.წ. ბრალდების უცვლელობის პრინციპი, ვინაიდან პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ თავდაპირველი ბრალდება გადააკვალიფიცირა იმ მუხლზე, რასაც სახელმწიფო ბრალდება გამოძიების ეტაპზე მათ არ ედავებოდა. ბრალდების უცვლელობის პრინციპის შესახებ დაწვრილებით იხ. ლავრენტი მალლაკელიძე, „ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით“ (2017) 3 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი 75-79 <<http://www.dgstz.de/>> [19.04.2024].

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №243აპ-23, 2023 წლის 15 სექტემბერი.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №243აპ-23, 2023 წლის 15 სექტემბერი.

2. პრობლემის განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთი საქმის განხილვის შემდგომ. მოცემულ შემთხვევაში, საუბარია საქმეზე: „ანთია და ხუფენია საქართველოს წინააღმდეგ“.¹⁹

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივანთა მსჯავრდებას სამსახურებრივ გულგრილობაში (სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ელი ნაწილი). უფრო კონკრეტულად კი, 2006 წლის ოქტომბერში მომჩივნებს ბრალი წაუყენეს სამსახურებრივ გულგრილობაში, რაც დაკავშირებული იყო 1995-2004 წლებში სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ინსპექტორის პოზიციაზე მათ მუშაობასთან. მომჩივნები პასუხისმგებლები იყვნენ იმ პენსიის მიმღებთა ვინაობის დადგენაზე, რომლებიც იმავდროულად ანაზღაურებად სამუშაოზე იყვნენ დასაქმებული. ამგვარი შემთხვევების გამოვლენის შემდეგ მომჩივნებს ევალებოდათ უკანონოდ მიღებული პენსიის დაბრუნების უზრუნველყოფა და თანხების ფონდის საბანკო ანგარიშზე განთავსება. საქმის მასალების თანახმად, 1995-2004 წლებში აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დასაქმებული ადამიანი იმავდროულად ფონდისგან პენსიის სახით უკანონოდ იღებდა სოციალურ სარგებელს.²⁰

ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, ფონდის რამდენიმე თანამშრომლის, მათ შორის, მომჩივანთა, წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. 2008 წელს კი ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მომჩივნები დამნაშავედ ცნო და თითოეულ მათგანს 500 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა.²¹

მომჩივნებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრეს. ისინი, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდნენ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იყო განჭვრეტადი, ვინაიდან ფონდის თანამშრომლები სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის სუბიექტები მხოლოდ 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გახდნენ. აღნიშნული ცვლილებით კი გაფართოვდა საჯარო მოხელის დეფინიციის წრე. ამდენად, დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის ისინი სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ მოხელედ ან მასთან გათანაბრებულ პირად არ მიიჩნეოდნენ. შესაბამისად, მათთვის განჭვრეტადი არ იყო, რომ მათ მიერ გამოვლენილი გულგრილობა. გარდა ამისა, 342-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრული ქმედება ნაკლებად მძიმე

¹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №7523/10 „ანთია და ხუფენია საქართველოს წინააღმდეგ“, 2020 წლის 18 ივნისი.

²⁰ *ibid.*

²¹ *ibid.*

ხასიათის იყო და მასზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის ორწლიანი ვადა, რომელიც 2006 წლის ოქტომბერში უკვე გასული იყო, ვინაიდან ბრალდება ეხებოდა 2004 წლის იანვრამდე მომხდარ ფაქტებს.²²

2008 წლის ნოემბერში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა საჩივარი და ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2009 წლის მაისში უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა გამამტყუნებელი განაჩენი, მიიჩნია რა, რომ მომჩივნები წარმოადგენდნენ აღნიშნული დანაშაულის სუბიექტებს, ვინაიდან მათი სამსახური წარმოადგენდა საჯარო სამსახურის იურიდიულ პირს (სსიპ). თუმცა, უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მომჩივანთა არგუმენტი ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ისინი დაკისრებული სასჯელისგან გაათავისუფლა იმ სამომავლო შედეგით, რომ მოცემულ დანაშაულთან მიმართებით (მომჩივნები) ნასამართლობის არმქონე პირებად იქნებოდნენ მიჩნეულნი.²³

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მათი დაცვის საგანს, სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ მათი მსჯავრდება ეფუძნებოდა ხანდაზმულ დანაშაულს. აღნიშნული საჩივრის წარდგენისას მომჩივნები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-7 მუხლს (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე)²⁴.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დეტალურად მიმოიხილა კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლის ნორმატიული შინაარსი და მართებულად მიუთითა, რომ კონვენციის მე-7 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებულის საზიანოდ სისხლის სამართლის უკუძალით გამოყენების აკრძალვით, არამედ, ასევე ამ პრინციპიდან გამომდინარე, დანაშაული ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით, იქნება ეს ეროვნული თუ საერთაშორისო. ეს მოთხოვნა კი დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც პირს შესაბამისი დებულების ფორმულირებიდან – და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თარჯიმნის ან სამართლებრივი დახმარების მეშვეობით – შესაძლებლობა აქვს გაიგოს, თუ რა ქმედებები ან უმოქმედობები აკისრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.²⁵

²² იხ. სქოლიო 19 supra.

²³ იხ. სქოლიო 19 supra.

²⁴ აღნიშნული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად: „არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს“. მეორე ნაწილის შესაბამისად კი: „ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად.“

²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №35343/05 „Vasiliauskas v. Lithuania“ (GC) 2015. პარაგრაფი 154.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს განსახილველ მთავარ საკითხს წარმოადგენდა, ჰქონდა თუ არა მომჩივანთა მსჯავრდებას სამართლებრივი საფუძველი შესაბამისი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გათვალისწინებით. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ევროპულ სასამართლოს მხედველობიდან არ გამოორჩენია ის ფაქტიც, რომ მომჩივნები ეროვნულ სასამართლოებში ყველა ინსტანციაში ითხოვდნენ არა საქმის შეწყვეტას, არამედ მის გაგრძელებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

კონკრეტულად კი, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა: „რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა, სახელდობრ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი – ადგენდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყვეტილიყო, თუ გასული იყო სისხლის სამართლის კოდექსით შესაბამისი დანაშაულისთვის დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. მიუხედავად ამისა, თუ ბრალდებული „შეწყვეტის წინააღმდეგია“, სისხლის სამართლის საქმის წარმოება ჩვეულებრივ გაგრძელდება და შეწყდება ან ბრალდებულის გამართლებით, ან მსჯავრდებით და ის გათავისუფლდება სასჯელის მოხდისგან. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო შეაფასებს, მომჩივნებმა ცალსახად მოითხოვეს თუ არა, რომ არ შეწყვეტილიყო სამართალწარმოება, რათა გაამართლონ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, განაგრძეს საქმის განხილვა მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულთან მიმართებით გასული იყო ხანდაზმულობის ვადა“.²⁶

კონვენციის მე-7 მუხლის ანალიზისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ გადაჭრით მიუთითა, რომ აღნიშნულ საქმეში მომჩივნებს მსჯავრი დაედოთ იმ ქმედებისთვის, რომელიც აღარ იყო დასჯადი შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლოს პოზიციით, ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი შესაბამისი ახსნა-განმარტება, თუ რატომ გამოიყენეს მსგავსი მიდგომა. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უზენაესმა სასამართლომ მომჩივნები გაათავისუფლა სასჯელის მოხდისგან, ეროვნული სასამართლოები მომჩივნებს ისე ექცეოდნენ როგორც წინარე სამართალწარმოების ფარგლებში მსჯავრდებულებს.

²⁶ იხ. სქოლიო 19 supra.

ზემოხსენებული დასკვნები კი სტრასბურგის სასამართლოსათვის საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაედგინა კონვენციის მე-7 მუხლის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) დარღვევა მომჩივნების სასარგებლოდ.²⁷

ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პოზიცია სტატიაში დასმულ პრობლემასთან მიმართებით არის კატეგორიული და ცალსახა: დაუშვებელია პირის მსჯავრდება იმ დანაშაულისათვის, რომლის ხანდაზმულობის ვადაც გასულია ამ ქმედების ჩადენის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ქმედების სუბიექტი ეროვნულ სასამართლოებში შესაძლოა წინააღმდეგი იყოს საქმის შეწყვეტის. ასეთ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს მიდგომით, მიუღებელია პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და ისეთი სამართლებრივი შედეგის დადგომა, რაც ზოგადად პირის მსჯავრდებას მოსდევს ხოლმე – იქნება ეს ცალკეული უფლებების შეზღუდვა, თუ სხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

III. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დაუშვებლობა, როცა პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი ან განახორციელა ქმედითი მონაწილეობა

1. პრობლემის მოკლე მიმოხილვა

ამ საკითხთან დაკავშირებით თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან (თავი XIII) და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლებს (თავი XIV). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველია: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ქმედითი მონაწილეობა, ვითარების შეცვლა, ბრალდებულის თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოებთან და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლა. სასჯელისგან გათავისუფლების ფორმებს, მეორე მხრივ, წარმოადგენს სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, სასჯელის გადახედვა მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად, სასჯელისგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო, სასჯელის გადავადება ორსული ქალისთვის და სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო.

საფუძველთა ამ ორ ჯგუფს ერთმნიშვნელოვნად განასხვავებს ის, რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მანამ, სანამ სასამართლო

²⁷ იხ. სქოლიო 19 supra.

დაადგენს პირის დამნაშავეობას და მიიღებს გამამტყუნებელ განაჩენს. თუ პირის დამნაშავეობა დადგინდება და მას სასჯელი დაენიშნება, შეიძლება ის გათავისუფლდეს მისი მოხდისგან სასჯელის აღსრულებამდე ან აღსრულების დაწყების შემდეგ, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს მხოლოდ სასჯელისგან გათავისუფლებად ჩაითვლება და არა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებად.²⁸

ხაზგასმას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ანუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მოთხოვნა, რომ დანაშაული უნდა იყოს ბრალეული ქმედება, ნიშნავს მის გასაკიცხაობას სასამართლოს მიერ.²⁹ პირის ბრალეულად ცნობა სასამართლოს მიერ ნიშნავს მის გაკიცხვას იმისთვის, რომ დაარღვია კანონი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის არჩევანი გააკეთა. პირის ბრალეულობა, ამგვარი გაგებით, წარმოადგენს საფუძველს პირის დამნაშავედ ცნობისთვის და სასჯელის დაკისრებისთვის. პირის გასამართლების არსი მდგომარეობს არა მხოლოდ სასჯელის დაკისრებაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს მეშვეობით პირის გაკიცხვაში მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისთვის.³⁰

დასკვნა პირის დამნაშავეობის შესახებ და, მით უფრო, სასჯელის დანიშვნა, რომელშიც ვლინდება, რას იმსახურებს სამართალდამრღვევი სასამართლოს შეფასებით, გარდაუვლად შეიცავს გაკიცხვის ელემენტს. სისხლის სამართლებრივი წარმოების კონტექსტში პირის დამნაშავედ ცნობა და ნაგულისხმევი გაკიცხვა, თავის მხრივ, ახდენს გავლენას შესაბამისი პირის რეპუტაციაზე და ამ პირის აღქმაზე საზოგადოების სხვა წევრების მიერ.³¹

უფრო დეტალურად კი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და ქმედითი მონაწილეობის შესახებ და მასთან დაკავშირებული იურიდიული დასკვნები ქვემოთ გაკეთდება.

²⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633/634 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი. პარაგრაფი 30.

²⁹ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633/634 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი. პარაგრაფი 28.

³⁰ *ibid.*

³¹ *ibid.*

2. ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს იმ შემთხვევაში, თუკი მან ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. ამაზე მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის თანახმადაც, „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.“

სისხლის სამართლის დოქტრინაში აღიარებულია, რომ დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც დანაშაულის მომზადების, ისე დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე.³² შესაბამისად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობები და საზღვრები შეიძლება შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდეს: 1) დანაშაულებრივი შედეგი თავიდან უნდა იქნეს აცილებული; 2) პირი ნებაყოფლობით უნდა მოქმედებდეს (ასეთ ვითარებაში იგულისხმება, როგორც აქტიური მოქმედება, ისე უმოქმედობაც; 3) დანაშაულზე ხელის აღება საბოლოოდ უნდა იყოს და არა დროებითი.³³

ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი თანაბრად ვრცელდება როგორც ერთპიროვნულ ამსრულებელზე, ისე თანაამსრულებელსა და თანამონაწილეზე³⁴. აღნიშნული საკითხიც, ასევე, რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეობის³⁵ დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას საჭიროა თანამონაწილემ დანაშაულის დასრულებას ხელი შეუშალოს და შედეგის დადგომა თავიდან აიცილოს.³⁶

უმენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში, ქმედების ჩამდენი პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავ-

³² შეად. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა, მერიდიანის გამომცემლობა 2013) 316-317; ოთარ გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება (მერიდიანის გამომცემლობა 2008) 170-177; ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (მერიდიანის გამომცემლობა 2014) 321-338; ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები (მერიდიანის გამომცემლობა 2011) 94-95.

³³ ibid, მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა, მერიდიანის გამომცემლობა 2013) 317; Günther Jakobs, Strafrecht, Allgemeiner Teil (2 Auflage, Beck 1993) 748-749; Rudolf Rengier, Strafrecht, Allgemeiner Teil (3 Auflage, Beck 2011) 324; საქართველოს უმენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №980აპ-22, 2022 წლის 10 ნოემბერი.

³⁴ შეად. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები (მერიდიანის გამომცემლობა 2011) 102-115.

³⁵ გამონაკლისია დამხმარის შემთხვევა, იხ. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება.

³⁶ მჭედლიშვილი-ჰედრიხი, supra სქოლიო 34, 114-116; ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (მე-3 გამოცემა, მერიდიანის გამომცემლობა 2018) 287.

ვისუფლა იმ საფუძვლით, რომ მან ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე.

უფრო კონკრეტულად, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა: „ამრიგად, სარწმუნოდ დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე საკასაციო პალატა თვლის, რომ, თუმცა მსჯავრდებულმა ჩაიდინა დაზარალებულის გაუპატიურების მცდელობა, მაგრამ მან ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი მის მიერ დაწყებული დანაშაულის დამთავრებაზე, რის გამოც იგი უნდა გათავისუფლდეს ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რაც პირდაპირ გამომდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილიდან“.³⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში, იხელმძღვანელა სსკ-ის 21-ე მუხლის დანაწესით და პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა ასევე ისეთი შემთხვევებიც, როცა თავდაპირველ ბრალდებაში ქმედების სუბიექტი, სასამართლოს, მართალია, გაუთავისუფლებია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუმცა, მის ქმედებაში სხვა დანაშაულის ნიშნების არსებობის დადასტურების გამო, პირი დამნაშავედ უცვნია აღნიშნული მიზეზით. ქმედების ამგვარი კვალიფიკაცია კი სრულიად დასაშვებია, ვინაიდან ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებისათვის³⁸. ამაზე მიუთითებს სწორედ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განჩინება საქმეზე №1129აპ-06, 2007 წლის 14 მაისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №14კოლ-2001, 2001 წლის 1 მარტი. ანალოგიურად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ასევე ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და მიიჩნია, რომ საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაბრუნებოდა ქვედა ინსტანციის სასამართლოს.

³⁸ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №861აპ-20, 2021 წლის 22 აპრილი.

3. ქმედითი მონაწილეობა, როგორც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილეობის გამო ნიშნავს პირის მხრიდან რამდენიმე სახის აქტიურ მოქმედებას, რაც უნდა გამოიხატოს შემდეგში: (1) ქმედების სუბიექტი მასზე ზემოქმედების გარეშე, თავისი სურვილით უნდა გამოცხადდეს სამართალდამცავ ორგანოებში და ნებაყოფლობით განაცხადოს მის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე, ასევე ხელი შეუწყოს გამოიძიებას; (2) მას ეს დანაშაული პირველად უნდა ჰქონდეს ჩადენილი; (3) დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა, სასჯელის სახით არ უნდა ითვალისწინებდეს სამ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას; (4) აანაზღაუროს დანაშაულით მიყენებული ზიანი.³⁹ ამაზე მიუთითებს სსკ-ის ნმ-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, „ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი“.

ამდენად, ქმედითი მონაწილეობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. მოცემულ ნორმაში, მართალია, პირდაპირი მითითება არაა, მაგრამ ფაქტობრივად აღნიშნული ნორმის გამოყენება მხოლოდ გამოიძიების ეტაპზე შესაძლებელი. ამასთან, ეს ნორმა არ არის იმპერატიული ხასიათის და მისი გამოყენება შესაბამისი თანამდებობის პირის შეხედულებისამებრ წყდება.⁴⁰

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის ნმ-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულ დანაშესს, რომლის თანახმადაც, „ის, ვინც ჩაიდინა სხვა კატეგორიის დანაშაული, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით“, იგი წარმოადგენს ე.წ. პოსტკრიმინალურ მასტიმულირებელ (წამახალისებელ) ნორმას, რომელიც შეიძლება ნების-

³⁹ შეად. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (მე-3 გამოცემა, მერიდიანის გამომცემლობა 2018) 603; ირაკლი დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაული სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები (მერიდიანის გამომცემლობა 2013) 149-150; ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები (მერიდიანის გამომცემლობა 2011) 117-119; იოსებ ვარძელაშვილი, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილეობის გამო“ (2018) 3 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი 31-36 <<http://www.dgstz.de/>> [19.04.2024].

⁴⁰ შეად. ირაკლი დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაული სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები (მერიდიანის გამომცემლობა 2013) 150.

მიერი კატეგორიის დანაშაულს შეეხო.⁴¹ კანონის ამ დანაშესიდან გამომდინარე კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის კანონმდებლის მიერ დადგენილია ისეთი ხასიათის ზოგადი წინაპირობები, რომელთა ამოქმედება დაკავშირებულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის შენიშვნაში მოცემული პირობების შესრულებასთან. ერთ შემთხვევაში, იგი შეიძლება ემსახუროდეს დანაშაულის დროულად გამოვლინებას, ხოლო, მეორე შემთხვევაში, დამნაშავისათვის ჩადენილი ქმედების „პატიებას“.⁴² ასე მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნაში მითითებულია, რომ „ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ამ მუხლში ჩამოთვლილ საგნებს, გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“.

გამომდინარე აქედან, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი ცდილობს, ერთი მხრივ, თვით დამნაშავის პოზიტიური მოქმედებით ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენცია განახორციელოს, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე ჩადენილი ქმედება (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება), ქმედების სუბიექტს „აპატიოს“ და იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს.

სასამართლო პრაქტიკა ამ სამართლებრივ პრობლემაზე, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მწირია. თუმცა, არსებობს ქმედითი მონანიების (სსსკ-ის ძველი რედაქცია) საფუძველზე გამოტანილი დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების პრეცედენტი. კერძოდ, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ ქმედითი მონანიების გამო, ჯერ გასაჩივრდა ქვედა ინსტანციის სასამართლოში, ხოლო შემდგომ უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ კი, თავის მხრივ, გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ქმედითი მონანიების გამო პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი დადგენილება იყო კანონშესაბამისი და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.⁴³

რაც შეეხება ქმედით მონანიებასა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას შორის განსხვავებას, პირველ რიგში, ხაზგასამელია ის, რომ ქმედითი მონანიება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაშინ, როცა, ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ დანაშაულის დამთავრებამდე⁴⁴ – დანაშაულის მომზადების ან

⁴¹ ibid, 152.

⁴² ibid, 150.

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე №233-დად, 2002 წლის 31 ოქტომბერი.

⁴⁴ დაწვრილებით ამ პრობლემის შესახებ იხ. Udo Ebert, Strafrecht, Allgemeiner Teil (3 Auflage, UTB Uni-

მცდელობის დროს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაული არ უნდა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს. ქმედითი მონაწილისას, პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ წარმოადგენს კანონის იმპერატიულ დანაწესს, არამედ იგი დამოკიდებულია შესაბამისი თანამდებობის პირის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე – გამოიყენოს ეს საშუალებათა გარეშე ქმედების სუბიექტის მიმართ თუ არა, მაშინ, როცა ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, პროკურორი, მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებული დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ამ პრობლემას გამოძიებასა და სასამართლო განხილვის ეტაპზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსხვავებულად წყვეტს.

4. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და ქმედითი მონაწილეობა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების, ისე ქმედითი მონაწილის პრობლემას განსაზღვრავს სსსკ-ის 105-ე და 269-ე მუხლების სახით. კერძოდ, სსსკ-ის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები მიუთითებენ, თუ რა შემთხვევაში უნდა შეწყვიტოს გამოძიება/დევნა და არ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურორმა.

უფრო კონკრეტულად, მოცემული ნორმის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ, თუკი პირი დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღებს ხელს ან ქმედითად მოინანიებს, სახელმწიფო ბრალმდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გამოძიება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს.

სსსკ-ის 105-ე მუხლის ეს იმპერატიული დანაწესი სრულიად ლოგიკური და მართებულია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვის მატერიალური საფუძვლები. მსგავსი სამართლებრივი შედეგი დგება, ასევე, მაშინაც, თუკი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაგალითად – აუცილებელი მოგერიება (სსსკ-ის სსსკ-ის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ამდენად, თუკი ამ ნორმის შინაარსთან მიმართებით ყველაფერი ნათელია, სამართლებრივად სრულიად ალოგიკური და გაუმართლებელია სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის ის დანაწესი, რომელიც გულისხმობს პირის

Taschenbücher Verlag 2001) 130; Hans-Heinrich Jescheck, Thomas Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil (5 Auflage, Duncker & Humblot 1995) 548.

მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, სასჯელის დანიშვნას და მისი შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებას მაშინ, როცა პირმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულზე ან განახორციელა ქმედითი მონაწილეობა.

კანონმდებლის ეს პოზიცია არათუ გაუგებარი და ბუნდოვანია, არამედ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ცალსახად ეწინააღმდეგება მატერიალურ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. სრულიად წარმოუდგენელია, კანონის ერთი ნორმა პასუხისმგებლობისგან სრულად ათავისუფლებდეს პირს, ხოლო იმავე რანგისა და დონის კანონი აწესებდეს მის დასჯადობას. აუხსნელი გარემოებაა ის ფაქტი, თუ რატომ უნდა გამოითქვას ასეთ დროს მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდეგ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, მაშინ, როცა მან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღო, დაწყებული ქმედება ბოლომდე არ მიიყვანა ან ჩადენილი ქმედება გულწრფელად, ქმედითად მოინანია.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებდა ძველი რედაქციით გამოცემული სისხლის სამართლის საპროცესო კანონი. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რა იყო კანონმდებლის ნება იმ დროს, როცა ეს დანაშაულის იქნა შემოღებული მოქმედ სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილში. გარდა იმისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ნორმა ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის ნორმებს, არამედ ასევე კანონის ამგვარი მიდგომით, ქმედების სუბიექტის მიმართ განსხვავებული სამართლებრივი შედეგიც დგება (შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციულია კანონის ამგვარი მიდგომა). კერძოდ, სსსკ-ის 105-ე და 269-ე მუხლები დიფერენცირებულად წყვეტენ პირის სამართლებრივ სტატუსს: ერთი და იმავე საფუძვლის არსებობისას – ნებაყოფლობით ხელის აღება ან ქმედითი მონაწილეობა – ერთ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება და პირი ყოველგვარი სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს ბრალდებულის მიმართ და სხვადასხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ არაფერი ვთქვათ მისი სამომავლო რეპუტაციის შელახვასა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე.⁴⁵

როდესაც გამოძიების ეტაპზე გამოძიების შედეგად დგინდება, რომ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, გამოძიების გაგრძელებას და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ეცლება როგორც მატერიალური, ისე პროცესუალურსამართლებრივი საფუძვლები. კანონმდებელი იმპერატიულად მიუთითებს,

⁴⁵ შეად. იოსებ ვარძელაშვილი, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილეობის გამო“ (2018) 3 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი 31-36 <<http://www.dgstz.de/>> [19.04.2024].

რომ „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს“. კანონის ნორმა პროკურორს ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს არჩევის გაკეთების საშუალებასაც კი არ აძლევს, პირიქით, ავალდებულებს დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. შესაბამისად, აბსოლუტურად გაუგებარია, ის, რაც გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება/გაგრძელების შემაფერხებელი გარემოებაა, იმავე გარემოებამ რატომ არ უნდა გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გაგრძელება ან პირისთვის მსჯავრის დადება, როდესაც არსებითი განხილვის დროს გამოვლინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ან ქმედითი მონაწილეობის ფაქტი. როდესაც სსსკ-ის 105-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ასეთი გარემოებების არსებობისას დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, ეს ლოგიკურად მოიაზრებს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დევნის შეწყვეტასაც, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი დევნის მსვლელობა იწყება გამოძიების ეტაპზე და გრძელდება სასამართლოშიც, ვიდრე განაჩენი არ დადგება. ამიტომ ცალსახაა, რომ სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილი არის ხარვეზიანი და სისტემურ წინააღმდეგობაშია როგორც თავად სისხლის სამართლის საპროცესო, ისე, სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან. გაუგებარია, ის, რაც მატერიალურსამართლებრივად გამორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, პროცესუალურად როგორ არ უნდა იქნეს განხილული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემაფერხებელ გარემოებად. ფაქტმა, რომელიც საფუძველს აცლის სისხლისსამართლებრივ დევნას და აფერხებს სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას, როგორ შეიძლება გავლენა ვერ მოახდინოს პირისთვის მსჯავრის დადებაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირისთვის სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ⁴⁶. რადგან ეს იძულებითი ღონისძიება არ წარმოადგეს სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის გაგებით, სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლება არ ათავისუფლებს პირს ამ იძულებითი ღონისძიებისგან, რომელიც მას ასეთ შემთხვევაში დაეკისრება. იგივე ლოგიკა ვრცელდება ცალკეული დანაშაულებისთვის გათვალისწინებულ იძულებით ღონისძიებებზე,

⁴⁶ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633/634 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი. პარაგრაფი 27.

რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით არ ხვდება სასჯელის განმარტებაში. შესაბამისად, სასჯელისგან გათავისუფლება პირს ამ იძულებისგან ვერ დაიცავს. ამგვარი იძულებითი ღონისძიების მაგალითს კი წარმოადგენს, ასევე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ჩამორთმევა, რომელიც სასჯელისაგან გათავისუფლებულ პირს შეიძლება მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებდეს. კიდევ უფრო შორს მიდის საქართველოს კონსტიტუცია. ძირითადი კანონის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის წესს. კერძოდ, ამ ნორმის შესაბამისად, თუკი პარლამენტის წევრის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, რომლის თანახმადაც პირი დამნაშავედ არის ცნობილი, პარლამენტმა მას, შესაძლოა, ამ საფუძვლით უფლებამოსილება შეუწყვიტოს.⁴⁷

IV. დასკვნა

ამრიგად, როგორც აღმოჩნდა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, სადაც კანონმდებელი დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი მოსამართლემ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ გამოიტანოს გამომტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით და შემოდგომში მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, ნაკლოვანი და წინააღმდეგობრივია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ამ კოდექსის შიდა ნორმებს, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს და ასევე მატერიალური სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებსაც.

ის ფაქტი, რომ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ბრალდებულის ერთ-ერთი ინტერესი არის მისი რეპუტაცია, განსაკუთრებით ნათლად ჩანს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას კი მაშინაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება გამამტყუნებელი განაჩენის ან რაიმე სასჯელის დაკისრების გარეშე, თუ სასამართლო ან სხვა ხელისუფლების ორგანო პირს ეპყრობა იმგვარად, თითქოს დადასტურებული იყოს პირის დამნაშავეობა მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებაში⁴⁸.

⁴⁷ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/2/1473, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2020 წლის 25 სექტემბერი.

⁴⁸ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633/634 „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის

როგორც ამას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს: „უდანაშაულობის პრეზუმფცია არა მხოლოდ „შედეგზე-ორიენტირებული“ გარანტიაა, რომლის მიზანია, მიკერძოებისა და წინასწარ შექმნილი მოსაზრებებისგან თავისუფალი, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა, არამედ უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია, აგრეთვე, პირის რეპუტაციის დაცვა მას შემდეგ, რაც სამართალწარმოება მის სასარგებლოდ დასრულდება, რათა საზოგადოების სხვა წევრების მიერ ის არ იქნეს აღქმული დამნაშავედ, როდესაც დამნაშავეობა არ დადასტურებულა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.⁴⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლება სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვისაც არ წარმოადგენს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. სასჯელისგან გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემადგენელი ყველა იძულებითი ღონისძიებისგან ან მსჯავრდებულის სტატუსთან დაკავშირებული სამომავლო ნეგატიური სამართლებრივი შედეგებისგან.

ამ ნორმების მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივი განხილვის შედეგად კი კეთდება შემდეგი ლოგიკური დასკვნა:

(1) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუკი სასამართლო არსებითად გააგრძელებს საქმის განხილვას, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მოსამართლე არ უნდა იყოს უფლებამოსილი, პირის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, არამედ, ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც ასევე ხანდამშულობის გამო გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესაძლებლობას ითვალისწინებს, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყვიტოს. ამ პოზიციას ავითარებს და იზიარებს, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებაც⁵⁰.

(2) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ან ქმედითი მონაწილეობის შემთხვევაშიც, სასამართლოს მხრიდან შეუძლებელია, ასევე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან ამგვარი სამართლებრივი შედეგის დადგომა არათუ ეწინააღმდეგება მატერიალური სისხლის სამართლის ინსტიტუტებსა და მათ სულისკვეთებას, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ

სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი. პარაგრაფი 31.

⁴⁹ ibid.

⁵⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №7523/10 „ანთია და ხუფენია საქართველოს წინააღმდეგ“, 2020 წლის 18 ივნისი.

თავად ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი არის ანტიკონსტიტუციური (დისკრიმინაციული) და იგი შესაძლებელია მომავლში საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საკითხი გახდეს კიდევ.⁵¹ ასეთ შემთხვევაში საერთო სასამართლოები ვალდებული არიან პირის მიმართ ან გამამართლებელი განაჩენი გამოიტანონ, ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან მის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ და „ღ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტონ⁵².

⁵¹ ანალოგიურად გადაწყვიტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საკითხი, რომელიც უკავშირდება მოსამართლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მაშინ, როცა ახალი კანონი აუქმებდა ქმედების დანაშაულებრიობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის (ძველი რედაქცია) მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №633 და №634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. ამის შესახებ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/633, 634, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, 2016 წლის 13 აპრილი.

⁵² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის რედაქცია) 395-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებდა მოსამართლის/პროკურორის ვალდებულებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, მხარის შუამდგომლობის გარეშე, თუკი წარმოიშობოდა სსსკ-ის 28-ე მუხლში მითითებული რომელიმე გარემოება. უფრო კონკრეტულად კი, აღნიშნული მუხლის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: „სასამართლო (მოსამართლე) ან პროკურორი ვალდებულია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება, როგორც კი წარმოიშობა ამ კოდექსის 28-ე მუხლში მითითებული საფუძველი“.

ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები

აბსტრაქტი

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რასაც უნდა ახლდეს ადეკვატური პროცედურული გარანტიები და დაცული უნდა იქნეს მთელი რიგი წინაპირობები.

ნაშრომი მიმოიხილავს გამოხატვის თავისუფლების საკვანძო და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამის ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს მისი შინაარსის, გამოხატვის ფორმის, მიზნის, საქმის წინაპირობებისა და ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით. ყურადღება გამახვილებულია ქართულ სამართალში არსებულ გამოწვევებზე, უმთავრესად კი ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლად გამოყენებული კანონის ხარისხობრივი მოთხოვნების, სამოსამართლო სამართლისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების ნაკლოვანებაზე.

დასკვნაში მოცემულია საქართველოში ეფექტური საადვოკატო საქმიანობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებები მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატის როლის დაკნინებისა და საზოგადოებაში მისდამი ნდობის შემცირების მომეტებული რისკების ფონზე.

I. შესავალი

დემოკრატია, ევროპული კონვენციით¹ განმტკიცებული სუბსიდიარობისა და საერთო პასუხისმგებლობის პრინციპებთან ერთად, თანამედროვე ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის ფუნდამენტური საფუძველია.²

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, კიოლნის უნივერსიტეტის ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის აკადემიის მოწვეული მკვლევარი, სამართლის მაგისტრი (LL.M. zu Köln) [j.gvidiani@sabauni.edu.ge]

¹ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდგომში: ევროპული კონვენცია). 1950.

² Judgment of the European Court of Human Rights N53600/20 “Verein Klimaseniorinnen Schweiz and Others v. Switzerland”, 9 April 2024. პარაგრაფი 411.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კი სიტყვის თავისუფლებას ფუნდამენტური როლი აკისრია ადამიანის სხვა არაერთი უფლების სრულყოფილი რეალიზებისათვის. ამავდროულად, ის ცალკეული ინდივიდებისა თუ საზოგადოების პროგრესის განმსაზღვრელი ინდიკატორი და მოტივატორია.³

კონტინენტურ ევროპაში გამოხატვის თავისუფლების თანამედროვე გაგების სამართლებრივმა პირმშომ ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის უმთავრეს მონაპოვარში – ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში ჰპოვა ასახვა,⁴ რაც რამდენიმე საუკუნის წინ სიტყვის თავისუფლების ფასდაუდებელი მნიშვნელობის სათანადო გააზრების უტყუარი გამოვლინებაა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში, 1921 წლის კონსტიტუციით, უკვე გარანტირებული იყო სიტყვისა და აზრის როგორც გამოხატვის, ასევე მისი გავრცელების უფლება და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, უფლებების მოწესრიგებისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით, არ ჩამოუვარდებოდა თავისი თანამედროვეობის კონსტიტუციებს, არსებითად ეთანადებოდა ევროპულ სამართლებრივ ევოლუციასა და კონსტიტუციურ სტანდარტს.⁵

დემოკრატიულ სახელმწიფოში გამოხატვის თავისუფლება საზოგადოების პროგრესის განმსაზღვრელი ინდიკატორი,⁶ მოტივატორი,⁷ ინდივიდუალურობის მკაფიო გამოხატულება და სრულყოფილებისკენ პროგრესირებადი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.⁸ აზრის გამოხატვის უფლების რეალიზება ხელს უწყობს პლურალიზმს, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინდივიდების ჩართულობას, სადაც უზრუნველყოფილია აზრის თავისუფლად გამოხატვა ყველას, მათ შორის, ადვოკატის მიერ,⁹

³ Judgment of the European Court of Human Rights N56925/08 “Bédat v. Switzerland”, 29 March 2016. პარაგრაფი 48.

⁴ მუხლი 11, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, საფრანგეთის ეროვნული წარმომადგენლობითი ასამბლეა, 26 აგვისტო. 1789.

⁵ ბესიკ ლოლაძე და ანა ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები კომენტარი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის გამომცემლობა 2023) 12-13; მუხლი 32, საქართველოს კონსტიტუცია, 21 თებერვალი. 1921.

⁶ იხ. სქოლიო 3 supra, პარაგრაფი 48.

⁷ ჯამლათ გვიდიანი, „აზრის გამოხატვის საკონსტიტუციო სამართლებრივი სტანდარტი: ქართული და ევროპული პერსპექტივა“ წიგნში დიმიტრი გეგენავა (რედ.), გიორგი კვერენჩილაძე 50 (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022) 96-97.

⁸ ibid, 99.

⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N51000/11 „რადობულაჯი ხორვატიის წინააღმდეგ“, 2016 წლის 28 ივნისი. პარაგრაფი 51; თამარ ავალიანი, „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან“ წიგნში კონსტანტინე კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა (სტატიათა კრებული) (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი 2021) 61; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/468 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2012 წლის 11 აპრილი. პარაგრაფი II-26.

მიუხედავად პირის მოქალაქეობრივი კუთვნილებისა თუ რაიმე სხვა ნიშნისა¹⁰. ამავდროულად, განსახვავებული სტანდარტით მოქმედება გამართლებულია საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებთან მიმართებით,¹¹ ვინაიდან მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან სპეციფიკურია და, ზოგად პასუხისმგებლობასთან ერთად, საჯარო სამსახურის ავტორიტეტის დაცვაც მოეთხოვებათ.¹²

გამოხატვის თავისუფლება იცავს ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას პროფესიულ საქმიანობაში,¹³ მათ შორის, ღირებულებით განსჯით გარშემოცმყოფებზე იძულებისაგან თავისუფალი, ინტელექტუალური ზემოქმედების მოხდენისა და საერთო აზრის ფორმირების განზრახვას.¹⁴ პოზიტიურად თუ ინდიფერენტულად შეფასებული ინფორმაციის გარდა, დაცულია საზოგადოებისათვის შოკისმომგვრელი, შემანოხხებელი და, რიგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი გამოხატვაც და ამდაგვარი ხასიათი მას ღირებულებით წონას არ უკარგავს.¹⁵

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატის როლისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ხარისხის მნიშვნელობის ხაზგასმის ფონზე, უფლებაში ჩარევის გამართლების წინაპირობების მიმოხილვა, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების სარგებლობისას ქართულ სამართალში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის სავარაუდო გზების დასახვა და საკითხის აქტუალიზება პროფესიულ წრეებში.

II. ადვოკატის როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში

ადვოკატის მიერ სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება, ადვოკატის თავისუფლება, დამოუკიდებლობა, პროფესიული ფუნქციების როგორც კომპეტენტურად,¹⁶ ასევე კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება,¹⁷ წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს.¹⁸

¹⁰ Autorenkollektiv, Hans Hofmann und Hans-Günter Henneke (Hrsg.), Grundgesetz Kommentar zum Grundgesetz (CarlHeymannsVerlag 2022) Art.5, Rn.11.

¹¹ Rolf Schmidt, Grundrechte-sowie Grundzüge der Verfassungsbeschwerde (16. Auflage, Grasberg bei Bremen 2014) 184.

¹² Autorenkollektiv, supra სქოლიო 10, Rn.11.

¹³ Judgment of the European Court of Human Rights N29369/10 “Morice v. France”, 23 April 2015. პარაგრაფი 134.

¹⁴ BVerfG Urteil vom 15. Januar 1958, 1 BvR 400/51 -, Rn. 36.

¹⁵ Barbara Rox, Schutz religiöser Gefühle im freiheitlichen Verfassungsstaat? (Mohr Siebeck 2012) 281.

¹⁶ მუხლი 3, პუნქტი „გ“, საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“. 20 ივნისი, 2001. სსმ, 22, 06.07.2001.

¹⁷ ibid, მუხლი 5, პუნქტი „ა“.

¹⁸ ibid, მუხლი 3, პუნქტები „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“.

საადვოკატო საქმიანობა ემსახურება სამართლიანობის დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საჯარო მიზანს, რაც, უპირატესად, კანონის უზენაესობის პრინციპის პრაქტიკულ იმპლემენტაციას გულისხმობს.¹⁹ აღნიშნულ პროცესში ადვოკატს საჯარო სამართლებრივი წესრიგის დამცველის მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვინაიდან შეუძლია გადაწყვეტი წვლილი შეიტანოს ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესსა და სისტემისადმი ნდობის ჩამოყალიბებაში.²⁰ მართლმსაჯულებისადმი ნდობის ფორმირება პირდაპირ დამოკიდებულია ადვოკატის ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელების შესაძლებლობისადმი ნდობის არსებობაზე,²¹ ვინაიდან ადვოკატი, ფაქტობრივად, შუამავალია საზოგადოებასა და სასამართლოს შორის.²²

სამართლიანი მართლმსაჯულებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ადვოკატის თავისუფლების ხარისხი,²³ ამიტომ, სახელმწიფო ვალდებულია ადვოკატის გამოხატვის შეზღუდვისას ბალანსირებულად იმოქმედოს და შექმნას სამართლებრივი გარემო, სადაც ადვოკატი დაცული იქნება გამოხატვის არაპროპორციული შეზღუდვის, შეუსაბამო სანქციებისა და დევნისაგან.²⁴ ყოველივე აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ მართლმსაჯულების ერთიანი ჯაჭვის სამართლიანად და სრულყოფილად რეალიზებაში, ადვოკატს და, შესაბამისად, მის სიტყვის თუ აზრის თავისუფლებას, საკვაძდო ადგილი უკავია.

III. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება

ადვოკატის თავისუფლების ხარისხი დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების მაღალი სტანდარტის განმაპირობებელი და სანდოობის ერთ-ერთი ინდიკატორია.²⁵ ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.²⁶

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/5/323 „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2005 წლის 30 ნოემბერი. პარაგრაფი II-2.

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/6/1424,1490 „ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2022 წლის 04 ნოემბერი. პარაგრაფი II-19.

²¹ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფი 132.

²² Judgment of the European Court of Human Rights N31611/96 “Nikula v. Finland”, 21 March 2002. პარაგრაფი 45.

²³ Judgment of the European Court of Human Rights N8932/05 “Siatkowska v. Poland”, 22 March 2007. პარაგრაფი 111.

²⁴ შეად. ibid, პარაგრაფი 112. სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ, Council of Europe / GBA 107 <<https://rm.coe.int/-/1680788226>> [19.04.2024].

²⁵ იხ. სქოლიო 20 supra, პარაგრაფი II-30.

²⁶ იხ. სქოლიო 16 supra, მუხლი 6, პუნქტი 1.

ზოგადად, გამოხატვის თავისუფლება ხელს უწყობს საზოგადოების სიახლეებისადმი გახსნილობას და აძლიერებს შემეცნებითობის უნარს, მისით დაცულია ყველა სახის აზრი და მოიცავს დისკუსიის, განსჯისა და იდეური პოლემიკის პროცესს,²⁷ მათ შორის, განზრახვის გარეშე არაჭეშმარიტი ინფორმაციის გაუფრებასაც კი.²⁸ საპირისპირო მოსაზრებებზე მსჯელობა პოზიტიურად აისახება გამოხატვის უფლების არსზე და მნიშვნელოვნად განაპირობებს ობიექტური ჭეშმარიტების ფორმირების პროცესს.²⁹

ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ გაუფრებული განცხადების შინაარსზე, არამედ გადმოცემის ფორმაზეც და მოიცავს კლიენტის უფლებების ზედმიწევნით დაცვის ვალდებულებას, მათ შორის, სასამართლოს კრიტიკის მეშვეობით. დაცვის სფეროში არ ექცევა გამოხატვა, რომლის ერთადერთი მიზანი სასამართლოს შეურაცხყოფაა.³⁰ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს, ასევე, ამა თუ იმ მოვლენის თუნდაც სუბიექტურად აღქმისა და ემოციურად წარმოჩენის უფლებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კი ის წარმოადგენს ერთგვარ პასუხს ანალოგიურ ემოციურ თავდასხმაზე ან/და უსამართლობაზე. გამოხატვის ობიექტური შინაარსისა და მიზნის დადგენისთვის, შეფასება უნდა განხორციელდეს საქმის საერთო კონტექსტისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით,³¹ განსაკუთრებით კი სისხლის სამართლებრივი სასჯელის დაკისრების შემთხვევაში.³²

ადვოკატი უფლებამოსილია გააკეთოს უარყოფითი საჯარო განცხადებები მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პირების თაობაზე,³³ ასევე, გააკრიტიკოს სასამართლო და მართლმსაჯულების ფუნქციონირება.³⁴ კრიტიკის დასაშვებობის ზღვარი ადვოკატის ქცევის ზოგად ნორმებს, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებსა და სამართლის საბჭოს დადგენილი პრინციპების დაცვაზე გადის.³⁵

სასამართლო სისტემასა და სამართალწარმოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კრიტიკისას, მისი მწვავე ხასიათისა თუ პოტენციური

²⁷ Michael Lotharund Martin Morlok, Grundrechte (4. Auflage, NomosLehrbuch 2014) Rn.133, 205-210.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/6/561,568 „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2016 წლის 30 სექტემბერი. პარაგრაფი 52.

²⁹ ibid, პარაგრაფი II-51.

³⁰ Judgment of the European Court of Human Rights N40975/08 “Čeferin v. Slovenia”, 16 January 2018. პარაგრაფი 44; იხ. სქოლიო 9 supra, პარაგრაფი 61.

³¹ BVerfG, Beschluss vom 10 März 2016, 1 BvR 2844/13, Rn. 24. BVerfG Beschluss vom 10 Oktober 1995, 1 BvR 1476/91, Rn. 125.

³² ibid, Rn. 127.

³³ იხ. სქოლიო 22 supra, პარაგრაფი 46.

³⁴ იხ. სქოლიო 30 supra, პარაგრაფები 56, 58.

³⁵ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფი 134.

სერიოზულობის მიუხედავად, ადვოკატი სიტყვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტით სარგებლობს,³⁶ სადაც სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების არეალი ჩვეულებრივზე უფრო მცირეა.³⁷ მოსამართლე, როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილი, ექვემდებარება რიგით მოქალაქეზე მეტ, თუმცა პოლიტიკოსებთან შედარებით ნაკლები ინტენსივობით პერსონალურ კრიტიკას.³⁸ ამავდროულად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შედარებით, საჭიროა მოსამართლე უფრო დაცული იყოს შეურაცხყოფელი თავდასხმებისგან.³⁹

განსხვავებული მიდგომა გამართლებულია იმის მიხედვით, ადვოკატი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს უშუალოდ სასამართლოს დარბაზში, შენობაში თუ მის გარეთ. სასამართლო განხილვისას ადვოკატი ვალდებულია მთელი ძალებით და მწვავე კრიტიკით წარმოადგინოს კლიენტის პოზიციები, რაც უნდა მოითმინოს სახელმწიფოს წარმომადგენელმა პირადი ხასიათის შეურაცხყოფის გამორიცხვის გათვალისწინებით.⁴⁰ სასამართლოს წინაშე ადვოკატი სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტით და ასეთ დროს უფლების შეზღუდვამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს როგორც ადვოკატის, ასევე მარწმუნებლის ინტერესებზე, ამავდროულად, ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია პროცესში მონაწილე სახელმწიფო მოხელეები დაცული იქნენ და გათავისუფლდნენ გაუმართლებელი წნეხისგან.⁴¹

სასამართლოს კრიტიკის დასაშვებობის მიუხედავად, ის და მისი წევრები დაცული უნდა იქნენ სრულიად უსაფუძვლო, მიზანმიმართული, შეურაცხყოფელი თავდასხმისგან, თუნდაც მკაცრი სასჯელის დაკისრების საშუალებით.⁴² აღნიშნულის საჭიროებას ამძაფრებს ის გარემოება, რომ მოსამართლეები მოქმედებენ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და კრიტიკაზე მათი პასუხის გაცემის შესაძლებლობა, სამოსამართლო საქმიანობიდან გამომდინარე, შეზღუდულია.⁴³

ადვოკატი უფლებამოსილია სასამართლოს დარბაზს მიღმაც გააკეთოს კომენტარი სამართალწარმოების პროცესზე და ხარვეზებზე, მიაწოდოს

³⁶ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფი 125.

³⁷ იხ. სქოლიო 3 supra, პარაგრაფი 48 (ii).

³⁸ იხ. სქოლიო 9 supra, პარაგრაფი 59; სქოლიო 22 supra, პარაგრაფი 48.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/1394 „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2023 წლის 27 ივლისი. პარაგრაფი II-9.

⁴⁰ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფები 136-137.

⁴¹ შეად. იხ. სქოლიო 22 supra, პარაგრაფები 48-50.

⁴² Judgment of the European Court of Human Rights N68924/12 “Słomka v. Poland”, 6 December 2018. პარაგრაფი 64.

⁴³ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფი 128.

ინფორმაცია საზოგადოებას ტელევიზიის, პრესის ან სხვა საშუალებით, რაც, გამოხატვასთან ერთად, უნდა შეფასდეს პრესის თავისუფლების ნაწილშიც. რაც უფრო მაღალია საზოგადოებაში ინტერესი განსახილველ საქმესთან ან საჯარო ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მით მეტია ადვოკატის განცხადებების დაცვის დონე და ნაკლები – ხელისუფლების ჩარევის დისკრეციული ფარგლები. ამასთანავე, ადვოკატის განცხადება არ უნდა იყოს მხოლოდ პერსონალური თავდასხმა ან შეურაცხყოფა, ხოლო მძიმე ბრალდებები – ფაქტობრივ გარემოებებთან გონივრულ კავშირს მოკლებული.⁴⁴

სიტყვის თავისუფლების დაცულობით ვერ ისარგებლებს ადვოკატი, თუ გამოხატვა მიმართულია მხოლოდ პირის ცილისწამების, პერსონალური შეურაცხყოფის ან ღირსებაზე მიზანმიმართული თავდასხმისაკენ.⁴⁵ ინდივიდუალური შემთხვევა უნდა შეფასდეს საქმის ერთიან კონტექსტში, შეურაცხმყოფელი სიტყვის განყენებულად განმარტების გარეშე, რადგან მხოლოდ გადაჭარბებული ან შეურაცხმყოფელი კრიტიკა არ იძლევა გამოხატვის ცილისწამებად შეფასების ან/და ჩარევის გამართლების საკმარის საფუძველს.⁴⁶

შესაძლებელია ითქვას, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა ყველაზე მეტი ინტენსიობით დაცვას საჭიროებს სასამართლოს წინაშე, ისევე, როგორც სასამართლოს მიღმა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე კომენტირებისას, ხოლო ასეთი აუცილებლობა არ იკვეთება სასამართლოს შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე, ან/და შეზღუდულ პირთა წრეში, თუნდაც შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთებისას, რადგან მას არსებითი ნეგატიური გავლენა ვერ ექნება ვერც სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ვერც მართლმსაჯულების ეფექტურობაზე.

გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია „ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება“, ⁴⁷ რომლის დაცულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი წინაპირობების დადგენით საადვოკატო საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა და ვალდებულების შესრულების თავისუფალი შესაძლებლობა მოიაზრება.⁴⁸

⁴⁴ ibid, პარაგრაფები 125, 138, 139, 153.

⁴⁵ Bverf Gbeschluss vom 19 Mai 2020, 1 BvR 362/18, Rn. 14-16.

⁴⁶ ibid, Rn. 17.

⁴⁷ იხ. სქოლიო 7 supra, 99. მუხლი 31, პუნქტი 3, საქართველოს კონსტიტუცია. 24 აგვისტო, 1995. პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24.08.1995.

⁴⁸ იხ. სქოლიო 20 supra, პარაგრაფები II-29, 35.

IV. ადვოკატის გამომხატვის თავისუფლების შემღუდვა და მისი ლეგიტიმური მიზნები

გამომხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მას თან ახლავს გარკვეული პასუხისმგებლობა და მოვალეობები, რაც გარკვეულ მორალურ ტვირთს აკისრებს მისით აღჭურვილ სუბიექტებს.⁴⁹ ადვოკატის გამომხატვის თავისუფლება სასამართლოს შენობაში, მის გარეთ თუ საჯაროდ გაკეთებული განცხადების გამო შესაძლებელია დაექვემდებაროს პროპორციულ შემღუდვას ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად.⁵⁰ სასამართლოს უპატივცემულობისათვის ადვოკატის დაჯარიმება, საადვოკატო საქმიანობის შეჩერება,⁵¹ კრიტიკული შეფასების ან შეურაცხყოფისთვის პირის რაიმე ფორმით დასჯა,⁵² უტოლდება გამომხატვის თავისუფლებაში ჩარევას.⁵³

გამომხატვის თავისუფლების განხორციელებას თან სდევს სხვათა კონსტიტუციური უფლებების დაცვის მოვალეობა, რომელიც, ადამიანის უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან კომბინაციაში,⁵⁴ უფლების შემღუდვის ლეგიტიმურ საფუძველს ქმნის.⁵⁵ აღნიშნულის გარდა, უშუალოდ ადვოკატის გამომხატვის შემღუდვის მკაფიო ლეგიტიმური მიზანი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაც შეიძლება იყოს⁵⁶.

სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამომხატვის გამო ადვოკატის დაჯარიმება პროცესის ადეკვატური მსვლელობის უზრუნველყოფას, სამართალდარღვევის მყისიერ აღკვეთასა და პრევენციას, კონკრეტული ქმედებისთვის ინდივიდის დასჯას, სასამართლოს ავტორიტეტზე უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი თავდასხმების თავიდან აცილებას ემსახურება.⁵⁷ ამასთანავე, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის, მისდამი საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების, მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად და ჯეროვნად განხორციელების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად,

⁴⁹ Canadar Arslan, Meinungs- und Kunstfreiheit gegen die Religionsfreiheit: wie viel Schutz für religiöse Empfindlichkeiten (Verlag Dr. Kovač 2015) 67-68; იხ. სქოლიო 9 supra, პარაგრაფი 58.

⁵⁰ Judgment of the European Court of Human Rights N31611/96 “Nikula v. Finland”, 21 March 2002. Dissenting Opinion of Judges Caflisch and Pastor Ridruejo. პარაგრაფი 3.

⁵¹ Judgment of the European Court of Human Rights N81024/12 “Bagirov v. Azerbaijan”, 25 June 2020. პარაგრაფი 52.

⁵² იხ. სქოლიო 31 supra, Rn. 109-110.

⁵³ იხ. სქოლიო 30 supra, პარაგრაფი 45.

⁵⁴ მუხლები 10 და 17, ევროპული კონვენცია. 1950.

⁵⁵ Rox, supra სქოლიო 15, 266.

⁵⁶ მუხლი 17, პუნქტი 5, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995. პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24.08.1995.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 27 თებერვალი. პარაგრაფები II-12-13, 23.

გამართლებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია სასამართლოს შენობაში მოსამართლისადმი მიმართული შეურაცხყოფელი გამოხატვის სისხლის სამართლებრივი სანქციით შეზღუდვა, თუმცა გვერდს უვლის სასამართლოს შენობის მიღმა იმავე ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობის საკითხის შეფასებას.⁵⁸

საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის ადვოკატი შეიძლება დაექვემდებაროს დაჯარიმებას, სხდომის დაბაზიდან გაძევებას, უკიდურეს შემთხვევაში კი 60 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობას.⁵⁹ წინამდებარე სანქციები გამოყენებული შეიძლება იქნეს, თუ კი ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე დაარღვია წესრიგი, არ დაემორჩილა მოსამართლის განკარგულებას, გამოხატა უპატივცემულობა სასამართლოსადმი ან აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობა პროცესის მონაწილის ან სასამართლოს/მოსამართლისადმი, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მისი ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ.⁶⁰ ადვოკატის არასათანადო ქცევის შემთხვევაში მიღებული განჩინება დამატებით ეგზავნება ადვოკატთა ასოციაციას.⁶¹ სასამართლოს ისეთი უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის, მათ შორის მოსამართლის შეურაცხყოფით, სისხლისსამართლებრივად დასჯადია და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით.⁶²

ნათელია, რომ საქართველოში ადვოკატის გამოხატვის შეზღუდვის და სანქციების გამართლებისთვის გამოხატვა უნდა შეფასდეს სასამართლოს უპატივცემულობად, უხეშ უპატივცემულობად ან/და შეურაცხყოფად, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს არცთუ მსუბუქი, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის სასჯელიც. შესაბამისად, ლეგიტიმურია კითხვა, სად გადის ზღვარი ამ ცნებათა შორის, შესაძლებელია კი ერთნაირად იქნეს ეს სანქციები გამოყენებული უშუალოდ პროცესის მიმდინარეობისას და მის მიღმა გამოვლენილი უპატივცემულობისას, როგორ უნდა მოხდეს ცნებათა ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა, ამომწურავად ფორმულირება, სანქციათა გამოყენება ან ტერმინთა ბუნდოვანება ხომ არ იძლევა სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობის საფუძველს.

⁵⁸ იხ. სქოლიო 39 supra, პარაგრაფები II-20, II-30, II-36, II-49.

⁵⁹ მუხლი 212, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. 14 ნოემბერი, 1997. პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997. შეად. მუხლი 366, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. 22 ივლისი, 1999. სსმ, 41 (48), 13.08.1999.

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, supra სქოლიო 59, მუხლი 212, პუნქტები 3 და 7.

⁶¹ ibid, მუხლი 212, პუნქტი 4.

⁶² მუხლი 366, ნაწილი 2, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. 22 ივლისი, 1999. სსმ, 41 (48), 13.08.1999.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არა სასამართლოს მოსმენისას, მაგრამ სასამართლოს შენობაში და შენობის გარეთ, თუნდაც სალანძღავი ლექსიკით გამოხატული შეურაცხყოფელი პოზიცია, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების ხარისხზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ერთმანეთის ანალოგიურია და ასეთი ზემოქმედების ხარისხი ვერ იქნება კრიტიკულად ნეგატიური, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტური მკაცრი სასჯელის გამოყენება სასამართლო განხილვისას და მის მიღმა გამოვლენილი უპატივცემულობისთვის ვერ იქნება თანაზომიერი.

V. გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში ჩარევის წინაპირობები

1. ზოგადი მოთხოვნები და საპროცესო გარანტიები ქართულ სინამდვილეში

ევროპული კონვენციის მიზნებისთვის ნებისმიერი ჩარევა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ხელყოფს თავისუფლებას, თუ კი ჩარევის პირობები შესაბამისი კანონით არ არის განსაზღვრული ან არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, ან/და არაა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, და ვერ საბუთდება „რელევანტური“ და „საკმარისი“ მიზეზებით.⁶³ ჩარევის გამართლებისთვის აუცილებელია გამოყენებული კანონი განიმარტოს კონსტიტუციის გონივრული ინტერპრეტაციის ფარგლებში, სადაც გასათვალისწინებელია უფლებაზე შეზღუდვის ზემოქმედების ხარისხი და გამოხატვის თავისუფლების არსის ღირებულებითი სტანდარტის შენარჩუნების აუცილებლობა.⁶⁴ მნიშვნელოვანია სამართლიანი ბალანსის დაცვა დაპირისპირებულ ინტერესთა შორის, სანქციის ოდენობისა და სიმკაცრის პროპორციულობა მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით,⁶⁵ ისევე, როგორც ჩარევის მიზეზების რელევანტურობისა და საკმარისობის მკაფიოდ ჩვენება.⁶⁶ უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სალანძღავი სიტყვები და შეურაცხყოფელი ფრაზები, არამედ მათი კავშირი საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და საქმის ერთიანი კონტექსტი.⁶⁷

ამავდროულად, მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპის, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისა და ხელისუფლების თვითნებური ჩარევის შემაკავებელი, ადვოკატის დამცავი

⁶³ იხ. სქოლიო 22 supra, პარაგრაფები 31,47.

⁶⁴ იხ. სქოლიო 31 supra, Rn. 111-117.

⁶⁵ იხ. სქოლიო 30 supra, პარაგრაფები 47, 67.

⁶⁶ იხ. სქოლიო 9 supra, პარაგრაფი 57.

⁶⁷ ibid, პარაგრაფები 62-63.

საპროცესო გარანტიებიც,⁶⁸ რისი არარსებობაც ჩარევას აქცევს არალეგიტიმურად და აზიანებს მართლმსაჯულებისადმი ნდობის ჩამოყალიბების თუ შენარჩუნების პროცესს.

აღნიშნულ კონტექსტში, პრობლემურად გამოიყურება სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის, სასამართლოს მიუკერძოებლობის ხარისხისა და გასაჩივრების ვადის გონივრულობა ქართულ სამართალში, რადგან მოსამართლის უპატივცემულობის გამო, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე ადვოკატს ჯარიმას აკისრებს იგივე მოსამართლე, რომელმაც უპატივცემულოდ იგრძნო თავი, თანაც, როგორც წესი, ადვოკატს თავის მართლებისთვის სიტყვის თქმის საშუალებაც არ ეძლევა.⁶⁹ ამასთანავე, არ არსებობს შესაბამისი განკარგულების გასაჩივრების კონკრეტული წესი, რის გამოც სასამართლო, კანონის ანალოგიაზე მითითებით, გასაჩივრების ვადად განსაზღვრავს 48 საათს,⁷⁰ რაც ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში მისი როლის გათვალისწინებით, არაგონივრულად მოკლე პერიოდია კვალიფიციური საჩივრის მომზადებისთვის და არსებითად ჩამოუვარდება კერძო საჩივრის წარდგენისთვის დადგენილ 12-დღიან ვადასაც კი.⁷¹

2. კანონის ხარისხობრივი მოთხოვნა

ევროპული კონვენციის მიზნებისა და ტერმინის ავტონომიურობიდან გამომდინარე, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად გამოყენებული კანონი უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მოთხოვნას, რაც კანონის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას, ასევე, ზემოქმედების დიაპაზონისა და შედეგების განჭვრეტადობას გულისხმობს.⁷² ნორმას ისეთი ცხადი ფორმულირება უნდა ჰქონდეს, რომ შესაძლებელი იყოს ქცევის რეგულირება და სავარაუდო შედეგების მკაფიო განსაზღვრა. ვინაიდან ნორმის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუძლებელია და, ამავდროულად, სასურველიც კი არის, რომ მას განსხვავებულ გარემოებებთან ადაპტირების უნარი გააჩნდეს,⁷³ გადამწყვეტია მისი გამოყენების პრაქტიკა და სასამართლოს განმარტება.⁷⁴

⁶⁸ იხ. სქოლიო 42 supra, პარაგრაფები 64-66, 70.

⁶⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება N2ბ/სპ-03-23, 2023 წლის 17 მარტი.

⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება Nას-855-805-2015, 2016 წლის 4 აპრილი, 35.

⁷¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, supra სქოლიო 59, მუხლი 416.

⁷² Judgment of the European Court of Human Rights N17224/11 “Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina”, 27 June 2017. პარაგრაფი 68.

⁷³ ibid, 70.

⁷⁴ იხ. სქოლიო 51 supra, პარაგრაფი 54.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს უპატივცემულობისა და შეურაცხყოფისთვის სასჯელების დაწესების მიუხედავად, „სასამართლოს უპატივცემულობის“ ერთიან დეფინიციას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს, ხოლო მისი ზოგადი ხასიათი იძლევა შესაძლებლობას, კონკრეტულ მოცემულობაში პირის თუნდაც სტრესული ან/და ემოციური მდგომარეობით გამოწვეული უნებლიე, არაადეკვატური ქცევა ან კლიენტის და პოზიციის დაცვის ტაქტიკა, სასამართლოს უპატივცემულობად იქნეს აღქმული.⁷⁵ ამასთანავე, შეურაცხყოფის ამომწურავი და უნიფიცირებული ცნების არარსებობის პირობებში მოსამართლის შეურაცხყოფის კრიმინალიზაცია, სახელმწიფოს სახელით მოქმედ პირებს უსაზღვრო ძალაუფლებას ანიჭებს და ქმნის თვითნებობისთვის ნოყიერ ნიადაგს, ხოლო ცალკეული უხამსი სიტყვების აკრძალვა ზრდის გამოხატვის თავისუფლების არსის გაუმართლებელი შეზღუდვის რისკებს.⁷⁶

სამოსამართლო სამართლის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში სასამართლოს უპატივცემულობად მიიჩნევა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა,⁷⁷ სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დარღვევა, ადვოკატთა არაეთიკური და პროცესის ჩაშლისკენ მიმართული ქცევა,⁷⁸ მოსამართლის, მხარის, დაზარალებულის, ექსპერტის, სპეციალისტის, მოწმისა და სამართალწარმოების სხვა მონაწილის⁷⁹ უცენზურო სიტყვებით ან/და არავერბალური გამოხატვის ფორმით შეურაცხყოფა,⁸⁰ პროცესზე ადვოკატებს შორის „ხმამაღალი შელაპარაკება-კამათიც“ კი.⁸¹

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოც, ფაქტობრივად, გვერდს უვლის „უპატივცემულობის“ ან/და „შეურაცხყოფის“ დეფინიციის ფორმულირებას და მისი განმარტების მცდელობისას იყენებს ზემოთ მოხმობილ ზოგად და არცთუ განჭვრეტად დამატებით ტერმინებს, რაც ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

ქართული კანონმდებლობა და სამოსამართლო სამართალი არ იძლევა მკაფიო განმარტებას (უხეშ) უპატივცემულობასა და შეურაცხყოფასთან და-

⁷⁵ იხ. სქოლიო 57 supra, პარაგრაფი II-39.

⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/4/1394 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. პარაგრაფი III-26.

⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება Nას-6-2023, 2023 წლის 4 მაისი.

⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016, 2017 წლის 2 მარტი. პარაგრაფი 245.

⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება N1134აპ-22, 2023 წლის 25 იანვარი. პარაგრაფები 7, 10.

⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება N899აპ-23, 2023 წლის 1 ნოემბერი.

⁸¹ იხ. სქოლიო 69 supra.

კავშირებით, გაურკვევლობას ზრდის ფაქტობრივად იდენტური ქცევისთვის თავისუფლების აღკვეთის სანქციის გათვალისწინება როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო კანონმდებლობით, სასჯელებს შორის რადიკალური სხვაობა,⁸² სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება თუნდაც უხამსი სიტყვების გამოყენებისას წინარე და საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოკვლევის, შეფასებისა და ამდაგვარი შეუსაბამო გამოხატვის მიზეზების გარკვევის გარეშე.

სადავო არ არის, რომ, რაც მეტი ბუნდოვანი, განსაზღვრულობას მოკლებული ცნება ხდება ამა თუ იმ უფლებისა და, უპირატესად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, მით მეტია რისკი კონსტიტუციურ უფლებათა რეალიზების, დემოკრატიულ საზოგადოებაში ესოდენ საჭირო მსჯელობასა და თანამედროვე საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, დისკუსიას დაფუძნებული პროგრესის შეფერხებისთვის.

ცნებათა განუსაზღვრელობასა და მისით გამოწვეულ არასახარბიელო მდგომარეობას საქართველოში ხელს უწყობს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის დეფიციტი,⁸³ ისევე, როგორც, სულ მცირე, ზემდგომ ინსტანციებში, მწირი სამოსამართლო პრაქტიკა, რაც სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამო პირის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ განკარგულების მხოლოდ 2014 წლიდან გასაჩივრების შესაძლებლობით უნდა იყოს განპირობებული.⁸⁴ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გაზრდილია სასამართლოს ვალდებულების ხარისხი, უზრუნველყოს გადაწყვეტილების დასაბუთების უფრო მაღალი სტანდარტი, რათა ცხადი გახდეს, ადვოკატის გამოხატვის ადგილის გათვალისწინებით, კონკრეტულად როგორი ქცევა, გამოხატვის ფორმა თუ შინაარსი შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს უპატივცემულობად.⁸⁵

3. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის სოციალური აუცილებლობა

დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა აშკარაა, როცა ამის გადაუდებელი სოციალური საჭიროება არსებობს, ამ უკანასკნელის საბოლოო შეფასება კი სასამართლოს პრეროგატივაა დისკრეციული უფლებამოსილების გონივრული და კეთილსინდისიერი გამოყენების ფარგლებში.⁸⁶ მნიშვნელოვანია, დაცული იქნეს სამართლიანი ბალანსი დაპირისპირებულ ინტერესებს, თუნდაც სასამართლოს

⁸² იხ. სქოლიო 63 supra.

⁸³ <<https://courtwatch.ge/articles/judicial-acts>> [19.04.2024].

⁸⁴ იხ. სქოლიო 57 supra, პარაგრაფი III-1.

⁸⁵ იხ. სქოლიო 57 supra, პარაგრაფი II-40.

⁸⁶ იხ. სქოლიო 3 supra, პარაგრაფი 48 (ii).

ავტორიტეტის დაცვის აუცილებლობასა და ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების დაცვას შორის.⁸⁷ ჩარევის გამართლებისთვის საჭიროა სანქციონების გამომწვევი მიზეზები „რელევანტურად“ და „საკმარისად“ იქნეს მიჩნეული, ხოლო ფაქტობრივი გარემოებები – ადეკვატურად შეფასებული.⁸⁸

ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები, განსაკუთრებით კი სასამართლო დარბაზში, ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული, ხოლო აუცილებლობა – დამაჯერებლად დასაბუთებული.⁸⁹ ხაზგასასმელია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, თუნდაც მსუბუქი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით⁹⁰, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიიჩნევა აუცილებლად.⁹¹

4. კანონის „მსუსხავი ეფექტი“

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უფლებით სარგებლობისას შესაძლებელია ჰქონდეს „მსუსხავი ეფექტი“ თვითცენზურის რისკების გათვალისწინებით.⁹² როცა პირს აქვს მისი მოსაზრების ძირითადი სათქმელის არასწორად გაგებისა და ამის გამო სახელმწიფოს მხრიდან სისხლის ან სამოქალაქო კანონმდებლობით პასუხისმგებლობის დაკისრების შიში, იქმნება ნოციერი საფუძველი გამოხატვის თავისუფლების რეალიზების გაუმართლებელი შეზღუდვისათვის.⁹³ პასუხისმგებლობის დაკისრება შეურაცხყოფისთვის და მისი იმდაგვარი ფართო განმარტება, როგორც შეიძლება აუცილებელი არ იყოს დაცული სამართლებრივი სიკეთის უზრუნველყოფისათვის ან თავისუფალ სივრცეს არ ტოვებდეს გამოხატვისთვის, ეწინააღმდეგება თვით თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტს.⁹⁴

სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და რეპუტაციის უზრუნველყოფისათვის შეურაცხმყოფელი გამოხატვის სისხლის სამართლებრივი დასჯა, განსაკუთრებით ცნებათა ბუნდოვანების პირობებში, „მსუსხავი ეფექტის“ მატარებელია.⁹⁵ არც ფულადი სახის ჯარიმა ან მისი ზომიერი ხასიათი არ არის საკმარისი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე „მსუსხავი ეფექტისა“ და პოტენციური ნეგატიური ზეგავლენის რისკის უკუ-

⁸⁷ იხ. სქოლიო 30 supra, პარაგრაფი 47.

⁸⁸ ibid, 48.

⁸⁹ იხ. სქოლიო 3 supra, პარაგრაფი 48 (i).

⁹⁰ იხ. სქოლიო 22 supra, პარაგრაფი 55.

⁹¹ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფი 135.

⁹² იხ. სქოლიო 76 supra, პარაგრაფი V-33.

⁹³ BverfG Beschlussvom 25. Oktober 2005, 1 BvR 1696/98, Rn. 33.

⁹⁴ იხ. სქოლიო 31 supra, Rn. 118.

⁹⁵ იხ. სქოლიო 76 supra, პარაგრაფი III-26.

საგდებად, განსაკუთრებით ადვოკატის შემთხვევაში, რომელსაც საკუთარი კლიენტების ეფექტურად დაცვა ევალება.⁹⁶ ამავდროულად, ადვოკატის სანქცირებას შესაძლოა თან სდევდეს დამატებითი გვერდითი ნეგატიური შედეგები, რაც ადვოკატის იმიჯის დაზიანებასა და საზოგადოებაში მისდამი ნდობის დაკარგვაში გამოიხატოს.⁹⁷

„სასამართლოს უპატივცემულობის“ გამო ადვოკატის სანქცირების დამდგენი ნორმის „მსუსხავი ეფექტი“ უარყოფითად მოქმედებს ადვოკატის მიერ პროცესზე აზრის თამამად გამოხატვის, პროცესის დაფიქსირებისა და სხვა საპროცესო უფლება-მოვალეობების ეფექტურ რეალიზებაზე, იწვევს შეუსაბამო თავშეკავებასა და საადვოკატო საქმიანობის არაეფექტურობას, რითაც ირღვევა არა მარტო ადვოკატის გამოხატვის, არამედ დასაცავი პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ და მათ შორის სასამართლომ, უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მზღუდავი ნორმის გავლენა უფლების სრულყოფილად რეალიზების ხარისხზე, რათა „მსუსხავი ეფექტის“ გამო საკანონმდებლო ნორმა არ გასცდეს გამიზნული მოწესრიგების არეალს და არ შეზღუდოს უფლება იმ მასშტაბით, რაც კანონმდებლის მიერ განზრახული არ ყოფილა,⁹⁸ რისი საშიშროებაც ქართული კანონმდებლობის არსებული მოწესრიგების პირობებში რეალურია.

VI. დასკვნა

მიმოხილული საკითხები ადასტურებს, რომ მართლმსაჯულების ერთიანი ჯაჭვის სამართლიანად და სრულყოფილად რეალიზებაში ადვოკატსა და სიტყვის თავისუფლებას საკვანძო ადგილი უკავია.

საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე ნებისმიერ სივრცეში კომენტირების მსგავსად, მაღალი ინტენსიობით უნდა იყოს დაცული სასამართლოს დარბაზში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა, ისევე, როგორც პროცესში მონაწილე სხვა პირები – უსაფუძვლო და შეურაცხყოფელი თავდასხმებისგან. აღნიშნულის საპირისპიროდ, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები უფრო ფართოა სასამართლოს პროცესის მიღმა, თუმცა, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაზე სასამართლოს გარეთ კრიტიკული

⁹⁶ იხ. სქოლიო 13 supra, პარაგრაფი 127.

⁹⁷ ibid, 176.

⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/516,542 „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2013 წლის 23 მაისი. პარაგრაფი II-8.

გამოხატვის უარყოფითი ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით, ჩარევის ინტენსიობის საჭიროებაა მკაფიოდ შემცირებული.

საქართველოში ადვოკატის აზრის თუ სიტყვის გამოხატვის „სასამართლოს უპატივცემულობად“, „უხეშ უპატივცემულობად“ ან „შეურაცხყოფად“ შეფასებას, შესაძლებელია მოჰყვეს როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე პატიმრობა, თუმცა განუჭვრეტელია აღნიშნული ცნებების დეფინიცია და მათ შორის მკაფიო მიჯნა. ცნებათა განსაზღვრულობის აუცილებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ „უხეში უპატივცემულობისას“ სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულია 2 თვემდე ვადით პატიმრობა, ხოლო შეურაცხყოფით გამოხატული „სასამართლოს უპატივცემულობისას“ – 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე. გაურკვევლობას ზრდის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინება როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო კანონმდებლობით, ასევე ერთმანეთთან შეუსაბამო, რადიკალურად განსხვავებული სასჯელების ოდენობა ფაქტობრივად იდენტური ქმედებისთვის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება საქმის ერთიანი კონტექსტის მოკვლევის, შეფასებისა და შეუსაბამო გამოხატვის მიზეზების გარკვევის გარეშე.

ბუნდოვანების გამო საკანონმდებლო ნორმებს გააჩნია „მსუსხავი ეფექტი“ გამოხატვის თავისუფლებაზე, რაც უარყოფითად აისახება გამოხატვის თავისუფლების ხარისხზე, საპროცესო უფლებების ეფექტურ რეალიზებაზე, იწვევს შეუსაბამო თავშეკავებასა და საადვოკატო საქმიანობის არაეფექტურობას, რითაც ირღვევა არა მარტო ადვოკატის გამოხატვის, არამედ დასაცავი პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებაც.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე ადვოკატის არასაპატიმრო სანქციონებისას გართულებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტებით სარგებლობის საკითხიც, რადგან სასამართლო უპატივცემულობის გამო ადვოკატს სანქციას აკისრებს იგივე მოსამართლე, რომელმაც უპატივცემულოდ იგრძნო თავი, საკითხი არ განიხილება ძირითადი საქმისგან განცალკევებულად, ადვოკატს, ფაქტობრივად, არ ეძლევა სიტყვა განმარტებისათვის და არ გააჩნია მისაღებ გადაწყვეტილებაზე ეფექტურად ზემოქმედების ქმედითი ბერკეტები. ამავდროულად, სასამართლოს განკარგულების გასაჩივრების ვადად განისაზღვრება არაგონივრულად მცირე დრო – 48 საათი და ისიც მხოლოდ და მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობის ანალოგიის საფუძველზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა და საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მზლუდავი ნორმები უნდა მოექცეს მხოლოდ საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კანონმდებელი უნდა შეჯერდეს მხოლოდ ერთი ტერმინის – „სასამართლოს უპატივცემულობის“ გამოყენებაზე და ჩამოაყალიბოს შესაბამისი დეფინიცია, უარი უნდა თქვას დამატებითი, ბუნდოვანი და ერთმანეთის გადამფარავი ტერმინების გამოყენებაზე. უნდა გადაიხედოს სანქციის სახეები, მოექცეს ერთი ნორმის ფარგლებში და სასამართლოს უნდა მიეცეს ფართო დისკრეცია სასჯელის სიმკაცრის განსაზღვრის თვალსაზრისით.

პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების უფრო მაღალი სტანდარტი, სადაც მოსამართლეთა მხრიდან, კონსტიტუციის შესაბამისი და გონივრული განმარტების ფარგლებში, საქმე განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს საპროცესო გარანტიების ზედმიწევნით დაცვით, არა მხოლოდ ცალკეული შეუსაბამო ლექსიკისა თუ სალანძღავი სიტყვების გამოყენების იდენტიფიცირებით, არამედ საქმის ერთიანი კონტექსტის შეფასებითა და ასეთი გამოხატვის ნეგატიური ზემოქმედების ხარისხის დადგენით მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაზე. ყოველივე აღნიშნულით კი, განჭვრეტადი უნდა გახდეს, კონკრეტულად როგორი ქცევა, გამოხატვის ფორმა თუ შინაარსი შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს უპატივცემულობად და როგორ უნდა შეირჩეს სანქციის სახე და ოდენობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
რამდენიმე გადაწყვეტილების ანალიზი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის
მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში

აბსტრაქტი

ადამიანით ვაჭრობა, როგორც მონობის თანამედროვე ფორმა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა, კვლავაც რჩება ყველაზე შემოსავლიან დანაშაულთა რიცხვში, იარაღით და ნარკოტიკით ვაჭრობის შემდეგ. ეროვნული კანონმდებლობებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია, კანონმდებლობის დახვეწა და სანქციების დამძიმება, საერთაშორისო ინსტრუმენტებით ჩამოყალიბებული დეფინიციის შესაბამისად, უფრო და უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს. განსაკუთრებულ როლს ამ პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ასრულებს.

სტატიის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილების განხილვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში – ევროპული კონვენცია) მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, არავინ შეიძლება იყოს მონობასა და ყმობაში,¹ არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი და სავალდებულო შრომა.²

აღნიშნული მუხლის დარღვევა სტატიაში განხილული იქნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში ექსპლუატაციის შემდეგი ფორმების გამოყენებისას: შრომითი და სექსუალური ექსპლუატაცია, მონობა, სერვიტუტი, არასრულწლოვნით ვაჭრობა.

* სამართლის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი [marina.meskhililiauni.edu.ge]

¹ მუხლი 4, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდგომში: ევროპული კონვენცია) 1950.

² ibid, მუხლი 4, ნაწილი 2.

I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოსათვის ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ უმძიმეს ფორმას წარმოადგენს. ტრეფიკინგის პირველი საერთაშორისო დეფინიცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციით (შემდგომში – პალერმოს კონვენცია)³ და მისი მეორე დამატებითი ოქმით, ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ (შემდგომში – პალერმოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი), იქნა ჩამოყალიბებული.⁴ შესაბამისად, ტრეფიკინგის დეფინიცია, ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, შემდეგნაირად განისაზღვრა: „ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით“.⁵

რაც შეეხება ექსპლუატაციას, როგორც ტრეფიკინგის დანაშაულის მიზანს, „ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას“.⁶

მოგვიანებით, 2005 წელს, ევროპის საბჭოს კონვენციამ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ (შემდგომში – ევროპის საბჭოს კონვენცია) პრაქტიკულად ტრეფიკინგის იგივე დეფინიცია ჩამოაყალიბა და განმარტა, რომ „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, მუქარის ან ძალის, ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, ან თაღლითობის, ან მოტყუების, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის, ან საზღაურის, ან სარგებლის მიცემის ან მიღების

³ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს კონვენცია, 2000.

⁴ პალერმოს კონვენცია უშუალოდ არ ეხება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), თუმცა, ვინაიდან ტრეფიკინგი თავად წარმოადგენს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს, პალერმოს კონვენცია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია, სადაც ჩამოყალიბებულია, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

⁵ მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, 2000.

⁶ *ibid.*

გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც კონტროლს ახორციელებს სხვა პირზე”.⁷ რაც შეეხება ექსპლუატაციის განმარტებას, თითქმის იდენტურია პალერმოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმისა და ექსპლუატაციის ფორმებად განსაზღვრავს სექსუალურ და შრომით ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მდგომარეობაში ჩაყენებას, ორგანოებით ვაჭრობასა და კატორღულ შრომას.⁸

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ არანაკლებ მძიმე სამართლებრივი შედეგები ახასიათებს არასრულწლოვნით ვაჭრობას, ექსპლუატაციის ზემოთ ჩამოთვლილი იმ ნებისმიერი ფორმით/ფორმებით განხორციელებისას, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ექსპლუატაციის ისეთ ფორმებთან მიმართებაში, როგორიცაა შრომითი და სექსუალური ექსპლუატაცია, მონობა, არასრულწლოვნით ვაჭრობა. ასევე, მეტად საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ექსპლუატაციის კიდევ ერთი კომპონენტის – სერვიტუტის განმარტება, რომელიც ასევე დიდი მნიშვნელობისაა ეროვნული კანონმდებლობებისათვის.

II. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლთან მიმართებაში

1. სექსუალური ექსპლუატაცია

სექსუალური ექსპლუატაციის ფორმით ჩადენილი ტრეფიკინგის დანაშაულის კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევად შეფასებისას, სამოდელო გადაწყვეტილებებად ითვლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: „რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ”,⁹ „ლ.ი. საბერძნეთის წინააღმდეგ”.¹⁰

⁷ მუხლი 4, ქვეპუნქტი „ა“, ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, CETS No. 197, 2005.

⁸ *ibid.*

⁹ Judgment of the European Court of Human Rights N25965/04 “Rantsev v. Cyprus and Russia”, 7 January 2010.

¹⁰ Judgment of the European Court of Human Rights N71545/12 “L.E. v. Greece”, 21 January 2016.

1.1. „რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ“

ფაქტობრივი გარემოებები

2001 წელს, რუსეთის მოქალაქე რანცევა, გადაბირებული და გადაყვანილი იქნა კვიპროსში, ე.წ. „კაბარეს მსახიობად“, სადაც მას მოუწია კლიენტებისათვის სექსუალური მომსახურების გაწევა. მან სამუშაო მაღევე მიატოვა და მის მიერ დატოვებულ ჩანაწერში მითითებული იყო, რომ იგი რუსეთში დაბრუნებას აპირებდა. მიუხედავად ამისა, კაბარეს მენეჯერმა იგი ერთ-ერთ დისკოთეკაზე აღმოაჩინა, რომელმაც პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა და მოითხოვა მისი დაკავება არალეგალური მიგრანტის სტატუსით. პოლიციამ არ დააკავა რანცევა და კაბარეს მენეჯერს, როგორც თანამშრომელზე პასუხისმგებელ პირს, დაავალა მისი საემიგრაციო სამსახურში მიყვანა დილის 7 საათზე. მენეჯერმა დილის 5.20 საათზე რანცევა წაიყვანა იმ შენობაში, სადაც იგი ადრეც იმყოფებოდა და სადაც დილის 6.30 საათზე მისი ცხედარი იპოვეს ქუჩაში, გაურკვეველ ვითარებაში, ხოლო შენობის მოაჯირზე ნაპოვნი იქნა საწოლის გადასაფარებელი, რომლითაც, სავარაუდოდ რანცევა გაქცევას ცდილობდა.

მიუხედავად მტკიცებულებების და საკმარისი საფუძველის არარსებობისა, კვიპროსში ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ რანცევა დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად, გაქცევის მცდელობის დროს. რუსეთში ჩატარებული აუტოფსიის შედეგად საეჭვოდ ჩაითვალა კვიპროსის გამოძიების დასკვნა დამაჯერებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, კვიპროსის ხელისუფლებამ დამატებითი გამოძიების ჩატარებაზე უარი განაცხადა. ასევე, არც რუსეთის და არც კვიპროსის სამართალდამცავების მიერ არ დაკითხულა ორი მოწმე, რომელთაც შეეძლოთ ჩვენების მიცემა კაბარეში სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტების თაობაზე.

მე-4 მუხლის დარღვევა¹¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ტრეფიკინგი საფრთხეს უქმნის ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან და კონვენციის ღირებულებებთან შეუთავსებლად უნდა ჩაითვალოს.

უაღრესად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები შეიცავს

¹¹ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ ასევე იმსჯელა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-5 და მე-8 მუხლების დარღვევის თაობაზე, თუმცა სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებას განვიხილავთ მხოლოდ მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში.

პალერმოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებს, რომლებიც ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის – „არავინ შეიძლება იყოს მონობასა და ყმობაში“ მოქმედების ფარგლებში ხვდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილება კვიპროსთან და რუსეთთან მიმართებით.

კვიპროსთან მიმართებაში სასამართლომ მიუთითა კვიპროსის მიერ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემდეგ გარემოებებზე:¹² (1) ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტური სამართლებრივი ბაზა, რომელიც, მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, საკმარისი დაცვა არ აღმოჩნდა რანცევასთვის. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ „კაბარეს მსახიობების“ ვიზებით დასაქმებულთა უმრავლესობა ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლი გახდა და ამის თაობაზე კვიპროსის ომბუდსმენის,¹³ ადამიანის უფლებათა კომისიის, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში არაერთხელ იქნა მითითებული, კვიპროსის ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯები არ განუხორციელებია. (2) პოლიციის არაეფექტური მოქმედება, რაც გამოვლინდა პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობასა და შესაბამისი ოპერატიული ზომების მიუღებლობაში რანცევას ტრეფიკინგისგან დასაცავად. მიუხედავად საკმარისი ეჭვის საფუძვლის არსებობისა, პოლიციის მიერ არ ჩატარებულა შესაბამისი ოპერატიული მოქმედებები რანცევას მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტების დასადგენად.

რუსეთთან მიმართებაში სასამართლომ არ დაადგინა მე-4 მუხლის დარღვევა საკანონმდებლო ბაზის არარსებობასთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხება ეფექტურ გამოძიებას, სასამართლომ ჩათვალა, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ არ ჩატარებულა შესაბამისი და სრულყოფილი გამოძიება რანცევას გადაბირების ფაქტის დასადგენად,¹⁴ რაც ტრეფიკინგის დანაშაულის პირველ სტადიად ითვლება,¹⁵ რასაც მოჰყვა რანცევას მიერ რუსეთის დატოვება, რაც საბოლოოდ მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რანცევას საქმეზე დადგენილი იქნა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა.

¹² Rantsev v. Cyprus and Russia, supra სქოლიო 9, 150.

¹³ ibid, 163.

¹⁴ ibid, 207.

¹⁵ გადაბირება – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პირველი სტადიაა, რასაც მოსდევს გადაყვანა, როგორც დანაშაულის მეორე სტადია, ხოლო მესამე სტადიად ითვლება ექსპლუატაცია. აღნიშნული სტადიები ერთობლიობაში ქმნიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პროცესს.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი და საყურადღებო გარემოება ისაა, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მეორე დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და ევროპის საბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის მოქმედების ფარგლებს მიაკუთვნა.

1.2. „ლ.ი. საბერძნეთის წინააღმდეგ“

სექსუალური ექსპლუატაციის ფორმასთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა „ლ.ი. საბერძნეთის წინააღმდეგ“.¹⁶

ფაქტობრივი გარემოებები

2004 წლის ივნისში, ნიგერიის მოქალაქე ლ.ი., მოქალაქე კ.ა.-სთან ერთად, რომელიც მას დაჰპირდა კლუბში დასაქმებას და რისთვისაც ლ.ი.-სგან მოითხოვა 40 000 ევროს ანაზღაურება, შევიდა საბერძნეთის ტერიტორიაზე. საბერძნეთში ჩასვლის შემდეგ, კ.ა.-მ მას ჩამოართვა პასპორტი და აიძულა პროსტიტუციაში ჩაბმა. 2004 წლის ივლისში ლ.ი. დაუკავშირდა ათენის უცხოელთა დეპარტამენტს თავშესაფრის მიღების მოთხოვნით, მას გამოეყო ადგილი წითელი ჯვრის მიმღებ ცენტრში თავშესაფრის მაძიებელთათვის, თუმცა საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ლ.ი.-ს ცენტრის მომსახურებით არ უსარგებლია. 2004 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში, ლ.ი. სამჯერ დააკავეს პროსტიტუციის ბრალდებით და საბერძნეთში არალეგალურად ყოფნის გამო მისი ქვეყნიდან გაძევების პროცედურა დაიწყო. სანამ ლ.ი. დაკავების ცენტრში იყო მოთავსებული, მან საჩივარი შეიტანა კ.ა-სა და მისი პარტნიორი დ.ჯ.-ის წინააღმდეგ, ამტკიცებდა, რომ იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი და ზემოაღნიშნულ პირებს ადანაშაულებდა პროსტიტუციის იძულებაში, რომელშიც მათ ასევე 2 სხვა ნიგერიელი ქალიც ჩართეს.

2006 წელს დაიწყო გამოძიება, კ.ა-სა და დ.ჯ-ს მიმართ, ტრეფიკინგის ბრალდებით, თუმცა მათი ძებნაში ყოფნის გამო, 2009 წელს საქმის მოსმენა გადაიდო, მათ დაკავებამდე. დ.ჯ. დააკავეს 2011 წლის მაისში, შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, თუმცა გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ისიც კ.ა-ს ერთ-ერთი მსხვერპლი იყო და სექსუალური ძალადობა მის მიმართაც ხორციელდებოდა.

ლ.ი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსადმი მიმართულ საჩივარში მიუთითებდა საბერძნეთის მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობაზე.¹⁷

¹⁶ L.E. v. Greece, supra სქოლიო 10.

¹⁷ ibid, 43.

მე-4 მუხლის დარღვევა¹⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის შინაარსი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებაში ასევე მოიაზრებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას. შესაბამისად, საბერძნეთის სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელი იყო ლ.ი.-ს ეფექტური დაცვის განხორციელება. ამ მსჯელობაში მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომელიც სასამართლოს მიერ ხაზგასმით იქნა აღნიშნული, კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 351-ე მუხლი ტრეფიკინგს განმარტავდა პალერმოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის დეფინიციის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საბერძნეთის სახელმწიფოს შეეძლო განეხორციელებინა და უნდა განეხორციელებინა ლ.ი.-ს ეფექტური დაცვა.

სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 2007 წლის აგვისტოში ლ.ი. საბერძნეთის პროკურატურის მიერ ცნობილი იქნა ტრეფიკინგის მსხვერპლად, თუმცა, მიუხედავად ამისა, 9 თვის განმავლობაში მას სტატუსი არ მინიჭებია. სასამართლოს შეფასებით, ეს პერიოდი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს გონივრულ ვადად და, შესაბამისად, საბერძნეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ლ.ი.-სთვის ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების გაჭიანურება მისთვის დაცვის ღონისძიებების განუხორციელებლობად უნდა ჩაითვალოს.¹⁹

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია წინასწარი გამოძიების პერიოდში დაშვებული ხარვეზების შეფასების ნაწილშიც, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ საბერძნეთის სამართალდამცავ ორგანოებს არ ჩაუტარებიათ ფართომასშტაბიანი ძებნა დამნაშავე პირთა დასადგენად, მიუხედავად იმისა, რომ ლ.ი.-ს მიერ მითითებული იქნა მათი რამდენიმე სავარაუდო მისამართი, რაც გამოძიების გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობაზე დაყრდნობით დაადგინა კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა.

საბერძნეთის სამართალდამცავთა მიერ სწრაფი გამოძიების განუხორციელებლობის, როგორც პროცედურული ვალდებულების შეუსრულებლობის, შეფასება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვან განმარტებად უნდა ჩაითვალოს.

¹⁸ აღნიშნულ საქმეზე ასევე დადგენილი იქნა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-13 მუხლების დარღვევა, თუმცა სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებას განვიხილავთ მხოლოდ მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში.

¹⁹ L.E. v. Greece, supra სქოლიო 10, 72.

2. შრომითი ექსპლუატაცია

პალერმოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის მე-3 მუხლისა და ევროპის საბჭოს კონვენციის მე-4 მუხლებით ჩამოყალიბებული ექსპლუატაციის განმარტების შესაბამისად, ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმას შრომითი ექსპლუატაცია წარმოადგენს. აღნიშნული ფორმით ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისას, ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევად შეფასებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ორი გადაწყვეტილება: „სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ“, ²⁰ „ჩოვდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“. ²¹

2.1. „სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (იძულებითი შრომა და სერვიტუტი)

ფაქტობრივი გარემოებები

ტოგოში მცხოვრები 15 წლის სივა-აკოფა სილიადინი 1994 წელს საფრანგეთში ჩავიდა ტოგოელი წარმოშობის D.-ს თან ერთად, რომელიც მას დაჰპირდა სამედიცინო სტატუსის მოგვარებასა და სკოლაში მისი განათლების უზრუნველყოფას. სილიადინს D-სთვის უნდა შეესრულებინა საოჯახო საქმეები, მისი ავიაბილეთის საფასურის ნაცვლად. მიუხედავად შეთანხმებული პირობებისა, D-მ და მისმა მეუღლემ სილიადინი შინამოსამსახურედ აქციეს, ამუშავებდნენ ანაზღაურების გარეშე, ასევე ჩამოართვეს პასპორტი.

1994 წელს D-მ სილიადინი მეგობარ B-ს ოჯახს „ათხოვა“, ²² რომელსაც ჰყავდა შვილები და იყო ფეხმძიმედ, ბავშვების მოსაველეად და საოჯახო საქმეებში დასახმარებლად, მის მშობიარობამდე. მშობიარობის შემდეგ B-ს ოჯახმა დაიტოვა სილიადინი, სადაც მას ევალებოდა თითქმის ყველა საოჯახო საქმის შესრულება, 15-საათიან რეჟიმში, დასვენების დღეების გარეშე. მას ეძინა ბავშვების ოთახში, იატაკზე დადებულ ძველ მატრასზე, ემოსა ძველი ტანსაცმელი და B-ს დედის მიერ რამდენჯერმე ნაჩუქარი მცირე თანხის გარდა, მისი შრომა არასდროს აუნაზღაურებიათ. ²³

1998 წლის ივლისში სილიადინის მეგობარმა თანამედროვე მონობის კომიტეტს აცნობა მისი მდგომარეობის შესახებ. გამოძიება დაიწყო B-ების წი-

²⁰ Judgment of the European Court of Human Rights N73316/01 “Siliadin v. France”, 26 July 2005.

²¹ Judgment of the European Court of Human Rights N21884/15 “Chowdury and others v. Greece”, 30 March 2017.

²² გადაწყვეტილებაში გამოყენებულია ტერმინი – “lent”. იხ. Siliadin v. France, supra სქოლიო 20, 12.

²³ ibid, 14.

ნააღმდეგ, მათზე დამოკიდებული პირის მიმართ არასათანადო ანაზღაურების ან აუნაზღაურებელი შრომის გამოყენების საფუძვლით, ასევე, დამამცირებელი და ღირსეული ცხოვრებისათვის შეუფერებელი საცხოვრებელი პირობების გამო. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ B – ებს მიესაჯათ 12-თვიანი პატიმრობა და დაეკისრათ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მე-4 მუხლის დარღვევა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართულ სარჩელში, კონვენციის მე-4 მუხლზე დაყრდნობით (იძულებითი შრომის აკრძალვა), სილიადინი მიუთითებდა საფრანგეთის კანონმდებლობის არაეფექტურობასა და მის მიმართ განხორციელებულ სერვიტუტზე, იძულებით და სავალდებულო შრომის პირობებზე, რის გამოც არასრულწლოვნების ასაკიდან, წლების განმავლობაში, იმყოფებოდა მონურ პირობებში.

დასაშვებობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სილიადინის შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლით დაცული დემოკრატიული ღირებულებები და ჩათვალა, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევისგან სილიადინის ეფექტური დაცვა, აღნიშნა რა, რომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი დევნის ეფექტურად აღსრულება და მე-4 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარება.²⁴

იძულებით შრომასთან მიმართებით, სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, სადაც, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე კონვენციაზე დაყრდნობით,²⁵ მიუთითა, რომ იძულებით შრომად უნდა ჩაითვალოს ყველა სამუშაო, რომელიც პირის მიერ ნებაყოფლობით არ ყოფილა შესრულებული.²⁶ ევროპული კონვენციის თანახმად, „არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის განხორციელება“.²⁷ ამ გარემოებაზე მითითებით, პრაქტიკულად, სასამართლომ იძულებითი შრომის ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია და მიუთითა რომ მის მიერ სამუშაოს იძულებითი შესრულება განპირობებული იყო არჩევნის არარსებობით.

მონობასთან მიმართებით, სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მონობის შემადგენლობად სილიადინის მიმართ განხორციელებული

²⁴ ibid, 64-66.

²⁵ კონვენცია იძულებითი და სავალდებულო შრომის აკრძალვის შესახებ (No. 29) 1930.

²⁶ “The term “forced or compulsory labour” shall mean “all work or service which is exacted from any person under the menace of any penalty and for which the said person has not offered himself voluntarily””.
ib. supra სქოლიო 20, 116.

²⁷ მუხლი 4, ნაწილი 1, supra სქოლიო 25.

ქმედებები. ამ ნაწილში სასამართლო დაეყრდნო მონობის კონვენციის განმარტებას, რომლის მიხედვითაც „მონობა არის ადამიანის სტატუსი ან მდგომარეობა და მის ყველა ან რომელიმე უფლებას მასზე მესაკუთრის უფლების მქონე პირი განაგებს“.²⁸ მიუხედავად იმისა, რომ სილიადინის მიმართ პიროვნული ავტონომიის შეზღუდვა აშკარაა, B-ების ოჯახი არ შეიძლება ჩაითვალოს მის მესაკუთრედ, შესაბამისად, სასამართლოს აზრით, სილიადინის მიმართ ჩადენილი ქმედებები არ შეიძლება მისი მონობის მდგომარეობასთან იქნეს გათანაბრებული.

არანაკლებ საინტერესოა სერვიტუტთან მიმართებაში სასამართლოს განმარტება. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სილიადინი B-ების განკარგულებაში იმყოფებოდა, მუშაობდა კვირაში 7 დღე, 15-საათიანი სამუშაო გრაფიკით, არ უვლია სკოლაში, მიუხედავად საფრანგეთში ჩამოსვლის წინ დადებული შეთანხმებისა, ჩამორთმეული ჰქონდა პასპორტი და სისტემატურად ემუქრებოდნენ პოლიციის მიერ დაკავებით, ეს უნდა ჩაითვალოს გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვად. ამ გარემოებათა ერთობლიობა ადასტურებს, რომ სილიადინი B-ებზე სრულიად დამოკიდებული იყო. შესაბამისად, არსებობს სერვიტუტის მდგომარეობა, რაც ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.²⁹

მონობისა და სერვიტუტის განმარტების გარდა, აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სილიადინის საქმეში სასამართლომ პირველად მიუთითა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შესახებ.

2.2. „ჩოვდური და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ (იძულებითი შრომის აპრძალვა)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის აღნიშნული გადაწყვეტილება საყურადღებოა იმით, რომ ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შრომით ექსპლუატაციად ჩაითვალია იძულებითი შრომა სასოფლო-სამეურნეო სექტორში.

ფაქტობრივი გარემოებები

ბანგლადეშის 32 მოქალაქე, 2012 წლის ოქტომბერსა და 2013 წლის თებერვალში, გადაბირებული და გადაყვანილი იქნა საბერძნეთში, მარწყვის ფერმაში სამუშაოდ. შეთანხმებისას, მათი სამუშაო დრო განისაზღვრა 7 საათით, საათში 22 ევროს და ყოველ გადაცილებულ საათზე – 3 ევროს

²⁸ მუხლი 1, კონვენცია მონობის შესახებ, 1926.

²⁹ მუხლი 4, ევროპული კონვენცია, supra სქოლიო 1; Siliadin v. France, supra სქოლიო 20, 129.

ანაზღაურების პირობებით. საბერძნეთში ისინი მუშაობდნენ 12-საათიანი გრაფიკით, შეიარაღებული დაცვის ზედამხედველობის ქვეშ, ცხოვრობდნენ გაუსაძლის პირობებში, წყლისა და ტუალეტის გარეშე.

2013 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდში, მუშებმა მოითხოვეს ანაზღაურება, თუმცა დამსაქმებლები ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ მათ მიერ სამუშაოს გაგრძელების შემთხვევაში.

2013 წლის აპრილში დამსაქმებლებმა ახალი მიგრანტები გადაიბირეს. როცა მუშებმა მოითხოვეს ანაზღაურება 2012-2013 წლის სეზონში შესრულებული სამუშაოსათვის, მცველებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და სერიოზულად დაშავდა 30 პირი. ჰოსპიტალში გადაყვანილი მუშების დაკითხვის შემდეგ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს 2 დამსაქმებელი და დაცვა, თუმცა მოგვიანებით კვალიფიკაცია შეიცვალა სხეულის მძიმე დაზიანებისა და ტრეფიკინგის ბრალდებით.

მე-4 მუხლის დარღვევა

სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლები მოიცავს ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ვინაიდან შრომითი ექსპლუატაცია, აღნიშნული დანაშაულის განხორციელების ფორმაა.³⁰ ჩოვდურის საქმეში აშკარაა ტრეფიკინგის სამივე სტადია: გადაბირება, გადაყვანა და ექსპლუატაცია. შესაბამისად, ექსპლუატაცია, ამ შემთხვევაში შრომითი ექსპლუატაციის ფორმით განხორციელებული, მე-4 მუხლის დარღვევად ჩაითვალა.

გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე კონვენციის განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, იძულებითი და სავალდებულო შრომა განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი სამუშაო და მომსახურება, რომლის შესრულებისთვისაც სასჯელის მუქარაა გამოყენებული პირის მიმართ“.³¹

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა იძულებითი შრომის აკრძალვასთან მიმართებაში.

თუმცა, სერვიტუტის შემადგენლობად არ ჩათვალა მუშების მიმართ ჩადენილი ქმედებები,³² და ჩოვდურის საქმე საინტერესოა იმითაც, რომ

³⁰ ჩოვდურის საქმეზე სასამართლო კვლავ უთითებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე კონვენციის განმარტებას, რომელიც ასევე გამოყენებული იქნა სილიადინის საქმეშიც. *Siliadin v. France*, supra სქოლიო 20, 12; *Chowdury and others v. Greece*, supra სქოლიო 21, 90.

³¹ მუხლი 2, პუნქტი 1, supra სქოლიო 25.

³² *Chowdury and others v. Greece*, supra სქოლიო 21, 99.

სასამართლომ მიუთითა სერვიტუტისა და იძულებითი განსხვავების შესახებ. სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ სერვიტუტი, ძირითადად, გამოხატულია იმ გარემოებაში, როცა სიტუაცია პერმანენტულია და მსხვერპლს მისი შეცვლის იმედი არ აქვს.³³ ჩოვდურის საქმეში კი აპლიკანტები არიან სეზონური მუშები და მათ მიმართ განხორციელებული ქმედებები იძულებითი შრომაა და არა სერვიტუტი.³⁴

3. არასრულწლოვნით ვაჭრობა – „C.N. და V. საფრანგეთის წინააღმდეგ“ (იძულებითი შრომა და სერვიტუტი – C.N. მიმართ)

სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის ფორმების გარდა, არასრულწლოვნის ექსპლუატაცია ტრეფიკინგის დანაშაულის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რაც ძირითადად გამოხატულია არასრულწლოვნის შრომით ექსპლუატაციაში, სამუშაოს დატოვების ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე; სექსუალურ ექსპლუატაციაში; ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით არასრულწლოვნის არალეგალურად გაშვილებაში. ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა არასრულწლოვანთა გამოყენება ნათესავების ან მეურვეების მიერ შინამოსამსახურეებად, როცა მათ ეკრძალებათ თავისუფალი გადაადგილება, ტრანსპორტის გამოყენება, ეზღუდებათ საკვები და ა.შ. ამ ფორმით განხორციელებული ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისას, ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „C.N. და V. საფრანგეთის წინააღმდეგ“.³⁵

ფაქტობრივი გარემოებები

ბურუნდიში დაბადებული დები C.N. (1978) და V. (1984), რომლებმაც ქვეყანა 1993 წლის სამოქალაქო ომისა და მშობლების მკვლელობის შემდეგ დატოვეს, საფრანგეთში მცხოვრებ დეიდასთან და ბიძასთან (ბურუნდის მოქალაქეებთან) – M – ებთან ჩავიდნენ. M-ებს შვიდი შვილი ჰყავდათ, მათ შორის – ერთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. დები სარდაფში დააბინავეს და მათ ევალებოდათ საოჯახო საქმეები, შვებულებისა და დასვენების დღეების გარეშე. C.N.-ს ასევე ევალებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვაჟზე ზრუნვა, მთელი ღამის ჩათვლით. ასევე, დები

³³ ibid, “the fundamental distinguishing feature between servitude and forced or compulsory labour within the meaning of Article 4 of the Convention lies in the victim’s feeling that his or her condition is permanent and that the situation is unlikely to change”.

³⁴ განსხვავებით სილიადინის საქმისა, სადაც სიტუაცია პერმანენტული იყო და მას არჩევანი საერთოდ არ ჰქონდა.

³⁵ Judgment of the European Court of Human Rights N67724/09 “C.N. and V. V. France”, 11 January 2013.

ცხოვრობდნენ აბაზანისა და ტუალეტის გარეშე, შეზღუდული ჰქონდათ ოჯახის საკვების მიღების უფლება და მუდმივად განიცდიდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. V. 1995 წლიდან სწავლობდა სკოლაში და, ენობრივი სირთულეების მიუხედავად, კარგი შედეგები ჰქონდა. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ იგი დას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში.

როგორც აღინიშნა, დები მუდმივად განიცდიდნენ შეურაცხყოფასა და დეიდის მხრიდან მუქარას მათი ბურუნდიში გაგზავნის თაობაზე. 1995 წლის სოციალური დეპარტამენტის ანგარიშში მათი შემთხვევის მოხვედრისა და პოლიციის ბავშვთა დაცვის ჯგუფის მიერ გამოძიების დაწყების მიუხედავად, შემდგომი ნაბიჯები არ განხორციელებულა.

მე-4 მუხლის დარღვევა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღინიშნა, რომ კონვენციის მე-4 მუხლით დაცული უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური უფლებაა და ამ საქმეშიც, მსგავსად სილიადინის და ჩოვდურის საქმეებისა, სასამართლომ მიუთითა, რომ იძულებითი და სავალდებულო შრომა, კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით,³⁶ გულისხმობს პირის ნების საწინააღმდეგოდ, მის მიმართ განხორციელებული მუქარის ქვეშ შესრულებულ სამუშაოს.³⁷

სასამართლომ აღნიშნა, რომ C.N.-ის შემთხვევაში, საქმე გვაქვს სწორედ ამგვარ ქმედებასთან, ვინაიდან C.N. იძულებული იყო შეესრულებინა სამუშაო ანაზღაურების გარეშე, მუქარისა და იძულების ქვეშ. სასამართლომ, ასევე, მიუთითა M-ის მიერ არაერთგზის განხორციელებული მუქარის თაობაზე დების ბურუნდიში გაგზავნის შესახებ და აღნიშნა, რომ C.N.-ისათვის ეს ქმედება მისი დის მიტოვებასთან და სიკვდილის შიშთან იყო დაკავშირებული,³⁸ აქედან გამომდინარე, ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ იძულების გარემოებად.³⁹

სერვიტუტთან მიმართებაში, სასამართლომ C.N.-ის მდგომარეობა ჩათვალია სერვიტუტად, ვინაიდან C.N.-ის შემთხვევაში არსებობს ზემოაღნიშნული, სერვიტუტის განმარტებაში ნაგულისხმევი სიტუაციის პერმანენტულობა და მდგომარეობის შეცვლის უიმედობა. ეს გარემოება დასტურდება

³⁶ „არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება“, მუხლი 4, ნაწილი 2, ევროპული კონვენცია, *supra* სქოლიო 4.

³⁷ C.N. and V. V. France, *supra* სქოლიო 35, 71.

³⁸ *ibid*, 78.

³⁹ V.-ს შემთხვევაში, მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირებელი მოპყრობის ფაქტებისა, სასამართლომ ეს ქმედება მე-4 მუხლის მოქმედების ფარგლებს არ მიაკუთვნა.

იმ შიშით, რომ C.N.-ს არ ჰქონდა წასასვლელი და დეიდისგან წასვლის შემთხვევაში, მეურვეობის დაკარგვა და არალეგალური მიგრანტის სტატუსი, პრაქტიკულად, სერვიტუტის მდგომარეობაში აყენებს მას.⁴⁰

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, C.N.-ის მიმართ დადგენილი იქნა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა. ამ საქმეზე სასამართლომ, ასევე, მიუთითა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ, ადეკვატური საკანონმდებლო და სერვიტუტისა და იძულებითი შრომის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტური მექანიზმების შექმნის თაობაზე.

III. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანი იარაღია. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში, სახელმწიფოების მხრიდან ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევის დადგენისას, სასამართლო, ასევე, მნიშვნელოვან განმარტებებს აკეთებს ისეთ ტერმინებთან მიმართებაში, როგორიცაა მონობა, იძულებითი და სავალდებულო შრომა, სერვიტუტი, მათ შორის განსხვავებანი.

ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საკანონმდებლო ხარვეზზე, სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტურ საქმიანობასა და სხვა მსგავს გარემოებებზე მითითება, სახელმწიფოებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ, ერთი მხრივ, კანონმდებლობის დახვეწის ჭრილში და მეორეც, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პროცესში.

⁴⁰ განსხვავებით V.-სგან, რომელიც დადიოდა სკოლაში, ჰქონდა დავალებების მომზადების შესაძლებლობა და იგი ნაკლებ იზოლირებული იყო.

მოწმისა და ბრალდებულის ჩვენებების შეპირისპირება სამართლებრივ დისკურსში

აბსტრაქტი

ქართული სისხლის სამართლის პროცესის არსებობა რამდენიმე წელს ითვლის. თავდაპირველად, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეეცადა სისხლის სამართლის პროცესის მოწესრიგებას, თუმცა, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მიღებული იქნა დღეს მოქმედი, 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მაშინ არსებული სისხლისსამართლებრივი პრობლემების გადასატრელად. ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესი არ არის სტატიკური, დროთა განმავლობაში, ახალი გამოწვევების პარალელურად, საკანონმდებლო ორგანოსა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით ხდება მისი ფორმირება. საინტერესოა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებით, ხომ არ შეიზღუდა ბრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული - თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება და ბრალდებული ხომ არ გაიგივდა სტანდარტულ მოწმესთან? სტატია სწორედ ბრალდებულისა და მოწმის საპროცესო სტატუსის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს, მათ მიერ მიცემული ჩვენებების თავისებურებას შეეხება.

I. შესავალი

ქართული სისხლის სამართლის პროცესის არსებობა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. თავდაპირველად, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეეცადა სისხლის სამართლის პროცესის დარეგულირებას, თუმცა, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მაშინ არსებული სისხლისსამართლებრივი პრობლემების გადასატრელად მიღებული იქნა დღეს მოქმედი, 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მაგრამ დღემდე ცალკეული პრობლემები კვლავ

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი [maia.akhvlediani472@law.tsu.edu.ge]

პრობლემებად დარჩა. შესაბამისად, საზოგადოების განვითარების პარალელურად, კანონშემოქმედებითი როლი, გარდა საქართველოს პარლამენტისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც აქვს მორგებული.

მას შემდეგ, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პარალელურად, თვითიუსტიცია უარყოფილი იქნა და დამნაშავის დასჯის მონოპოლია სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო, სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო კოდექსის ყურადღების ცენტრში ბრალდებული/მსჯავრდებული მოექცა. შეჯიბრებით პროცესში, ბრალდებული ცალკეული სამართლებრივი გარანტიებით არის უზრუნველყოფილი, რათა თავი დაიცვას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვის, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი ბრალდებისა თუ უკანონო და უსამართლო განაჩენისგან. ამასთანავე, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად აირჩიოს დაცვის სტრატეგია და მოსამართლეს მისეული ვერსია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გააცნოს.

2021 წლის 28 დეკემბრამდე სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ ნაწილში, ღიად იყო საკითხი დატოვებული ბრალდებულის ცრუ ჩვენებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/2/1478 გადაწყვეტილებით, ჭეშმარიტების დადგენა და საჯარო ინტერესი ბრალდებულის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებაზე პრიორიტეტული აღმოჩნდა.

საინტერესოა ბრალდებულისა და მოწმის საპროცესო სტატუსის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, მათ მიერ მიცემული ჩვენებების თავისებურებანი და ბრალდებულის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება – ისარგებლოს დუმილის უფლებით, თუ თქვას სიმართლე?!

II. მოწმის ჩვენების სამართლებრივი ანალიზი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

მოწმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სისტემისთვის. ის წარმოადგენს მართლმსაჯულების საწვავს, რომელსაც საკუთარი წვლილი შეაქვს სამართლიანობის განმტკიცებაში. მოწმეს სისხლის სამართლის სისტემის ხერხემალსაც უწოდებენ, რადგან ის არის ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობს დანაშაულის მოვლენების შესახებ და ხშირად დანაშაულის პირდაპირ მტკიცებულებასაც წარმოადგენს. მოწმის ჩვენება ეხმარება სასამართლოს, გამოიტანოს სამართლიანი განაჩენი. მაშასადამე, მოწმის ჭეშმარიტი ჩვენება არის სამართლიანობის

ქვაკუთხედი. ის განიხილება როგორც შემთხვევის „თვალეები და ყურები“.¹ მოწმეთა ჩვენებები ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი ფასი აქვს, რადგან ამ დროს ხდება დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მიზეზის დადგენა და სხვადასხვა ვერსიის შემოწმება.²

როგორც წესი, ნებისმიერი მოწმე მზადაა წარმოადგინოს თავისი ხედვა მომხდარის შესახებ. მოწმე არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელსაც გამოიძიება ითვალისწინებს საქმის შესწავლისას.³

მოწმის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილში, რომლის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი კი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ იძენს. შესაბამისად, საინტერესოა, თუ რომელ ეტაპზე (გამოძიების თუ სასამართლო განხილვის) იძენს პირი მოწმის სტატუსს, ანუ როდის ხდება მოწმის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილება და ფიცის დადება? რეალურად, პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სასამართლოში⁴, მას შემდეგ, რაც იგი დადებს რელიგიურ, არარელიგიურ ფიცს ან ფიცის შემცვლელ სამოქალაქო დადასტურებას⁵ და გაფრთხილებული იქნება მოსამართლის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ⁶. საქართველოს სსსკ-ის 48-ე მუხლის მეორე ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს, ფიცის დადების წინ, მოწმეს აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და განუმარტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე (ცრუ ინფორმაცია; ცრუ ჩვენება) და 373-ე (ცრუ დასმენა) მუხლებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თავის მხრივ, ფიცის მიზანი ყოველთვის მოწმეთა ჩვენებების სანდოობისთვის ხელის შეწყობა იყო.⁷

საქართველოს სსსკ-ის 47-ე მუხლი დამატებით განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც, შესაძლოა, სასამართლოში მოწმის სტატუსით იქნან გამოძახებულნი და შემდგომ დაკითხულნი. ასეთ პირებს მიაკუთვნებს

¹ Rahul Jaggi, 'Witness Protection' (2020) 18 *Supremo Amicus* 1.

² Jessica Ward, 'Do the Clothes Make the Man – Implications of a Witness' Status in the Determination of Probable Cause' (2001) 28 (6) *Fordham Urban Law Journal* 2012.

³ Ward, *supra* სქოლიო 2, 2006.

⁴ ავტორთა კოლექტივი, გიორგი გიორგაძე (რედ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (მერიდიანის გამომცემლობა 2015) 36.

⁵ გიორგი თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (იურისტების სამყაროს გამომცემლობა 2014) 151.

⁶ ავტორთა კოლექტივი, *supra* სქოლიო 4, 36.

⁷ Svjetlana Dragovic, 'Witness Oath in Criminal Proceedings' (2023) 3-4 *Criminal Justice Issues – Journal of Criminal Justice, Criminology and Security Studies* 80.

სისხლის სამართლის პროცესის მხარეებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს. უფრო კონკრეტულად კი, ზემოთ აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

რაც შეეხება მოწმის მიერ მიცემულ ინფორმაციას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ჩვენების მიცემა კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს ვერბალურ (სიტყვიერ), წერილობით ან სხვა ნებისმიერი ფორმის ქმედებაში საკუთარი ნებელობითი ელემენტის რეალიზებას, გამოხატვას.⁸ თუ მოწმეს სურს სასამართლოში ჩვენების მიცემა, ვერავინ აუკრძალავს მას ამის გაკეთებას, თვით ბრალდებულსაც კი.⁹

აღსანიშნავია, რომ მოწმეს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს საკუთარი უფლება-მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესში.¹⁰ საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლი განსაზღვრავს მოწმის უფლება-მოვალეობებს. ერთი მხრივ, მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც ჟესტური ენის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე; გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს; მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაში; და მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლებები არ არის ამომწურავი და მოწმის სხვა უფლებები მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლში.¹¹ მაგ. მოწმის უფლება, ისარგებლოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორით¹²; დაცვის

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/809 „საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 14 დეკემბერი. პარაგრაფი 42.

⁹ Mitchell Caldwell and Carlo Spiga, 'Crippling the Defense of an Accused: The Constitutionality of the Criminal Defendant's Right to Testify,' (2006) 6 (1) Wyoming Law Review 311.

¹⁰ Julia Muraszkievicz, 'The Role of Witness, Expertise, and Testimony' (2016) 28 (1) International Journal of Refugee Law 165.

¹¹ ავტორთა კოლექტივი, *supra* სქოლიო 4, 209.

¹² მუხლი 581, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>> [11.03.2024].

სპეციალური ღონისძიებით სარგებლობის უფლება¹³; მოწმის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებიდან გამომდინარე, მოსამართლის მიერ სხდომის დახურვის შესაძლებლობა¹⁴; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში დისტანციურად დაკითხვის შესაძლებლობა¹⁵; მეორე მხრივ, მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით; უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს და სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მოწმის ჩვენების მტკიცებულებად ვარგისიანობის კრიტერიუმებს.¹⁶ მოწმეს უნდა შეეძლოს, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები, ხოლო ჩვენების მიცემისას, მან უნდა მიუთითოს წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო.¹⁷ ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია მიღებულია უცნობი წყაროდან, მისი შემოწმება გართულებულია, მოცემულ შემთხვევაშიც მტკიცებულება უნდა ემსახურებოდეს საქმის კონკრეტულ გარემოებებს და არა ვარაუდს.¹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განასხვავებს მოწმის პირდაპირ და ირიბ ჩვენებას. მოწმის პირდაპირ ჩვენებად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ მოწმის ჩვენება, რომელმაც „პირადად დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეიტყო“ საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.¹⁹ ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას²⁰, ე.ი. აღნიშნული ინფორმაცია სხვა პირისგან გახდა ცნობილი.²¹ დღეის მდგომარეობით, ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად

¹³ მუხლები 67–68, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>> [11.03.2024].

¹⁴ მუხლი 182, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>> [11.03.2024].

¹⁵ მუხლი 243, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>> [11.03.2024].

¹⁶ თუმანიშვილი, *supra* სქოლიო 5, 159.

¹⁷ მუხლი 75, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>> [11.03.2024].

¹⁸ მიხეილ მამნიაშვილი, მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მათი სახეები, პროფესორ შოთა ფაფიაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომები კრებული (იურისტების სამყაროს გამომცემლობა 2015) 235.

¹⁹ თუმანიშვილი, *supra* სქოლიო 5, 212.

²⁰ ირინე ურუშაძე, ირიბი ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში – საერთო სასამართლოების პრაქტიკის კვლევა (2015) 8.

²¹ ავტორთა კოლექტივი, *supra* სქოლიო 4, 265.

არსებობის შემოწმება შესაძლებელია, ამასთანავე, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.²² 2013 წლის 14 ივნისამდე, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება სხვა მტკიცებულებით დასტურდებოდა, ხოლო აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ, ირიბი ჩვენება სხვა ისეთი მტკიცებულებით დასტურდება, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.²³ 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობა.²⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩვენების მიცემის ვალდებულებიდან გათავისუფლებების გამონაკლისებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს სსსკ-ის 49-ე და 115-ე მუხლებში, რომლის თანახმად, მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. საქართველოს სსსკ-ის 50-ე მუხლი კი ჩამოთვლის იმ პირებს, რომელთაც, ერთი მხრივ, არ ეკისრებათ ჩვენების მიცემის ვალდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს ანიჭებს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების უფლებამოსილებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოწმის იმუნიტეტი, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტი, არის სამართლებრივი (გამონაკლისი) ნორმების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის მოწმეების უფლებას, უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. აღნიშნული იყოფა სამ ჯგუფად: 1. პირები, რომლებიც, როგორც წესი, არ შეიძლება დაიკითხონ მოწმის სახით სისხლის სამართლის საქმეზე; 2. პირები, რომლებიც, როგორც წესი, შეიძლება დაიკითხონ მოწმის სახით, მაგრამ უფლება აქვთ უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე; 3. პირები, რომლებიც სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს მოწმის მოვალეობის შესრულებისგან. მოწმის იმუნიტეტის ობიექტური და სუბიექტური გაგება შემოიფარგლება მისი ორ ჯგუფად დაყოფით: ა) უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული; ბ) ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების მიხედვით, მოწმის იმუნიტეტი შეიძლება დაიყოს როგორც

²² მუხლი 76, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=163>> [11.03.2024].

²³ მუხლი 73, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 14 ივნისი, 2013. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 741-III.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015 წლის 22 იანვარი. პარაგრაფი III.

აბსოლუტური (იმპერატიული) და ფარდობითი (დისპოზიციური) იმუნიტეტი. აბსოლუტური იმუნიტეტისას მოწმეს კანონით აქვს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. პირი, რომელიც ფიზიკური ან გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა, არ შეუძლია სათანადოდ გაიაზროს და დაიმახსოვროს საქმის არსებითი გარემოებები, არ შეიძლება დაიკითხოს მოწმის სახით. ფარდობითი (დისპოზიციური) იმუნიტეტი მოქმედებს, როდესაც მოწმეს აქვს არჩევნის შესაძლებლობა, კერძოდ, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. ამ ტიპის იმუნიტეტი ვრცელდება ბრალდებულზე.²⁵

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 47-ე მუხლი ბრალდებულთან ერთად დაზარალებულსაც ანიჭებს მოწმის სტატუსს ჩვენების მიცემისას, მაგრამ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლი ცალ-ცალკე მოიხსენიებს დაზარალებულს და მოწმეს. მაშასადამე, მატერიალური სისხლის სამართალი განასხვავებს მოწმეს (ე. წ. მოწმე ვიწრო გაგებით) და დაზარალებულ – მოწმეს (ე.წ. მოწმე ფართო გაგებით). საპირისპირო მსჯელობაა განვითარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ტერმინ „მოწმეში“ მოიაზრებს ბრალდებულსაც, რომელიც იძლევა ჩვენებას საკუთარი თავის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულს აყენებს არჩევნის წინაშე – დუმილის უფლებით სარგებლობასა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის პირობებში საკუთარი თავის დასაცავად ჩვენების მიცემას შორის.²⁶ ასეთ შემთხვევაში, ჩნდება კითხვა, თუ რატომ გამიჯნა კანონმდებელმა დაზარალებული მოწმე „კლასიკური“ მოწმისგან?! აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლში მოწმესა და დაზარალებულთან ერთად არაა მითითებული ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა.²⁷ გარდა ამისა, საქართველოს სსკ-ის 74-ე მუხლი მკაფიოდ მიჯნავს ბრალდებულის ჩვენებას სხვა მოწმეების ჩვენებისგან და განსხვავებულად განიხილავს ბრალდებულის ქცევას ჩვენების მიცემისას.²⁸ აღნიშნული ქმედების გამო, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მისაცემად და მათი სამართლებრივი სტატუსის გასაიგივებლად.

შესაბამისად, ბრალდებულისა და მოწმის პროცესუალური სტატუსიდან გამომდინარე, სამართლებრივი მდგომარეობით ისინი პროცესის მკვეთრად განსხვავებული მონაწილეები არიან.²⁹

²⁵ Magda Tatishvili, 'Witness Immunity in Criminal Procedure' (2019) 1 Journal of Law (TSU) 157-158.

²⁶ გიორგი თუმანიშვილი, „ცრუ ჩვენება, როგორც ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“ (2023) 1 გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი 13-14.

²⁷ თუმანიშვილი, *supra* სქოლიო 5, 208.

²⁸ *ibid*, 14.

²⁹ ლილი მსხილაძე, 'ბრალდებულის უფლება – მისცეს ჩვენება' (2016) 4 (52) 16 მართლმსაჯულება და კანონი 7.

III. ბრალდებულის ჩვენების სამართლებრივი ანალიზი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესის მთავარი ქვაკუთხედი. საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. ბრალდებულის სტატუსი განსაკუთრებულ საპროცესო სტატუსს გულისხმობს, ვინაიდან აღნიშნული სტატუსის შეძენით, ბრალდებული გარკვეულ უფლება-მოვალეობებს იძენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლი ბრალდებულის უფლება-მოვალეობებს ეხება, თუმცა რეალურად მხოლოდ უფლებებს მოიცავს და მასში მოვალეობებზე საუბარი არ არის.³⁰ პირი ბრალდებულის სტატუსს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით იძენს. თავის მხრივ, საქართველოს სსსკ-ის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიან). შესაბამისად, პირი ბრალდებულის სტატუსს დაკავებით ან ბრალდებულად ცნობით იძენს.

სისხლის სამართალში დღემდე უმნიშვნელოვანესია ბრალდების შესახებ დადგენილების სწორად და კანონიერად გაცნობა ბრალდებულისთვის, თუ რაში ედება მას ბრალი, რა უფლებები აქვს მას და როგორ შეუძლია მათი გამოყენება. ბრალდებულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი თავი დაიცვას სასამართლოში, დუმილით თუ ჩვენებით, მას ამის უფლება აქვს და არასდროს არ უნდა წაერთვას. აღნიშნული ასევე მოიცავს, სულ ცოტა, უფლებას, დაკითხოს მის წინააღმდეგ მოწმეები, მისცეს ჩვენება და წარმოდგენილი იყოს ადვოკატი.³¹ არცერთი პირი არაა ვალდებული სისხლის სამართლის საქმეზე, სასამართლო სხდომის დარბაზში მიმდინარე პროცესზე საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს.³² დუმილის უფლებით სარგებლობა ბრალდებულის ფუნდამენტური უფლებაა, თუმცა ისიც მისი უფლებაა, რომ მისცეს ჩვენება, თუნდაც საკუთარი თავის მამხილებელი.³³

საქართველოს სსსკ-ის 74-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის თანახმად, ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა. ბრალდებულის

³⁰ ბადრი ნიპარიშვილი, 'არჩევანი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისა და დუმილის უფლებებს შორის' (2020) 1 (65) 20 მართლმსაჯულება და კანონი 10.

³¹ Caldwell and Spiga, *supra* სქოლიო 9, 212.

³² Dianne K. LeVerrier, 'Self Incrimination' (2000) 16 (2) *Touro Law Review* 701.

³³ Caldwell and Spiga, *supra* სქოლიო 9, 311.

მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ბრალდებულის უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს, ხოლო იმავე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.

ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს განამტკიცებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაც, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნოება დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს, ხოლო მე-6 მუხლის მე-3(d) პუნქტის მიხედვით, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: დაიკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.

პროფესორი გ. თუმანიშვილი ბრალდებულს განიხილავს არა მხოლოდ პროცესის აქტიურ სუბიექტად, არამედ როგორც მტკიცებულებას ვიწრო და ფართო გაგებით. მტკიცებულების ვიწრო გაგებას ბრალდებულის ჩვენებას მიაკუთვნებს, ხოლო ბრალდებულის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ნიმუშებს მტკიცებულების ფართო გაგებას უკავშირებს.³⁴ ბრალდებულის მიერ მიცემული ინფორმაცია, როგორც წესი, გამოსაკვლევი გარემოებების სრულყოფილად შემოწმებისა და შეფასების საფუძველს იძლევა.³⁵ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ

³⁴ თუმანიშვილი, *supra* სქოლიო 5, 206–207.

³⁵ მამნიაშვილი, *supra* სქოლიო 18, 234.

„ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მის სუბიექტურ ნებაზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელ და სავალდებულო მტკიცებულებას.“³⁶ ბრალდებულის სტატუსი ბრალდებულს სისხლის სამართალწარმოების ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობისგან ათავისუფლებს, ამასთანავე, როდესაც ბრალდებულზე ვსაუბრობთ, ავტომატურად დუმილის უფლების საკითხიც წამოიჭრება. საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრალდებულმა შეიძლება გადაწყვიტოს უარი თქვას ჩვენებაზე უმიზეზოდ, ყოველგვარი ლოგიკური ახსნის გარეშე, აღნიშნულ შემთხვევაში არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ვარაუდებს, თუ რატომ გადაწყვიტა ბრალდებულმა, გამოეყენებინა დუმილით სარგებლობის უფლება. არსებობენ ბრალდებულები, რომლებიც მართლაც შორდებიან ლოგიკას და აბსოლუტურად აუხსნელი და კონტექსტიდან ამოვარდნილია მათი დუმილი. თუ ბრალდებულის დაკითხვა შეუძლებელია, შესაძლებელია მისი დუმილი დანაშაულის გრძნობით იყოს გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის დუმილი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გამოყენებული მის წინააღმდეგ, როგორც მისი დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება. თვით ბრალდებულის აღიარებაც კი ვერ დაედება საფუძვლად მის გამამტყუნებელ განაჩენს, თუკი საქმეში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები. არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ დამნაშავედ შევრაცხოთ ყველა, ვინც დუმილის უფლებით ისარგებლებს. დუმილის უფლება არის თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტი. იმ დასკვნის გამოტანა, რომ ვინც დუმს, დამნაშავეა, ლოგიკურია მხოლოდ მაშინ, როცა საქმის სხვა კონკრეტული გარემოებები იმავეზე მეტყველებს.³⁷

სამართლებრივი სისტემები განსაზღვრავენ, მიუთითებს თუ არა დუმილი თითოეულ ქვეყანაში დანაშაულზე. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში, რომლებიც მალავს ბრალდებულის კრიმინალურ ჩანაწერს, მის ნასამართლობას, პასუხი კითხვაზე, მიუთითებს თუ არა ბრალდებულის უარი ჩვენების მიცემაზე მის დამნაშავეობაზე, უნდა განისაზღვროს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. ზოგადად, სამ ძირითად მიზეზს ასახელებენ ბრალდებულის დუმილის ასახსნელად: პირველი, ბრალდებული დამნაშავეა და არ სურს ცრუ ჩვენების „ჩადენა“; მეორე, ბრალდებული უარყოფს

³⁶ ავტორთა კოლექტივი, *supra* სქოლიო 4, 256.

³⁷ Helga Zandberg, 'The Right to Avoid Self-Incrimination and the Concealment of a Defendant's Criminal Past' (2010) 8 (1) *Dartmouth Law Journal* 3.

სასამართლოს, არ ცნობს მის იურისდიქციას და პრინციპულად უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე; მესამე, ბრალდებულს განზრახული აქვს, რომ დაიცვას დამნაშავე მესამე პირი, რომელსაც მისი ჩვენება გამოააშკარავებს. ცხადია, რომ ბრალდებული არის დამნაშავე, თუ მეორე და მესამე მოტივაცია არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, ბრალდებულს შეუძლია მისცეს ჩვენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოისმენს ბრალდების მხარის ყველა მოწმეს და ჩათვლის, რომ დუმილი არის „ცრუ“ და უშედეგო. გარდა ამისა, ბრალდებული არ განიცდის ზეწოლას სასამართლოში ჩვენების მიცემისას, როგორც ეს შეიძლება იყოს პოლიციაში გამოკითხვის დროს. სასამართლოში ბრალდებულს აქვს საბოლოო შესაძლებლობა, განმარტოს საკუთარი თავი და ასეთ შესაძლებლობაზე უარის თქმა ერთგვარად მიუთითებს დანაშაულის გრძნობაზე. თუ ბრალდებული უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, რადგან ის უარყოფს სასამართლოს უფლებამოსილებას ან სურს დაიცვას მესამე დამნაშავე პირი, მისი ასეთი გადაწყვეტილება აუცილებლად არ მიუთითებს დანაშაულზე, თუმცა ასეთი სიტუაციები გამონაკლისია.³⁸

მართალია, საქართველოს სსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს. ზემოაღნიშნული, შესაძლოა, ბრალდებულს ჩვენების მიცემის მიზნებისათვის მოწმის უფლებამოვალეობებში აქცევდეს და, შესაბამისად, იმავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილების წესის აღსრულებასაც მოითხოვდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამავე ნაწილში მიუთითებულია ჩვენების მიცემაზე უარისთვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილების ვალდებულებაც, აღნიშნული დავის საგანს არ წარმოადგენს. ეჭვგარეშეა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დუმილის უფლებით სარგებლობისას ნეგატიური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას კრძალავს, თუმცა პრობლემა ისევ პრობლემად რჩება.³⁹ საინტერესოა, ხომ არ ზღუდავს მოწმის, მით უმეტეს, ბრალდებულის უფლებებს, დილემა: „ან გაჩუმდი, ან ილაპარაკე სიმართლე?“⁴⁰

სასამართლოში მოწმის სახით ბრალდებულის დაკითხვისას მასზე ვრცელდება ფიცის დადების ვალდებულება,⁴¹ თუმცა ბრალდებულის ჩვენების მხედველობაში მიღება ისე, როგორც ეს სხვა დანარჩენი მოწმეების შემთხვევაში ხდება, – არასწორია. მისი ჩვენება ხშირად ერთადერთი და

³⁸ Zandberg, supra სქოლიო 37, 2.

³⁹ ნიპარიშვილი, supra სქოლიო 30, 11.

⁴⁰ Patricia J Kerrigan, 'Witness Preparation' (1999) 30 (4) Texas Tech Law Review 1367.

⁴¹ მსხილაძე, supra სქოლიო 29, 7.

განსაკუთრებულია, ვინაიდან არავინ შესწრებია დანაშაულის ჩადენის ფაქტს და არავინ არსებობს, ვინც ბრალდებულის ჩვენებას უარყოფს. ბრალდებული არის ერთადერთი მოწმე სისხლის სამართლის პროცესში, რომელსაც აქვს ჩვენების მიცემის აბსოლუტური უფლება. გარდა ამისა, ბრალდებულს არ უნდა აეკრძალოს უფლება, შთაბეჭდილება მოახდინოს მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებზე, შეუქმნას გარკვეული წარმოდგენა ამა თუ იმ მოვლენაზე⁴² ბრალდებულისათვის მოწმის სახით ცრუ ჩვენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება გარკვეულწილად ბრალდებულს ზღუდავს, აირჩიოს დაცვის ტაქტიკა და განავითაროს ის ვერსია, რამაც, შესაძლოა, საბოლოოდ მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა განაპირობოს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი დაცვის მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, თავად განსაზღვროს, რა სახის მტკიცებულებები წარადგინოს. ასეთ პირობებში ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ჩვენების მიცემისას სასამართლოს მიაწოდოს მხოლოდ ის ინფორმაცია, ისეთი სახით, რომელიც მისთვის სასარგებლოა და არ უნდა დაეკისროს ვალდებულება, ყველა ფაქტობრივი გარემოების გარშემო სასამართლოს მისცეს ამომწურავი და ზუსტი ჩვენება.⁴³

არავინ არ უნდა იყოს ვალდებული, მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება და აღნიშნული უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია კანონმდებლობითაც.⁴⁴ არსებობს მოსაზრება, რომ ბრალდებული არ უნდა დაიკითხოს ჯვარედინი დაკითხვის წესითაც კი.⁴⁵ 1866 წელს მასაჩუსეტსის საკანონმდებლო ორგანოს ინიციატივით, ბრალდებულს საშუალება მიეცა შეენარჩუნებინა საკუთარი „საიდუმლოებები“. ბრალდებული არ ექვემდებარება ჯვარედინ დაკითხვასაც კი. ბრალდებულის ერთადერთი საქმე გულზელდაკრეფილი ყოფნაა. რაც შეეხება ცრუ ჩვენებას, ცრუ ჩვენების მიცემა ბრალდებულს თავის დასაცავად ნებისმიერ დროს შეუძლია.⁴⁶

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ცრუ ჩვენების დასაშვებობა გამოიწვევს სისხლის სამართალში ცრუ და უსარგებლო ჩვენებების დაგროვებას, გარდა ამისა, იქმნება საფრთხე, რომ ნაფიცი მსაჯულები აღარ დაიჯერებენ არცერთი ბრალდებულის ჩვენებას.⁴⁷

აღსანიშნავია, რომ ჩვენების მიცემა ბრალდებულის არაერთხელ აღიარებული უფლებაა და სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის პროცესზე, ბრალდებულის მიერ მხოლოდ მოწმის სახით ჩვენების მიცემა და

⁴² Caldwell and Spiga, supra სქოლიო 9, 126.

⁴³ ნიპარიშვილი, supra სქოლიო 30, 11.

⁴⁴ Calvert, 'Testimony of the Accused' (1887) 11 (4) Virginia Law Journal 194.

⁴⁵ ibid, 195.

⁴⁶ 'Testimony of Person Accused of Crime' (1867) 1 (3) American Law Review 443-449.

⁴⁷ ibid, 450.

აღნიშნულ ჩარჩოში მოქცევა, მიჩნეული უნდა იქნეს ბრალდებულის საყოველთაოდ აღიარებული უფლების დაუშვებელ შეზღუდვად.⁴⁸ როცა ინდივიდს ჩამოართმევნ მის უფლებებს და სახელმწიფოს ეძლევა საშუალება, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ გამოიყენოს დუმილის უფლება და ამით თავისივე ქმედებით ხელოვნურად და შეფარვით აზიანებს ბრალდებულს, ასეთი სასამართლო პროცესი არასოდეს უნდა იყოს დაშვებული, თუნდაც უმნიშვნელო დოზით.⁴⁹

არაერთმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრალდებულისთვის დუმილის უფლება, ისევე, როგორც ჩვენების მიცემის უფლება, არის ერთ-ერთი უფლება, რომელიც არსებითია სამართლიან სასამართლო პროცესში. სამართლიანი პროცესი მოიცავს მოსმენისა და ჩვენების მიცემის უფლებებს თავისუფლებაშეზღუდული პირისთვის. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა თავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უხეში დარღვევაა. გარდა ამისა, ერთხმად აღიარებულია, რომ დაცვის მხარის არცერთ მტკიცებულებას, თუნდაც დაცვის მხარის მოწმის ჩვენებას, არ აქვს ის წონა, რაც თავად ბრალდებულის ჩვენებას.⁵⁰

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავისი სამართლებრივი მდგომარეობებიდან გამომდინარე, ბრალდებული და მოწმე არსებითად განსხვავებული პროცესუალური ფიგურები არიან და ბრალდებულისა და მოწმის ჩვენებების გაიგივება, თუ ეს ბრალდებულის სურვილი არ იქნება, ბრალდებულის უფლებების დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული.⁵¹ ბრალდებულისა და მოწმის უფლება-მოვალეობების დოქტრინალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ბრალდებულის მოწმის სახით დაკითხვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი ზღუდავს ბრალდებულის უფლებებს⁵², რაც საბოლოოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით კიდევ უფრო გამყარდა.⁵³

⁴⁸ ნიპარიშვილი, *supra* სქოლიო 30, 11.

⁴⁹ Brian Kurbjewit, 'The Privilege against Self-Incrimination: Is the Court Chipping Away at our Most Precious Right' (2000) 9 (2) *Widener Journal of Public Law* 195.

⁵⁰ Caldwell and Spiga, *supra* სქოლიო 9, 115.

⁵¹ ნიპარიშვილი, *supra* სქოლიო 30, 11.

⁵² მსხილაძე, *supra* სქოლიო 29, 7.

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე N3/2/1478, 2021 წლის 28 დეკემბერი.

IV. დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ თავისი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბრალდებული და მოწმე არსებითად განსხვავებული პროცესუალური ფიგურები არიან და ბრალდებულისა და მოწმის ჩვენებების გაიგივება, თუ ეს ბრალდებულის სურვილი არ იქნება, ბრალდებულის უფლებების დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებით კიდევ უფრო შეიზღუდა ბრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული – თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება. შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი სამართლებრივი რეალობა შექმნა და სამოსამართლო პრაქტიკას ღიად დაუტოვა არაერთი საკითხი. ბრალდებული გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და სტანდარტულ მოწმესთან გააიგივა. ბრალდებულს მხოლოდ ორი ალტერნატივა დაუტოვა – ისარგებლოს დუმილის უფლებით, ან თქვას სიმართლე, თუმცა დუმილის უფლებით სარგებლობაც ერთგვარ შენიღბულ პასუხს წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ მოვალეობად სამართალწარმოების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა მიიჩნევა და არა ახალი, დამატებითი ხელოვნური ბარიერების შექმნა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ ერთხმად აღიარებულ პრინციპებსა და დანაწესებს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რომელიც დაფუძნებულია უდანაშაულობის პრეზუმფციაზე. თვითინკრიმინაციის დაცვის პრივილეგია კრძალავს სწორედ პირის ნებაზე ზემოქმედებას, მისცეს ჩვენება, რაიმე ფორმით, საკუთარი თავის წინააღმდეგ, ბრალდებული კი, მისი განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, არ უნდა გაიგივდეს მოწმესთან და არ უნდა აღმოჩნდეს არჩევნის წინაშე – ისარგებლოს დუმილის უფლებით, თუ თქვას სიმართლე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

აბსტრაქტი

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“ აგრძელებს მკითხველთათვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკის მიმოხილვის შეთავაზებას. მიმდინარე გამოცემისათვის გამოსაქვეყნებლად შეირჩა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ჟურნალის რედაქცია იმედს იტოვებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა აამაღლებს სამართლებრივი დისკუსიის დონეს სასამართლოს საქმიანობის მიმართ.

I. „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2023 წლის 22 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1444¹). პატიმრობის კოდექსით დადგენილი სადავო რეგულირება გამომძიებელს/პროკურორს ანიჭებდა უფლებამოსილებას, პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულისათვის შეეზღუდა ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლებები.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობას განაპირობებდა ის გარემოება, რომ გამომძიებლის/პროკურორის უფლებამოსილება ბრალდებულისათვის აღნიშნული უფლებების შეზღუდვის თაობაზე არ იყო შემოსაზღვრული ხელშესახები კრიტერიუმებით, რაც წარმოშობდა გამომძიებლის/პროკურორის მხრიდან შეცდომის დაშვების ან დისკრეციული უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების რისკებს. შედეგად, ირღვეოდა ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება.

მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმების საფუძველზე, ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა ემსახურებოდა ისეთი მნიშვნელოვანი საჯარო ლეგიტიმური მიზნების მიღწევას,

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2/8/1444 „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2023 წლის 22 ნოემბერი.

როგორებიცაა მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გამოძიების ინტერესების დაცვა. ამავდროულად, მოპასუხე მხარის პოზიციით, მიუხედავად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების არსებობისა, შესაბამისი სახელმძღვანელო კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, სადავო ნორმები გამომძიებელს/პროკურორს ანიჭებდა პატიმრობის დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულისათვის გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის გაუმართლებლად ფართო დისკრეციას, რითაც აჩენდა ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში დაუსაბუთებელი და არაგონივრულად ხანგრძლივი დროით ჩარევის რისკებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარემ სრულად ცნო №1444 კონსტიტუციური სარჩელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა წარმოადგენდა მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. იმავდროულად, საქმეში არ გამოკვეთილა უფლების უფრო ნაკლებად მზღუდავი სხვა სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტურობით უზრუნველყოფდა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, როგორც ეს არსებული მოწესრიგების პირობებშია შესაძლებელი. ამდენად, სადავო რეგულირება, გამოსადეგობასთან ერთად, ასევე აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის აუცილებლობის კრიტერიუმსაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულისათვის ხანმოკლე პაემანი, მიმოწერა და სატელეფონო საუბარი, პირადი და ოჯახური ცხოვრების შენარჩუნებისა და განვითარების თვალსაზრისით, წარმოადგენს კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს მექანიზმებს. შესაბამისად, ამ უფლებების შეზღუდვის მომწესრიგებელი კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო კრიტერიუმებს, გამოირჩეოდეს საკმარისი სიცხადით და იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არ აჩენდეს გადაწყვეტილების მიმღები პირის/ორგანოს მხრიდან ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს.

მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ არც სადავო ნორმები და არც პატიმრობის კოდექსის სხვა დებულებები, ისევე, როგორც მომიჯნავე კანონმდებლობა, არ ითვალისწინებდა გამომძიებელს/პროკურორის დისკრეციის შემზღუდველ რაიმე მექანიზმს ანდა სახელმძღვანელო კრიტერიუმებს ამ უკანასკნელის მიერ პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულისათვის ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. მოქმედი კანონმდებლობა, აგრეთვე,

არ ითვალისწინებდა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის სავალდებულო პერიოდული გადასინჯვის მექანიზმს, ისევე, როგორც გამომძიებელს/პროკურორს არ ავალდებულებდა შემზღუდველი ღონისძიების გაუქმებას მომავალში მათი გამოყენების საჭიროების შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული მოწესრიგება ვერ აზღვევდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს და წარმოქმნიდა ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების მომეტებული შეზღუდვის რეალურ საფრთხეს, კერძოდ, უშვებდა მისთვის ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვას მაშინაც კი, როდესაც შეზღუდვით მიღწევადი მიზნები და პრევენციურებადი საფრთხეები ვერ გადაწონიდა ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების განვითარების, საზოგადოებისაგან მისი სრული იზოლაციის/გარიყვის აკრძალვის ინტერესს. აღნიშნულის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები გაუმართლებლად ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას და არაკონსტიტუციურად ცნო ისინი.

სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის პარალელურად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე, შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, იმ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, რომლებსაც სადავო შეზღუდვა ემსახურებოდა, კვლავაც შესაძლებელია, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებულისათვის ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო კომუნიკაციის შეზღუდვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საჭიროება.

II. „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2023 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1635 კონსტიტუციური სარჩელი²). განსახილველ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/3/1635 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2023 წლის 14 დეკემბერი.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ადგენდა შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში გაფრთხილების შეტანის ვალდებულებას მის ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

კონსტიტუციური სარჩელის ავტორი განმარტავდა, რომ, ხშირ შემთხვევაში, პროტესტის გამოხატვისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა საზოგადოების მყისიერ რეაგირებას, რადგან 5 დღის გასვლის შემდეგ, შესაძლოა, არსებითი ზიანი მისდგომოდა შეკრების ეფექტიანობას ან სრულად დაკარგვოდა აზრი მის გამართვას. ამასთან, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ სპონტანური შეკრების გამართვის რეალური შესაძლებლობა შეკრების თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენდა, ხოლო სადავო ნორმა არაგონივრულად ზღუდავდა შეკრების თავისუფლებას.

მოპასუხე მხარის პოზიციით, გაფრთხილების ინსტიტუტი უზრუნველყოფდა შესაბამისი ორგანოს ინფორმირებას, რათა სახელმწიფოს შეესრულებინა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, კერძოდ, ერთი მხრივ, დაეცვა სხვათა უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, თავად შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილე პირთა უსაფრთხოება. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების უგულებელყოფა არ წარმოადგენდა შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის ან პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ შეკრების/მანიფესტაციის ეფექტიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის დროულობასა და მყისიერებას, რამდენადაც, ხშირად, სწორედ მასზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი რეაქციის სიმწვავე, მისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი მუხტის სიმძლავრე და, შესაბამისად, პრობლემაზე ზეგავლენის მოხდენის რესურსი. კონკრეტული რეაქციის გამოხატვის დაყოვნებამ, გადავადებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ან სრულად გამორიცხოს პროტესტის მიზნების რეალიზება. შეკრების თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია დეკლარაციული შინაარსის დებულებად დარჩება, თუ მისი შინაარსი არ იქნება, იმავდროულად, აღჭურვილი ამ თავისუფლების სრულყოფილად სარგებლობის ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული შეკრების თავისუფლება იცავს როგორც წინასწარ ორგანიზებულ, ასევე სპონტანური შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის შესაძლებლობას.

იმავდროულად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი და განმარტა, რომ სადავო ნორმა პირდაპირ ადგენდა შესაბამისი ორგანოს

შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებამდე 5 დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულებას, რითაც იზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა, რამდენად წარმოადგენდა სადავო რეგულირება როგორც სხვა პირთა, აგრეთვე, თავად შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, დაპირისპირებულ ინტერესებს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, სპონტანური შეკრების თავისუფლების ეფექტურად და დაუბრკოლებლად განხორციელების უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალური და საჯარო ინტერესები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც საკუთრივ შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებას, მშვიდობიანად ისარგებლონ შეკრების/მანიფესტაციის თავისუფლებით, ისე სხვა პირთა ინტერესებს, არ დაზარალებდნენ ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებით ან დაუგეგმავი, სპონტანური შეკრებით/მანიფესტაციითა და მასთან დაკავშირებული სირთულეებით.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ლოგიკური და რაციონალური კავშირი სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვასა და მოპასუხის მიერ დასახელებულ საჯარო ლეგიტიმურ მიზნებს შორის, რის გამოც, სადავო ნორმით გათვალისწინებული რეგულაცია აკმაყოფილებს გამოსადევობის მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ 5-დღიანი მოსამზადებელი ვადა სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებდა სათანადო შესაძლებლობას, დაეგეგმათ და შეეცვალათ ტრანსპორტის სამოძრაო მარშრუტი, რათა მნიშვნელოვნად არ შეფერხებულიყო მესამე პირთა გადაადგილება, აგრეთვე, მოეხდინათ სამართალდამცავი თუ სამედიცინო ორგანოების წარმომადგენლების საჭირო რაოდენობით მობილიზება, განეხილათ/სათანადოდ დაეგეგმათ აქციაზე საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების პოტენციური რისკები და, მათი რეალიზების შემთხვევაში, პირთა უსაფრთხოების დაცვის სათანადო გზები. ამდენად, 5 დღით ადრე შესაბამისი ორგანოს გაფრთხილებით, მნიშვნელოვნად მარტივდება სხვა პირთა უფლებებისა და თავად შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებების დაცვა, ხდება მოსალოდნელი საფრთხეების განჭვრეტა და პრევენცია.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სპონტანური შეკრებით მესამე პირთა ინტერესები მომეტებულად ილახება შეკრების დასრულებამდე ან სახელმწიფოს მიერ სათანადო რეაგირების მოხდენამდე, ხოლო შეკრების მონაწილეთა შემთხვევაში, სადავო ნორმა შეუძლებელს ხდის სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის თავისუფლებით ეფექტურად სარგებლობას და ყოველგვარ აზრს უკარგავს მას. სასამართლომ დაადგინა, რომ სპონტანური შეკრების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საზოგადოების

ნაწილის უფლებების დაცვა იმ ზიანისაგან, რომელიც შეიძლება მათ განიცადონ გარკვეული დროის განმავლობაში ტრანსპორტის მოძრაობის სრულად ან ნაწილობრივ შეფერხებით, ვერ გადაწონის შეკრებისა და მანიფესტაციის მრავალრიცხოვან მონაწილეთა უფლებას, ეფექტურად ისარგებლონ კონსტიტუციით დაცული შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით, რომელიც თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების არსებით წინაპირობას წარმოადგენს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არღვევდა სამართლიან ბალანსს შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის და ვერ უზრუნველყოფდა შეკრებისა და მანიფესტაციის ძირითადი უფლებით ეფექტურ სარგებლობას.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიჩინა, ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად, ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულების დადგენა, როდესაც ამის ობიექტური შესაძლებლობა იარსებებს.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა შეცვალა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილებითა და 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერით დადგენილი სტანდარტი, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მიიჩნევდა სადავო ნორმას და, იმავედროულად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს ნაწილად არ მოიაზრებდა ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას სპონტანური საპროტესტო მანიფესტაციის, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეუფერხებლად ჩატარების უფლებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქციის მონაწილენი იკავებდნენ ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილს, კეტავდნენ მას ან აფერხებდნენ მოძრაობას.

III. თელავის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე

2024 წლის 12 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „თელავის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“ (№1543 კონსტიტუციური წარდგინება).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუკი დანაშაული ჩაიდინა შერაცხადმა პირმა, თუმცა განაჩენის გამოტანამდე ფსიქიკურად დაავადდა, იგი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს შერაცხადი იყო და შემდეგ შეურაცხადი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და მსჯავრდებული გამოჯანმრთელებამდე სასჯელს მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში, გამოჯანმრთელების შემთხვევაში კი სასჯელის მოხდა გაგრძელდება საერთო წესით.

№1543 კონსტიტუციური წარდგინების ავტორის პოზიციით, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს კონსტიტუციით განსაზღვრული საპროცესო უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ჩვენების მიცემასა და საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობას, ადვოკატთან ეფექტიან კომუნიკაციას, მოწმეთა დაკითხვას, მტკიცებულებათა გამოკვლევასა და სხვა. დასახელებული უფლებებით ვერ სარგებლობს ის ბრალდებული, რომელიც ფსიქიკურად დაავადდა, თუმცა სადავო ნორმები მაინც უშვებს მისი გასამართლებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. წარდგინების ავტორი მიიჩნევს, რომ ბრალდებულის ფსიქიკურად დაავადების შემთხვევაში უნდა არსებობდეს საქმისწარმოების შეჩერების მექანიზმი, ხოლო ასეთი პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა იწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების მთელი რიგი კომპონენტების დარღვევას.

დასახელებულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების მიზანია, გარიცხოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება და უზრუნველყოს სისხლის სამართლის საქმეზე სამართლიანი პროცესის ჩატარება. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, პროცესის სამართლიანობა და შეჯიბრებითობა მოითხოვს, რომ ბრალდებულს არა მხოლოდ ფორმალურად ჰქონდეს გარკვეული უფლებები/საპროცესო საშუალებები, არამედ მას პრაქტიკულადაც უნდა შეეძლოს მათი განხორციელება. ამისათვის კი, აუცილებელია, რომ იგი იყოს პროცესუნარიანი, ანუ ჰქონდეს შესაძლებლობა, ადეკვატურად აღიქვას ბრალდების არსი, მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შინაარსი და შეძლოს ადვოკატთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მეშვეობით უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური გარანტიაა, იგი ვერ ჩაანაცვლებს პროცესში ბრალდებულის უშუალო

მონაწილეობის საჭიროებას, რამდენადაც სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი პროცესუალური გადაწყვეტილებები, როგორებიცაა დანაშაულის აღიარება, ჩვენების მიცემა/არმიცემა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება და სხვა. ამასთანავე, ადვოკატის მიერ პირის უფლებების ეფექტურად დაცვა მჭიდროდ არის დამოკიდებული ბრალდებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, რადგანაც მან ყველაზე უკეთ შეიძლება, იცოდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ადვოკატთან მისი კომუნიკაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანი შესაძლოა აღმოჩნდეს გამამართლებელი მტკიცებულების მოსაპოვებლად/ბრალდების მტკიცებულებების გასაქარწყლებლად. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისთვის, არ არის პროცესუნარიანი, ფაქტობრივად, უთანაბრდება პირის მსჯავრდებას, მისთვის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობის მინიჭების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ, რიგ საგამონაკლისო შემთხვევებში, შესაძლებელია, დასაშვები იყოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა უშუალოდ ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ან პროცესუნარო პირთან მიმართებით, მაგალითად, როდესაც ბრალდებული ბოროტად იყენებს საპროცესო უფლებებს ან დაცვის მხარის არაკეთილსინდისიერი ქცევა, თავისი არსით, უფლების რეალიზებაზე უარის თქმას უტოლდება. ასეთი ვითარება, შეიძლება, წარმოიშვას, როდესაც ბრალდებული განზრახ იგდებს თავს პროცესუნარო მდგომარეობაში, ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს, რათა გახდეს შეურაცხადი და თავი აარიდოს მართლმსაჯულებას ან არ ცხადდება სასამართლოში.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას ნებისმიერი, მათ შორის, პროცესუნარო პირის მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას ამ ფაქტის მიმართ ბრალი არ მიუძღვის. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, იმ პირის დამნაშავედ ცნობა, რომელსაც, მისი ბრალის გარეშე, წართმეული აქვს ეფექტური დაცვის შესაძლებლობა, არღვევს სისხლის სამართლის საქმეზე სამართლიანი პროცესის ჩატარების კონსტიტუციურ მოთხოვნას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილი არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან და მე-4 პუნქტთან მიმართებით. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2025 წლის

1 დეკემბრამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მისცემოდა გონივრული ვადა საკითხის კონსტიტუციის შესაბამისად მოწესრიგებისა და საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად.

